ჩვენი თეატრი

12

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

საქართველოს სამჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

13989

12

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1940 წელი. დეკემბერი

შინაარსი:

	გვ.
მხატვრული ლიტერატურა	
გიორგი ძიგვაშვილი — ფიქრები	3
ვლადიმერ სულაბერიძე — ბელადი კიროვის ცხედართან	4
კალე ბობოხიძე—კიროვისადმი; სიმღერა სამშობლოზე	5
ლადო ავალიანი—მოხუცი მწვანე მაუდის ფონზე	7
ი. მჭედლიშვილი — ხალხური ლექსები	19
კოტე ხიმშიაშვილი—ჯონქა ხორნაული (გაგრძელება)	20
კრიტიკა	
შ. რადიანი — ი. გრიშაშვილი	34
შ. იმნაძე — სიმონ ჩიქოვანი	42
იაკობ ბალახაშვილი—ეროიბოედოვი საქართველოში და ნინო ჭავჭავაძე	49
ბიბლიოგრაფია	
პაატა არგუელიანი—ლავრენტი ჭიჭინაძე „ნარბევი“	63

რედაქტორი: **დიმიტრი ბენაშვილი**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III-41 წ. ᲣᲔ 5683. ანაწყობის ზომა 7 × 12. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში = 51136. საავტორო ფორმათა რაოდენობა = 5,04. სტამბის შეკვეთის № 2241. ტირაჟი 2000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

მხატვრული ლიტერატურა

ბიოლოგი ძიგვაშვილი

ფიქრები

ქვეყნად მზის მოსვლა ძველადაც სწამდათ
და გაურბოდნენ ღამეს ამაზრზენს.
შეფარებულნი ბუნების კალთას
იქ უგალობდნენ მზის სილამაზეს.
ჩვენ ლექსი გვმართებს უფრო გრიალა,
ვიდრე იმ ტანჯულ მგოსნებს ადრინდელთ:
მარტო სინათლის ნატვრა კი არა,
ჩვენ ის სინათლეც უნდა ვადიდოთ!
ასრულდა ახლა ძველი ოცნება —
სამშობლო ქვეყნის აღორძინება,
ასრულდა, რაც თქვეს დიდმა მგოსნებმა,
ბედთან ბრძოლაში დახოცილებმა.
დღეს იმ გმირობის ძეგლად ანთია
სინათლის წყარო დაუშრეტელი:
თავისუფლების დიდი ქარტია
ბელადის კალმის დიდი შედევრი!
რაც სისხლი ღვარეს ძველად მზცოვნებმა,
დღეს ახალგაზრდულ ლხენად მოღელავს:
დიდ სიმღერას ჰგავს ჩვენი ცხოვრება
და ეჯიბრება რიტმში მომღერალს.
ჩვენც ლექსი გვმართებს უფრო გრიალა,
ვიდრე იმ ტანჯულ მგოსნებს ადრინდელთ:
მარტო წარსულის შუქი კი არა —
შუქმფენი აწმყო უნდა ვადიდოთ!
ჩვენ უნდა მივწვდეთ ძველ ხმათა ბრწყინვას
და ახალ დროზე ვჰქოთ იმათებრ,
ვჰქოთ, ვადიდოთ ის კაცი, ვინაც
დააკანონა ქვეყნად სიმართლე!

ვლადიმერ სულაბერიძე

ბელადი კიროვის ცხედართან

წამით დაჰკეცეს ფრთები არწივებმა
და მთელი ქვეყანა დადგა კიროვთან...
ვარდებს ცრემლები ეყარა მძივებად
და ახლა ყვავილიც თითქოს ტიროდა.

იდგა ბელადი მეგობრის ცხედართან,
კუბოს დაჰნათოდა მზე საუკუნის,
კიროვის მკერდი ისევე ღელავდა,
ისევე ესმოდათ მისი გუგუნი.

რაც დედამიწას ცრემლები აწვიმდა,
სტალინმა შეაშრო მშობელ ქვეყანას.
ახლა ის იდგა დაცემულ არწივთან
და თავი მდუმარეს ძირს დაეხარა.

წუთით დაჩუმდნენ მთები და ველები
და მთელი სამშობლო დადგა კიროვთან.
ვერ შეიკავა სტალინმა ცრემლები
და ახლა ბელადი მართლა ტიროდა.

ალე ბოგოხიძე

კიროვისადმი

გრიგალივით დაჰქროდი,
იყავ მტერთა მზარავი.
დუშმანს ხმალით აქრობდი
მშობელ ხალხის მფარავი,
ჩვენს ქვეყანას ამკობდი,
იყავ დაუღალავი.

დიდ სტალინის მოდგმისა
იყავ გმირი მაგარი,
მშრომელ ხალხის ერთგული
შვილი ნაამაგარი,
დაარბიე ურდონი,
ალდეს რომ ხმალი დაჰკარი.

შედრკა მტერი ველური,
ჰქუხდი მთიდან ბარამდი,
ვერაგობა გველური
მოვსპოთ კარით-კარამდი,
შენ კი — საქმით ქველური
ხალხში სცოცხლობ მარადის!..

სიმღერა სამშობლოზე

საქართველოვ მზიურო,
დიდ რუსთველის მშობელო,
ძალავ ტიტანიურო
სიბრძნე დაუშრობელო!

სიყვარულის მაღაროვ,
მარად სახე მცინარევ.
მთაო, ცამდე მაღალო,
მჩქეფარეო მდინარევ!

თუ დუშმანმა ისურვოს
შენი მიწა, ბაღები —
თავს დაატყდეს მრისხანედ
ჩვენი ზეცის თაღები!.

თუ საზღვრისკენ დაიძრაბ
ვერაგთა ბრბო აშარი,
შენს მიდამოს დაიცავს
უძლეველი ლაშქარი.

დიდ ქარტიის შემქნელო,
სტალინ, შენზე მღერიან,
საქართველოვ დღეგრძელო,
შენ გაზარდე ბერია!..

ლადო ავალიანი

მოხუცი მწვანე მაუდის ფონზე

ნოველა

მე ალბათ ყველაზე უფრო იშვიათი სტუმარი ვიყავი იმ მეგობარი მხატვრის პატარა, მყუდრო სახელოსნოსი, სადაც ერთხელ ჩემი ყურადღება შესვლისთანავე მიიქცია ადრინდელმა საკლასო ნამუშევარმა, საშუალო ზომის შიგა ჩარჩოზე გადაჭიმულმა ტილომ. ეს ტილო აქამდე არ მენახა და ახლა ამიტომაც ყურადღებით, საგულდაგულოდ გავსინჯე მისი ყოველი დეტალი. ამ ნამუშევარმა უმალვე უნებურად მომაგონა მოსკოვის ერთერთი მუზეუმის კუთვნილება — ჟერიკოს: „მამაკაცი — მოდელი“ და რემბრანდტის „მოხუცი ქალის პორტრეტი“. მარტო ის ამბავი, რომ მეგობრის ნამუშევარმა ასეთი დიდი ოსტატების შედევრები მომაგონა — უსაზღვრო სიყვარულს მგვრიდა, ძალაუნებურად ვარწმუნებდი საკუთარ თავს: მაშასადამე ფერწერის დიდი ოსტატებისა და უცნობი ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრებში იყო რაღაც საერთო, საიდუმლო. ისინი თითქო ტალანტით ენათესავებოდნენ ერთმანეთს.

შიშველი მოხუცი კაცი წელამდე ჩანდა ტილოზე. ფონი ზურმუხტოვანი მწვანე ფერით იყო დაწერილი. მოხუცის შიშველი სხეულის ამსახველ ფერებში ყვითელი სჭარბობდა. მოხუცის ტორსის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ იგი ალბათ იჯდა, როცა ხატავდნენ; ზურგში მოხრილიყო, მუცელზე ჭიპს ზემოდ ლრმა ნაოჭები აჩნდა. გამხმარი, კუნთებგამოკვეთილი, კანდანაოჭებული მკლავები მკერდზე ეწყო, თავი უკან გადაეწია. ჩემი მეგობარი, გარდა იმისა, რომ საუკეთესო ფერმწერალი იყო — ვირტუოზულად ხატავდა და აქაც მოხუცის თავი ჩაკურსში იშვიათი ოსტატობით ჰქონდა გადმოცემული. გამხდარ კისერზე ისე გამოკვეთილად აჩნდა მკერდლავიწ დვრილისებური კუნთები და ხორხის ბორცვი, რომ ეჭვი და ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა მაყურებელს — შეხებოდა, გაესინჯა: მართლა მოჩვენებითი იყო თუ არა ეს ხილვა. მოხუცის პორტრეტიც უცნაური და მიმზიდველი იყო. მოხუცის გრძელი თეთრი თმები, ფართო შუბლი—ლრმა ნაოჭებით გადასერილი შუბლის ჩამოკვეთილი კუთხეები, მსხვილი, აბურდული და წინ წამოშვერილი წარბები, დიდრონი უფერული, კანდანაოჭებულ ფოსოდან უსიცოცხლოდ მზირალი თვალები, გრძელი, მაგრამ ლამაზდ ვამოკვეთილი ცხვირი, რომელიც სიამაყის იერს ჰფენდა გამხდარ სახეს — აგრეთვე ისეთი გულწრფელობით, მონდომებით და ოსტატობით დაეწერა მხატვარს, არ შეიძლებოდა „სულს არ წაეძლია“ და ჩუმად, ხელსაყრელ მომენტში არ გაგესინჯათ — მართლა ტილოზე დახატული იყო ის თმე-

ბი, ნაოჭებეიანი შუბლი, წარბის ბორცვები, ცხვირი, თუ მოჩვენებით ჩარჩოში მზირალ — ცოცხალ მოხუცს შესცქეროდით... როდესაც დიდი ოსტატის „პეიზაჟს" შესცქერით, ყოველთვის აგეძრებათ სურვილი — ნახოთ ის ქვეყანა, საიდანაც იმ პეიზაჟის მასალა ამოჭკრიბა მხატვარმა — ან თუ ცოტათი მაინც იცნობთ მხატვარს, — სთხოვოთ გიამბოს იმ ქვეყნის შესახებ.

მეც უნებურად და შეიძლება ნაადრევადაც აღმეძრა სურვილი გამეგო ამ შიშველი მოხუცის ვინაობა, თავგადასავალი, რომელიც შეიძლება ამქვეყნად აღარ არსებობდა უკვე, მაგრამ... მხატვრის ნიჭს უზრუნველეყო მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა — ფერებით — ტილოზე.

როცა სახელოსნოდან გამოვედით და ორთაჭალისაკენ გავეშურეთ სასეირნოდ, უკვე ღამდებოდა; მე ერთხელ კიდევ მოვაგონე და ვთხოვე მეგობარ მხატვარს ეამბნა იმ მოხუცის ისტორია, რომელიც მას დაეხატა მწვანე მაუდის ფონზე.

მეგობარი მხატვარი ჯერ ყოყმანობდა და ცდილობდა საუბარი სხვა საგანზე გადაეტანა, მაგრამ ჩემმა დაჟინებულმა თხოვნამ ბოლოს მაინც აიძულა იგი ჩემი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებია, თუმც ეტყობოდა ამგვარი დათმობა არასასიამოვნო და თითქო სამძიმოც იყო მისთვის — პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ვისიმესათვის დათმობას საერთოდ არ იყო ჩვეული და აგრთვე იმიტომაც თურმე, როგორც შემდეგ გავიგე — იმ მოხუცის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული იყო თვით ჩემი მეგობარი მხატვრის პირადი ცხოვრების ზოგიერთი ამბები. როცა თათრის მოედანს გავცილდით და თვალწინ ახალი სანაპირო ქუჩისა და ავლაბრის კლდის, მტკვრისა და ორთაჭალის მშვენიერი ხედი გადაიშალა, მეგობარმა მხატვარმა ნაბიჯს მოუკლო და მოულოდნელად დაიწყო.

— დედის უეცარი მძიმე ავადმყოფობის გამო თბილის ქალაქიდან, სადაც ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა მაშინ — ისევ იმ დაბაში გადამიყვანეს, სადაც დავიბადე და სამი წელი გავატარე... იმდროინდელი ჩემი მოგონებები ბებოს კალთით და დიდი ეზოთი განისაზღვრებოდა. ის წლები სანატრელი მოსაგონარი იყო ჩემთვის არა მარტო მაშინ, ხუთი წლის ბავშვისათვის, როცა ნაცნობ მხარეს ვუბრუნდებოდი — არამედ შემდეგაც — მთელი სიცოცხლის მანძილზე, რადგან ბებოსთან ვიზრდებოდი და მოგეხსენებათ რაა ბებო შვილიშვილისათვის. არცერთი დედა არცერთ შვილს, ალბათ ისე არ ჰყვარებია, როგორც ბებო — თუ მასთან გაზრდილა პატარობიდანვე, თუ ბებოსთვის მურაბა ან ხილი მოუპარავს ან თუ ბებოს — ტოლებში წაჩხუბებული შვილიშვილის თვალებზე მომდგარი ცრემლები კოცნითა და ალერსით ამოუშვრია.

მეც, პატარა ბავშვი — უკვე გონმოკრებილი, თუმცა ძალიან დამალონა დედის ავადმყოფობამ, მაგრამ რაკი ბებო მიხსენეს და მასთან კვლავ საცხოვრებლად გადაყვანას დამპირდნენ, რადგან დედა საავადმყოფოში უნდა გადაეყვანათ, მამა კი სამსახურის საქმეების გამო მუდმივად მოგზაურობდა რაიონებში — სხვას ვისმეს კი ჩემს მოვლას ვერ მიანდობდნენ, მალე ყველაფერი დამავიწყდა და უკანასკნელი უსიამოვნებით გამოწვეული დარდიც შემიმსუბუქდა. ბებოსთან ხელახალი შეხვედრა დიდი სიხარული იყო ჩემთვის. ბებო ცრემლმორეული თვალებით შემეგება სადგურზე, როგორც კი ვაგონის ღია ფანჯრიდან თვალი მოვკარი მას, სიხარულმა ყველაფერი დამავიწყა და საოცრად შევყვირე: „ბებო!"

რამდენიმე კვირამ ტკბილი სიზმარივით გაიარა. მე ისევე მოვნახე ჩემი ტოლები, გადავაქოთე მთელი ეზო, საკუჭნაოები... ორიოდე ძველი, დამტვრეული სათამაშო ძლივს აღმოვაჩინე. ყველაზე უფრო ჩემი აკვნის ნახვამ გამახარა.

ბებომ მოიგონა, როგორ ვიწექი აკვანში არტახებგადაკრული, როგორ მეძინა, როგორ ღიღინებდა „ნანას“ და როგორ არწევდა აკვანს. ცრემლები მომადგა თვალებზე... ყოველივე ეს დაკარგულ ბედნიერების უეცარ აღმოჩენას ჰგავდა და უსაზღვროდ მიხაროდა, რომ აღმოვაჩინე, მაგრამ მალე ამ სასიამოვნო ამბებს ბევრი უსიამოვნო ამბებიც მოჰყვა.

იმ დროს, როცა გონებადახშული ხალხისათვის ღვთის პატივისცემა და სიყვარული ცხოვრების აზრს და მიზანს წარმოადგენდა, ბებოც, თუმცა ხსვებსავით გულმოდგინედ ვერა, მაგრამ მაინც ერთგულად ემსახურებოდა ამ საქმეს და ამავე დროს მე — როგორც თავის საყვარელ შვილიშვილს, ყოველთვის მირჩევდა ამ მხრივ მისი მიმდევარი ვყოფილიყავი, მაგრამ რატომღაც ეს ვერ ხერხდებოდა, ბებოს აზრებს ვერ ვიზიარებდი გულწრფელად, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის არსებობა ხუთი წლის ბავშვს მასზე უფრო მტკიცედ მჯეროდა და თუ წინააღმდეგ ჩემი სურვილისა, ბებოს მაინც დავყვებოდი ეკლესიაში, უფრო იმიტომ, რომ ჩემი დაუმსახურებელი ჟინიანობით უნებური წყენა არ მიმეყენებია მისთვის... კვირა დღეს, როცა ეკლესიაში უნდა წავეყვანე — განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ხოლმე ჩემდამი, ყოველთვის ახალ ტანსაცმელში გამომაწყობდა და შემდეგისთვისაც საჩუქრებს მპირდებოდა. გრძელ, ბოლოებდახუჭუჭებულ ოქროსფერ თმებს ხის სავარცხლით ფრთხილად მივარცხნიდა, სარკეში მახედებდა. ცდილობდა კვირა დღის აღსანიშნავ დღესასწაულებრივ მორთულობას ჩემზე განსაკუთრებულად ემოქმედნა და რამდენიმე საათით ყველაფერი დამვიწყებოდა, ბებოს ახირებული სურვილის მოზიარე და ღვთის მოშიში, მორჩილი ვყოფილიყავი. ჩვენ დიდხანს გვიხდებოდა ხალხით გაჭედილ ეკლესიაში ფეხზე დგომა და იმ გაუგებარი ლოცვების მოსმენა, რომელსაც მღვდელი ასე გულისგასაწყალებლად აჭიანურებდა. აქვე შეიძლება გამხელა, რომ ლოცვების მოსმენაში ბებო უფრო მეტ გულმოდგინებას ამჟღავნებდა, მე კი ფრესკებით შემკულ კედლებს შევცქეროდი და ვსტკბებოდი ფერების მიმზიდველ ელვარებით. ამ სანახაობით მოხიბლულს და თავდავიწყებულს ბევრჯერ გამომრჩენია მლოცველთა წამოჩოქება. მაგრამ ბებომ ჩემს ამგვარ უნებურ ურჩობას ადვილად მოუნახა წამალი. როცა მღვდელს ლოცვა უნდა დაესრულებია და წამოჩოქილ ხალხს ვედრებით აღეპყრა თვალები ეკლესიის მაღალი გუმბათის თაღისაკენ, რომლის ვიწრო და გრძელი ფანჯრებიდან შემოპარული მზის ნათელი შუქი ზოლებად ჰკვეთდა თაღში მოკალათებულ სიბნელეს, ბებო სხვებისათვის შეუმჩნევლად წამავლებდა კისერში ხელს და. მეც იძულებული ვიყავი წამომეჩოქა, პატივი მეცა ღვთისათვის. მუხლები დამესვარა. მუხლების დასვრა ყველაფერზე უფრო მწყინდა, მაგრამ მოთმინება მისთვისაც მყოფნიდა და ჩუმად ვიყავი. კმაყოფილივით შევსცქეროდი კედლებიდან მზირალ „წმინდანებს“ ჩვენკენ მოპყრობილ თვალებში.

ერთხელ, კვირა დღეს, ბებომ ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო მზადება ეკლესიაში წასასვლელად. წასვლის წინ მე ყოველთვის რამე უნდა მომემიზეზებინა, რათა ხელიდან გავსხლტომოდი მას და ძებნით, ძახილით მომექანცა კეთილი მოხუცი, ჯავრი მეყარა და აგრეთვე, რაც უმთავრესი იყო, რამდენიმე წუთი მაინც წასასვლელ, დანიშნული დროისათვის გადამეცილებია. დღეს ასეთი ხერხი აღარ მიხმარია, რადგან ბებო ეშმაკობას უკვე მიმიხვდა და ეკლესიაში წასვლამდე გართობის ანუ მოსყიდვის მიზნით მუდამ ტკბილეულით და ძველებური საგმირო ამბების მოყოლით მაკავებდა... მართალია, ბავშვის აღზრდის რთულ მეთოდებში იგი მაინცდამაინც ვერ ერკვევოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთუისე ახერხებდა ბევრი მახინჯი წესებისაგან თავისდაღწევას, ავისა

და კარგის გარჩევის უნარის წყალობით. ბებო არასოდეს ძალას არ მიმართავდა ხოლმე, რადგან გრძნობდა, ჯიუტი ბავშვის უკულმართ ჩვევათა გამოსწორების ამგვარი ხერხი პირიქით — იძულებულს მყოფდა წინააღმდეგობათა გადასალახავად ახალი ხერხების ძიებას შევდგომოდი, თუმცა შეიძლება გარეგნულად მორჩილებით დამეხარა თავი მის წინაშე. მე დიდად არ დავინტერესებულვარ იმ უმნიშვნელო ცვლილებებით, რომელიც ამ დღეს ბებოს ნაადრევ მზადებაში გამოიხატებოდა. ბებო ხმაგაკმედილი ტრიალებდა სარკის წინ. მე დიდხანს ვუცქირე მას და... როგორც შევატყე, დღეს ჩემს გართობას არ აპირებდა ჩვეულებრივი ხერხით. დიდხანს ვითმინე, მაგრამ ბოლოს მაინც წამძლია ცნობის მოყვარეობამ და გაკვირვებით შევეკითხე — რატომ შეუდგა ასე ადრე მზადებას ეკლესიაში წასასვლელად. ბებომ სიტყვიერი პასუხის მაგივრად წამით გამოიხედა ჩემსკენ და თავისი სერიოზული გამომეტყველებით თითქო მაგრძნობინა—დღეს ჩემთან სათამაშოდ არ ეცალა; მაგრამ... შემდეგ რა დარწმუნდა ალბათ: ასეთი „ცივი გამოხედვით დაჯილდოება“ არ დამიმსახურებია, ფრთხილად მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა და მშობლური ჩურჩულით: „ჩემო ბიჭუნა“, განიერ სავარძელში გვერდით მომისვა. მე მხოლოდ გავწითლდი და რატომღაც ბებოსადმი ამ წუთში ისეთი გულთბილი სიყვარული ვიგრძენი, როგორც აქამდე ჩემს გულში არ მეგულებოდა. შან ამიხსნა, რომ დღეს სხვა მღვდელი დაგვხვდებოდა ეკლესიაში. აგრეთვე დაუმატა, იგი მისი სოფლელი იყო და ბავშვობის დროინდელი კარგი მეგობარი. მალე მე და ბებო ტოლებივით ხელჩაკიდებულნი ნელი ნაბიჯით, მაგრამ საგრძნობი გულისფანცქალით გავემართეთ ეკლესიისაკენ, რომელიც ჩვენი სახლიდან, არც ისე შორს იყო.

მზიანი დღე იყო. ცის უზარმაზარ მუქ ლურჯ სივრცეში კუდმაკრატელა მერცხლები ქროდნენ. ერთმა მერცხალმა სულ ახლო ჩემს გვერდით ჩაიქროლა, ისე ახლოს, მისი ფრთებით შერხეული ჰაერის ნიავისებური მიალერსებაც კი ვიგრძენი ლოყასთან. მერცხალი უცებ ცაში აიჭრა და მე დიდხანს ვადევნებდი თვალს, სანამ იგი წერტილივით არ დაპატარავდა და ბოლოს სულ გაქრა. მივდიოდით მე და ბებო და ორივეს გული სიხარულით ძგერდა, ყველაფერი მიზიდავდა და თავს მაყვარებდა, რის დანახვაც კი შემეძლო. პატარა, მეტიჩარა ფინიაც კი, ყეფით რომ გამოგვენთო მეზობლის ეზოდან და დიდხანს გვდია შორიახლოს—არ მემეტებოდა. მალე ზარების ხმაც მოისმა. სამრეკლოზე ჯერ პატარა ზარები წკარუნებდა, შემდეგ კი დიდმაც გამოიღო ხმა და მის ზრიალ-გუგუნს თითქო უსიამოვნოდ ღებულობდა ყური, როგორც რაიმე უბედურების მაუწყებელ ნიშანს. მაგრამ ახლა ისე კაშკაშებდა მზე, ისე ყვაოდა ვარდის უბრალო ბუჩქიც, ისე ნავარდობდნენ ჩიტები, არაფერი არ აძლევდა ბანს შიშისმომგვრელ ზარის ზრიალ-გუგუნს.

მე კარგად ვიცნობდი ზარების მრეკავს, სამოც წელს გადაცილებული მნათე, რომელსაც ჯერ კიდევ ყოჩაღად აქონდა წელი სამრეკლოს მაღალ კიბეზე, ზარების რეკვაში უნაკლო ოსტატობას იჩენდა. რამდენი მღვდელი მოინელა ამ ეკლესიამ, მაგრამ სისო მნათეს ჯერ „გამოსაცვლელი“ პირი არ უჩანდა. იგი შეაბერდა ამ ეკლესიას და მთელი თავისი „ნიჭი“ ადამიანური შესაძლებლობანი ზარების ოსტატურ რეკვას შესწირა.

დღეს ხალხი ჩვეულებრივზე მეტი მოსულიყო. ეკლესიაში ადგილის სივიწროვის გამო ბევრს გარედან უხდებოდა წირვის მოსმენა. მიუხედავად ამისა, ბებო იმდენად გაბედული და მოხერხებული აღმოჩნდა, რომ ადვილად შესძლო გაჭედილ ხალხშიაც კი გზისგაკვლევა და მლოცველთა წინა რიგებში მოხვედრა.

ახალი მღვდელი, მართლაც ახალი და საყურადღებო იყო თავისი გარეგნობით. მის გოლიათურ სიმაღლეს, მრისხანე იერს არ შეიძლებოდა შეხვედრისთანავე არა თუ ჩემისთანებისათვის, უფრო მოზრდილთათვისაც შიში და უსაფუძვლო ძრწოლა არ მოეგვარა. მიკვირდა — ვინ შემოუშვა ის ეკლესიაში, მიკვირდა, რომ ასე წყნარად, სულგანაბული იდგა ხალხი მის წინ. შიში კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა მან გააღო პირი და თავისი მგრგვინავი ხმით სამრეკლოს დიდ ზარზე უფრო ძლიერად შეარყია მაღალი გუმბათის მყუდროება. ყოველი მისი შეძახილი, ხანაც გაბმული გუგუნი მაიძულებდა, თავი დამეხარა და ყურებზე ხელი ამეფარებია — მეგონა მისი ხმის სიძლიერეს კედლები ვეღარ გაუძლებდნენ და ნანგრევებში ცოცხლად დავიმარხებოდით.

ახალმა მღვდელმა ერთხელ ჩვენც მოგვინახულა, რომელიღაც დღესასწაულზე სუფრა აკურთხა, ბებომ შესაფერი პატივი სცა, ბებო ხალისით და მორიდებით ფუსფუსებდა მის გარშემო... მიუხედევად იმისა, რომ ჩემთან დაახლოება ახალმა მღვდელმა საალერსო სიტყვებით და საჩუქრებით დაიწყო, მე მაინც ვერ შევეგუე აზრს, რომ ასეთი გარეგნობის და შემარწუნებელი ხმის პატრონი შეიძლებოდა გულკეთილი და სანდო ადამიანი ყოფილიყო.

ამიერიდან ეკლესიაში ჩემს სიარულს, გარდა იმისა, რომ მარტო ფრესკების თვალიერების მიზანი ასულდგმულებდა, აგრთვე ახალი მღვდლის მონახულების სურვილი ამაგრებდა... მეშინოდა მისი, მაგრამ მაინც მიზიდავდა.

ერთხელ, ზიარების კვირაში, როცა მწყობრად მდგარი ხალხი დინჯად მიიწევდა საკურთხევლისაკენ, იქ იდგა ჩემთვის უკვე ცნობილი, დაახლოებული ახალი მღვდელი და ზიარებას სთავაზობდა კოვზით ყოველ მლოცველს. მართალია პატარა ვიყავი, მაგრამ არც იმდენად, არ მცოდნოდა იმდენი ხალხის მიერ ნალოკი კოვზით ტკბილი წვენის რამდენიმე წვეთის დალევა არ უნდა ყოფილიყო საზარბიელო.

ეს მოსაზრება და უნებურად აღძრული ზიზღი, კიდევ უფრო გამიძლიერდა ჩემს წინ მდგარი ვაჭრის შეწითლებულმა, დამუწუკებულმა და მოლურჯო კოპებიანი სახის ხილვამ. იგი ხალხში ყოველთვის დამცინავ ღიმილს და ჩურჩულს იწვევდა... ჩურჩულს, ერთხელ მეც დავუგდე ყური... ერთმა უცნობმა უცნაური სახელი უწოდა მის ავადმყოფობას.

შემდეგში დავიწყების შიშით, ყოველდღე ვიმეორებდი იმ სიტყვას, მაგრამ ერთხელ გაუფრთხილებლობის გამო ბებომაც გაიგონა და... წკეპლას ძლივს გადავურჩი.

საზიარებლად შეკრებილი ხალხი დინჯად მიიწევდა წინ. როცა მღვდელმა თასიდან ამოიღო კოვზით ზიარების წვენი და ჩემს წინ მდგარ ვაჭარს გაუწოდა, მე ვეღარ მოვითმინე, გავბედე, სწრაფად გამოვედი რიგიდან, მივწვდი მღვდლის ანაფორას გრძელ სახელოს და ხელი ქვემოდ დავაწევინე. ზიარება დაიჭცა. ამ ამბავმა ერთობ გააოცა მღვდელი, მაგრამ რადგან მიცნობდა, ძალაუნებურად თავი შეიკავა. ვაჭარი კი იმდენად აღაშფოთა ჩემმა საქციელმა, რომ ხელიც კი წამკრა თავში...

ამ შეშხვევის შემდეგ ბებოს აზრად აღარ მოსვლია ჩემი ეკლესიაში წაყვანა. სახლში დაბრუნებისას რამდენჯერმე გამიმეორა მწუხარებით, რომ მე უსათუოდ „ურჯულო“ გამოვიდოდი... მართალია, ამ „განმარტებამ“ ოდნავ ჩამაფიქრა, მაგრამ მნიშვნელობა მაინც არ მიმიცია, გაბრაზებულ ბებოს წყევლას არც ისე დიდი ძალა უნდა ჰქონოდა, რადგან მაინც უზომოდ ვუყვარდი და უფრო მძიმე დანაშაულისათვისაც კი გულით ცუდს არ მისურვებდა.

იმ ღირსშესანიშნავი დღიდან ბებომ სარწმუნოების ხაზით ჩემს გათვითცნობიერებაზე ზრუნვა რომ შესწყვიტა, მე დავუახლოვდი და დავუმეგობრდი იმ სტუდენტს, რომელიც „ბუნტის მოწყობისათვის“ უნივერსიტეტიდან გამოერიცხათ და ქალაქიდანაც გამოეძევებინათ... სტუდენტს ჩვენს სახლში მანსარდი ეჭირა და მყუდროდ ცხოვრობდა. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ ამხანაგები, იმართებოდა კამათი... სტუდენტს სულიკო ერქვა სახელად. ამ სახელით გაგვაცნო მან თავი. სულიკო იშვიათად გამოდიოდა გარეთ. მთელ დღეს, თუ ამხანაგები არა ჰყავდა შინ, კითხვას და წერას ანდომებდა; ხშირად გვიან, ღამითაც კი ხმამაღლა კითხულობდა ლექსებს, ალბათ ცნობილი პოეტებისას, რომლებშიაც ქებადიდებით იყო მოხსენებული თავისუფლება, შემდეგ იგი მოჰყვებოდა გაუთავებელ ხველებას, წინდაუკან სიარულს, რაც მომაკვდინებლად მოქმედებდა სულიკოს ხმაურისგან გამოღვიძებულ ბებოს ნერვებზე. ბებოს ხშირათ უთქვამს მუქარით, მე ქალი არ ვიყო, თუ ხვალ დილასვე არ გავდენო ის ბიჭი სახლიდანო. მაგრამ... გათენდებოდა დილა, ზრდილობიანად მიესალმებოდა პირის დასაბანად ეზოში ჩამოსული სულიკო ბებოს და ამით თავდებოდა ყველაფერი:

ნასადილევს, როცა ფრთხილად შევაღებდი სულიკოს ოთახის კარს, იგი უსათუოდ ლოგინ აკეცილ ტახტზე წამოწოლილი მხვდებოდა. ხელში ფანქარმომარჯვებული დინჯად კითხულობდა წიგნს. ჩემი მისვლით ყოველთვის ხელს ვუშლიდი ალბათ, მაგრამ ის სრულებით არ მისაყვედურებდა, პირიქით ყოველთვის მხიარულად მომესალმებოდა, მაგიდაზე დახვავებული წიგნებიდან ამოარჩევდა ყველაზე უფრო საინტერესო ფერად სურათებიან წიგნს და ჩამაბარებდა გადასათვალიერებლად, თავის შესაქცევად. მალე ჩვენი მეგობრობა ისე გაღრმავდა, რომ მან რომაული ციფერბლატიანი საათის ცნობაც კი მასწავლა. შემდეგ მას დაემატა რუსული ანბანი. ეს უთუოდ დიდი ნაბიჯი იყო წინ—ჩემს ჯერ კიდევ მარტივ ცხოვრებაში. დადგა ზამთარი. ზამთარს ბევრი ახალი ამბავი და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა. ბებო წირვაზე აღარ დადიოდა... ზარებს რეკვა იშვიათად ისმოდა. ქუჩებში მწყობრად მიმავალი, მობილიზებული, როგორც სულიკომ მითხრა, ახალგაზრდები მღეროდნენ უდარდელად... შეიძლება მათი სიმღერა ძალიან დარდიანი იყო, მაგრამ მე მხოლოდ ჩემი გაგებით ვაფასებდი მოზრდილთა რთულ ცხოვრებასაც და მეგონა, მათი სიმღერაც ისევე მხიარულების და უზრუნველობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, როგორც ჩემი.

ახალგაზრდები მიჰყავდათ ფრონტზე.

რას ნიშნავდა ყველაფერი ეს — ვის მიჰყავდა ისინი, რისთვის მიჰყავდათ? ჩემთვის გაუგებარი და მიუწვდომელი იყო.

სულიკოსაც ვკითხე, მაგრამ მან ორი სიტყვა გაიმეტა მარტო: „მერე გეტყვიო“. და მეც გადავწყვიტე „მერე“ გამეგო ყველაფერი.

თუ წინათ თვეები და წლებიც ჩუმად ქრებოდნენ, ახლა ყოველ დღეს ყოველ კვირას სულ ახალახალი ამბები მოჰქონდა.

პირველი — საყურადღებო ცვლილება ბებომ რომ ეკლესიაში სიარული შესწყვიტა — ის იყო, მეორე კი უცნაური ალიაქოთი, ტყვიამფრქვევების კაკანი და ზარბაზნების შორეული, ყრუ ქუხილი, რამაც მთელი დაბა შეაძრწუნა.

ღამე იყო...

თვალის გახელასა და გონზე მოსვლისთანავე ყველაფერი ეს რატომღაც იმ სიზმრის გაგრძელებად მომეჩვენა, რომლის ხილვაც ორიოდე წუთის წინ შემიწყვიტა მოულოდნელმა ალიაქოთმა... შემდეგში გავიგე — თურმე მარტო მე და

ჩემსავით პატარებს ეძინათ მშვიდად, თორემ უფროსები დიდიხანია შიშის კანკალით ათევდნენ ღამეს.

პირველი, — რისმა ხილვამაც გამიკვირთო ბავშვური უდარდელობა—ეს იყო დიდი ხანძარი მენშევიკ-გვარდიელების მიერ გაჩაღებული. ცეცხლი ეკიდა დუქნებს. ხანძარი ძლიერდებოდა. შავი ბოლით და უამრავი ნაპერწკლებით მოფენილიყო ცა. მე საბანი მომახურეს და დამარიგეს — ოთახის კუთხეს არ გავშორებოდი, მაგრამ გარეთ მომხდარი ამბებით დაინტერესებულმა უმალვე დავივიწყე უფროსების დარიგება, რა წამს მათ ჩემი ოთახის კარი გაიხურეს, ჩუმად მოვიპარე ფანჯარასთან, სკამზე ავცოცდი და ოდნავ გამოვაღე დარაბა, გარკვევით ვხედავდი — როგორ იწვოდა დუქნები. ულმობელი ცეცხლით გალაღებული ენები გამანადრუგებელი მუქარით მიიწევდნენ წინ, გადადიოდნენ სახურავიდან სახურავზე, კედლიდან კედელზე. შავი ბოლი და ნაპერწკლები კი დასავლეთისაკენ მიჰქონდა ნიავს: ტყვიამფრქვევების, ზარბაზნების ხმა თანდათან მკაფიოდ ისმოდა. ადამიანები კი ჯერ არსად ჩანდნენ.

გათენებისას, როცა სროლის ხმა მისწყდა და ფანჯრებიდან უფრო გაბედულად დავიწყეთ მზერა, ქუჩები ქვეითად მიმავალი და ცხენოსანი მებრძოლებით აივსო. ცხენოსნების ერთი ნაწილი ჩვენი ეზოს ღობესაც მოადგა.

მეთაურმა ცოტახანს იცადა, მერე ერთერთ მებრძოლს დაავალა ღობეზე გადმოსულიყო და კარი ფრთხილად გაეღო. მებრძოლი გადმოვიდა ღობეზე, გაღო ჭიშკარი და ცხენოსნები ეზოში შემოვიდნენ. მალე დაქანცულებით, ლაფში ამოსვრილებით, მსუბუქადდაჭრილებით მოიფინა ეზო.

ერთერთმა მებრძოლმა ფანჯარაში თავგაყოფილ ბაბუას მოჰკრა თვალი და მიაძახა: „ამხანაგო — სათხოვარი გვაქვს, ძირს გვეახელიო“... ბაბუა ეახლა.

ახალმოსულები სანდონი და მშვიდობის მოყვარულნი აღმოჩნდნენ.

ბებომ ჩუმად ჰკითხა ბაბუას, როცა იგი ჩვენთან ოთახში შემოვიდა სახელოიმარი:

— ვინ არიან ადამიანო?

— ბოლშევიკები! — მიუგო ბაბუამ.

უეცრად სულიკოც მოვიდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და გვითხრა—ახალმოსულებს ხომ არაფერი უწყენინებიათო. ერთი კვირის წინათ იგი უგზოუკვლოდ გაჰქრა, ვწუხდით, მაგრამ ყოველ დღე ველოდით მის გამოჩენას და ძალაუნებურად დარდს ვიქარვებდით. ახლა მისმა გამოჩენამ, მისმა ტანსაცმელმა ალბათ უფრო გაგვაოცა. სულიკო მეთაურს ესაუბრა რამდენიმე წუთს, მერე ყველას სათითაოდ გამოგვემშვიდობა და გაიქცა.

ჩვენს სიხარულს წუთით ჩრდილმა გადაუქროლა, როცა გავიგეთ, რომ მნათე წუხელ ღამით მოუკლავთ გაქცეულებს. გვარდიელებს სამრეკლოზე ასვლა მოენდომებიათ ტყვიამფრქვევით, მნათეს გასაღები არ დაენებებია. ბოლოს მათ ეკლესიის კარი ძალით შეემტვრიათ, მნათეს მაინც წინ გაესწრო, იმ მიზნით, რომ ზარების რეკვა აეტეხა და ქვეყნისათვის ეცნობებია ასეთი უსამართლო ძალადობის შესახებ.

მნათეს მარტო ერთხელ მოესწრო დიდი ზარის შემოკვრა. გვარდიელები დასწეოდნენ და სამრეკლოდან გადმოეგდოთ.

ახალმა მღვდელმა — ექვთიმემ — ჩემმა საფთხობელამ და ბებოს სიმპატიამ, მესამე დღეს მოგვინახულა და აღშფოთებით გვაუწყა:

— რას ფიქრობენ, განა შეიძლება ქვეყანა არსებობდეს ეკლესიის, ღმერთის, სარწმუნეობის გარეშე?!!!

სთქვა და წავიდა, დიდხანს აღარ გვინახავს, უკვალოდ გადაიკარგა.

ახალმა შთაბეჭდილებებმა ახალ მოსულებს რომ მოჰყვა, მალე სრულიად გადამავიწყა მღვდელი ექვთიმე და მის სახელთან დაკავშირებული ამბები.

ბებო კი თვეში ერთხელ მაინც ამოიოხრებდა ხოლმე დაწოლის წინ პირჯვრის გამოსახვის დროს — და მე ვხვდებოდი, ეს ოხრვა უკვალოდ დაკარგული ექვთიმეს უიმედო მოგონებით იყო გამოწვეული.

მე მალე დავსტოვე დაბა და ბებოც ჩემთან ერთად წამოვიდა ქალაქში.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვიხილე ექვთიმე, მართალია ცხრა წელმა განვლო, მაგრამ მისი გარეგნობის დამახასიათებელი ყოველი წვრილმანიც კი ისე მკაფიოდ, ისე ღრმად აღიბეჭდა ჩემს მაშინდელ ბავშვურ მეხსიერებაში, რომ ყოველთვის მისი ხსენებისთანავე ადვილად შემძლო ჩემს წარმოდგენაში უნაკლოდ აღმედგინა მისი გარეგნობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა მე საერთო მაინც ვერაფერი ვპოვე ცხრა წლის წინათ ნახულ ექვთიმესა და ცხრა წლის შემდეგ ბებოსთან სტუმრადმოსულ მოხუცს შორის, თუმც ბებო მისი წასვლის შემდეგ დიდხანს მარწმუნებდა, ეს მოხუცი სწორედ მღვდელი ექვთიმე იყოო.

თვრამეტი წელიც რომ გასულიყო, მის ამგვარ ფერიცვალებას მაინც უდროოდ ჩავთვლიდი; ამაყი გამომეტყველების, წელში გამართული, როგორც მე მახსოვდა, ახლა შესაბრალისად მოკაკვულიყო, შუბლის ქვედა ნაპირს — თვალბუდის სიღრმეში უსიცოცხლოდ ამოძრავებდა გამომშრალ და გამოშტერებულ თვალებს.

განმეორებით მობრძანების დროს ბებომ სამართლიანად უსაყვედურა იმის შესახებ, რომ ველარ გაიგო ამ ხნის კაცმა ქვეყნის ამბავი, რომ ჯერ კიდევ იმ ძველისძველ, ბეჭებზე გახუნებულ და გაცრეცილ ანაფორას ატარებდა.

— მეც უხერხულად ვგრძნობ თავს, — აღიარა ექვთიმემ, — ბედნიერ შემთხვევებს ბევრჯერ უხსნია ადამიანი ამგვარი უხერხულობისაგან, მაგრამ, როგორც სჩანს ყოველი ადამიანი განსაკუთრებით ღვთის მსახური არ ყოფილა ღირსი ასეთი მადლით დაჯილდოებისა.

ექვთიმეს თავისმართლება არც ეძნელებოდა, არც ეზარებოდა. მსმენელის გულისყურსაც ადვილად იმორჩილებდა მოხერხებული გამოთქმებით, აუჩქარებელი ლაპარაკით.

ისე წავიდა, დაგვემშვიდობა ექვთიმე და ერთი წლის განმავლობაში აღარ გამოჩენილა. ბებომ თითქოს დაივიწყა კიდეც იგი. მხოლოდ ერთხელ, უნებურად მოიგონა და ჩუმად ამოიოხრა. ბაბუამ სიბრალულით შენიშნა: სადმე უპატრონოდ მოკვდებოდაო — და ფარული დაცინვით ხმადაბლად დაუმატა, — რა უშავს, სამაგიეროდ მისი სული ცაში იპოვნის პატრონსო.

მე კი მიუხედავად იმისა, რომ ბაბუას განმარტების შემდეგ ექვთიმეს სიკვდილში ეჭვი აღარ მეპარებოდა, — კარზე კაკუნის დროს მაინც უნებურად უნდა მეფიქრნა: „ის ხომ არ მოვიდა?“ და შემდეგ ფრთხილად გამეღო — დასარწმუნებლად მართლა ის იყო თუ არა.

ექვთიმემ შეგვაჩვია თავისებურ კაკუნს, რითაც შეუცდომლად ვტყობილობდით მის მოსვლას, მაგრამ ახლა როცა წელიწადზე მეტი დრო გავიდა, რაც ის არ გვენახა, უცხო სტუმრების კაკუნს თითქოს ველარ ვარჩევდი ექვთიმესათვის დამახასიათებელ კაკუნში. იმ საღამოსაც, შინ რომ მარტო ვიყავი, სწორედ ისეთივე კაკუნი მომესმა, როგორიც ექვთიმეს ჩვეოდა. პირველად დამეზარა ადგომა, წავუყრუე, თუმცა ნაცნობმა ხმამ უმალვე მიიქცია ჩემი ყურადღება: რატომღაც გავიფიქრე — კითხვაში გართულს, იქნებ მომჩვენებოდა კიდეც, სმენას ეღალატნა.

კაკუნი განმეორდა, ვიცოდი სახლში მარტო ვიყავი, მაგრამ რატომღაც ბებოს ვუხმე... ძახილის შემდეგ დამკვიდრებული სიწყნარე, მოლოდინი—საგრძნობლად აძლიერებდა ჩემს მოუთმენლობას.

მართალია, დარწმუნებული ვიყავი—ის შავშლაპიანი, წვერ შეჭაღარავებული — ექვთიმე უკვე მოკვდა, მაგრამ ეჭვი მაინც არ მასვენებდა. ეს ეჭვი, ეს ყოყმანი კიდევ უფრო გამიძლიერა განახლებულმა კაკუნმა, ახლა თითქოს უფრო ნერვიულმა და უფრო ხანგრძლივმა. იქნებ გარედან კარზე მომდგარი უცნობი მიყურებდა, რომ ასე დავიბენი და შიშიც ვიგრძენი. იქნებ მე ვცდებოდი... ხომ შეიძლებოდა კარებზე მომდგარი უცხოს კაკუნის თავისებურება მიმსგავსებოდა ექვთიმესას... ადამიანები ხანდახან სახით, გარეგნობით გვანან ხოლმე ერთმანეთს.

მე გავიფიქრე, იქნებ გარეთ კარებთან არა ექვთიმე, არამედ ფოსტალიონი, სახლის ქირის, ან სხვა რაიმე გადასახადის ამკრები პირი იდგა. მეორედ მივუახლოვდი კარს, მართალია ამდენი ხნის დაყოვნების შემდეგ სირცხვილიც იყო გაღება, ცნობისმოყვარეობას რომ არ შევეცდინე. ჯერ კიდევ ვმსჯელობდი გონებაში, კარს მჭიდროდ მივადე ყური, გავინაბე. მესმოდა, როგორ თანაბრად აუჩქარებლად მიცემდა გული და თუ ახლა ჩემი გული მართლაც ჩქარობდა ლოდინში, ორი წუთი მაინც უნდა დამეკარგა, რადგან ამ მდგომარეობაში ორასამდე დავთვალე გულის ძგერა... მერე გავაღე კარი და... შემრცხვა, გარეთ არავინ სჩანდა.

ოთახში შემობრუნებისთანავე ერთმა აზრმა გამიელვა თავში. ისევ გარეთ გამოვედი, პირველ სართულამდე კიბეები ჩავათვალიერე. მეორე სართულზე, კიბის მოსახვევში ვიღაც შეჩერებულიყო და ტორსით ნახევრად შემობრუნებული ჩემსკენ იყურებოდა; მისმა უღონო წამოძახილმა, ჩემი სახელის გაგონებამ თითქო გამომაფხიზლა... მე დავრწმუნდი, რომ ეს წელშიმოხრილი გაძვალტყავებული სულდგმული ექვთიმე იყო. კიბეზე ჩავირბინე, ხელი მოვკიდე და ამოსვლაში ვუშველე.

ოთახში ხალგადაფარებულ ტახტზე დავსხედით. ექვთიმემ, სანამ რაიმეს იტყოდა ირგვლივ—კედლები, ოთახის მორთულობა შეათვალიერა. მე ვერ მივხვდი, რისთვის სჭირდებოდა მას ოთახის ასე გულმოდგინეთ დათვალიერება. ვინ იცის, შეიძლება ფიქრობდა: ყველგან ყველაფერი იცვლება, წინ მიდის, მხოლოდ ჩემს გამოცვლას, ფერიცვალებას აღარაფერი ეშველაო.

რამდენჯერმე ვცადე საუბრის დაწყება, მაგრამ იგი ყოველთვის მოკლედ მიპასუხებდა, რითაც ალბათ უნდოდა მივეხვედრებინე — ლაპარაკის გუნებაზე წინანდებურად აღარ ვარო.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ — მან შემაწყვეტინა კითხვა, ჩემთვის ჩუმად ვკითხულობდი წიგნს და მთხოვა ყური მეგდო მისთვის.

— რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენთან აღარ ვყოფილვარ?..

— ერთი წელი, თუ მეტი არა!..

— ერთი წელი?... იცი რამხელა დროა, შვილო!?

... და მოჰყვა, მიამბო, სად იყო, რა გააკეთა ამ ერთი წლის განმავლობაში. რის შესახებაც მიამბობდა, ყველაფერი შეეხებოდა მისი ადამიანური სახის დაბრუნების ცდას.

თითქო დიდი საიდუმლო ყოფილიყო — ჩურჩულით მიამბო იმის შესახებ, რომ ვინ იცის ჯერ კიდევ რამდენი დამარცხებული და შეურაცყოფილი

სკოცხლობს ამქვეყნად ხვალინდელი დღის იმედით, მაგრამ ვინ იცისო, ისიც, რამდენ მათგანს დასცინის ყოვლის შემძლე ხვალინდელ დღის ზურგსუკან ამოფარებული უიმედობა. რამდენისთვის საიდუმლოდ წინასწარმეტყველებს მარადიულ უმწეობას. ეჰ, რა ცუდ ვარსკვლავზე იბადება ზოგიერთი... „როგორც ხედავ — და ექვთიმემ მოწიწებით მიიდო გულზე ხელი, — დღემდე ხორციელ ვარამს სამაგალითოდ გაუძლო დაუსრულებელ ლოცვაში გამომუშავებულმა მოთმინებამ, მაგრამ... რისთვის? ამის შესახებ ერთხელაც არ დავფიქრებულვარ, — ეს თითქო დამატებითი ინსტიქტი იყო რაღაცისთვის მეწამებია ხორციხანდიხან მგონი იმასაც ვფიქრობდი, ისევ ძველი დრო დაბრუნდებოდა, ეკლესიის კარებს გაგვიღებდნენ და მოვყვებოდით ისევ უაზრო დაუსრულებელ ბუტბუტს.

როგორ მაბრაზებდა აქამდე ხალხის საქციელი, როცა იცინოდა და აჩქარებით განზე აფურთხებდა ყველა გამვლელი ჩემი ძველი შლიაპისა, წვერულვაშის და გაცრეცილ-დალაქავებულ ანაფორის ხილვით „დანავსული“, მაგრამ... როგორ მიშველა ხალხის ამ სამართლიანმა დაცინვამ თვალების გახელაში. ანდაზა ამბობს: „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო“. თუმცა რაღა უნდა გამიკეთოს ამ გვიანმა გამოფხიზლებამ... დაგვიანებასაც საზღვარი აქვს. მხოლოდ მაგალითად თუ ივარგებს მათთვის, რომელნიც ჯერ კიდევ აიძულებენ ხალხს განზე აფურთხონ მათ ყოველ ხილვაზე... მე უკვე დამარწმუნა დრომ: ქვეყნის საქმე მით უფრო კარგად წარიმართება, რაც ნაკლებად ეყოლება ღმერთის თვალთმაქცი მოციქულები. ქვეყანა შეიძლება არსებობდეს მათ გარეშე.

ექვთიმემ ამ „ფილოსოფიურ“ მსჯელობას პრაქტიკული წინადადებაც მიაყოლა; იგი მთხოვდა, სულ პატრა, შესაფერი სამუშაო მეშოვნა სადმე მყუდრო ადგილას, რის წყალობითაც მოპოებულ ლუკმას ხალხი აღარ დაამადლებდა და აღარც მის ხილვაზე გააფურთხებდა დაცინვით...

ექვთიმეს დიდხანს არ დასჭირებია ლოდინი. სამუშაო მოკლე ხანში გავუჩინე. აკადემიაში, ფერწერის კლასის ხელმძღვანელს, მოხუც პროფესორს საოცრად მოეწონა ჩემს მიერ მიყვანილი ექვთიმე. მაგრამ... მოულოდნელად, როცა დაბარებისამებრ — მეორე დღეს გამოცხადდა ექვთიმე აკადემიაში და პროფესორმა მხურვალე მისალმების შემდეგ სთხოვა მოდელისათვის გამართულ მაგიდაზე ასულიყო, რომელიც კედლის წინ იდგა, და ზემოდან ათასსანთლიანი ელნათურა ანათებდა ამ ადგილს, ექვთიმემ მტკიცედ იუარა — როგორ გეკადრებაო, განმარტა, ჩემს ჭაღარა წვერს იმდენ პატივს კიდევ ვცემ, ხალხის წინაშე — და მან ცნობის მოყვარეობით მზირალი სტუდენტებისაკენ გაიშვირა ხელი, ასეთ სამასხარო რამეს ვერ ვიკისრებო.

პროფესორმა მომხიბლავად გაიღიმა, ექვთიმესთან მივიდა, მის გრძელ წვერს ქვემოდან ამოსდო ხელი და წინ წამოსწია. რამდენჯერმე შეაქანა, თითქო დასცინოდა მოხუცს, რომელიც ასე აფასებდა თავის წვერს.

როცა პროფესორმა მხარი იბრუნა, ექვთიმემ იჭვნეულად ჩამოისვა წვერზე ხელი, თითქო ახლა მიხვდა თითონაც — რომ ის წვერი მართლაც არ იყო იმოდენა პატივისცემის ღირსი.

პროფესორმა რაღაც წაუჩურჩულა თავის თანაშემწეს და მერე ისევ შოუბრუნდა ექვთიმეს — რაც შეეხება მორცხვობას, — შენიშნა მან, — და რაც ბუნებრივია, მით უფრო თქვენისთანა მოხუცისა და როგორც გავიგე წარსულში „ყოვლად წმინდა“ სასულიერო პირისათვის—გარწმუნებთ: ეს საქმე სრულიად არაა სათაკილო და არც იმ „სასჯელთა“ რიცხვს ეკუთვნის, რისი ღირსი თქვენ შეიძლება იყოთ წარსულში დაგროვილი ცოდვებისაგან თავის დასახსნელად.

პროფესორმა ადროვა — სანამ ექვთიმე მის ნათქვამში გაერკვეოდა — მერე მხარზე ხელი შეახო და სთხოვა გაჰყოლოდა.

ექვთიმე მორჩილად გაჰყვა პროფესორს. პროფესორი ოდნავ გააღებდა ხოლმე ხატვის კლასების კარებს და მაგალითებით უმტკიცებდა წინასწარ თქმულს.

— ხომ ხედავთ!.. — პროფესორმა მაგიდაზე მდგარი ჭაბუკისაკენ მიუთითა, რომელსაც ყოველი მხრიდან „შემოსეოდნენ“ სტუდენტები და გატაცებით ხატავდნენ, — ისეთივე ადამიანია, როგორიც თქვენ ხართ!..

მეორე კლასში შიშველ ქალს ხატავდნენ. სანამ პროფესორი განუმარტავდა, ექვთიმემ შეხედვის უმალ მარჯვენა ხელი თვალებზე აიფარა და რამდენჯერმე წაიჩურჩულა „ვიჯმნი ეშმაკისაგან“ო, თუმც, თვალებზე აფარებულ თითებს შუა, მაინც პოულობდა სამზერს და ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა.

— უადგილოა თქვენი მორცხვობა... ადამიანის სხეულის ფორმებს აქ ისე გულმოდგინეთ სწავლობენ, როგორც თქვენ, ალბათ ბავშვობაში ანბანს სწავლობდით...

— გასაგებია! — წაიჩურჩულა ექვთიმემ და სანამ კარებს მოშორდებოდა, ერთხელ კიდევ დააკვირდა ქალის შიშველ ტანს.

ეს ამბავი საკმარისი აღმოჩნდა — ექვთიმესაგან თანხმობის მისაღებად.

ძველი ხის სავარცხელით მან ჩამოივარცხნა აწეწილი თმები, წვერი კი მოკეცა და ხალათის უბეში ჩაიტენა, მაგრამ პროფესორმა ურჩია, თავისუფლად გაეშვა, იგი აღარაფერს დაუშავებდა ახლა.

ექვთიმე ნელნელა შეეგუა ახალ ხელობას. გასამრჯელომ დროზე მოუმართა ხელი. თუ პირველ დღეს შეურაცყოფილად იგრძნო თავი, ახლა პირიქით, დახატვაზე რომ უარი ეთქვათ — ეს იქნებოდა მისთვის შეურაცყოფა. ვინაიდან ყველა კლასებში დახატეს სტუდენტებმა მისი პორტრეტი, რომელიც თითქო მიქელანჯელოს „მოსე წინასწარმეტყველის“ პორტრეტს ჩამოგავდა — და განმეორებას კი აზრი არ ექნებოდა. პროფესორმა ახალი წინადადებით მიმართა ექვთიმეს: ტანზე გაეხადა, რათა სტუდენტებს მისი შიშველი სხეული დაეხატათ. ეს უფრო საინტერესო და გაცილებით ძნელი საქმეც იყო.

ამ წინადადებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მაგრამ ექვთიმემ მოფიქრებისათვის ერთი დღის ვადა მაინც სთხოვა პროფესორს, ექვთიმემ თანხმობა მიიღო, მხოლოდ წასვლის წინ გააფრთხილა პროფესორმა — იმ შემთხვევაში, თუ აღარ დაბრუნდებოდა, ეცნობებია და სხვას მოსძებნიდნენ სამაგიეროდ. მსურველი კი, როგორც პროფესორმა დაარწმუნა — ძალიან ბევრი ეგულებოდა. ხომ ნახეთ, დაუმატა მან, — ქალებს ხატავენ შიშვლად და თქვენთვის რა უნდა იყოს ამ მხრივ დამაბრკოლებელი?

— მოგეხსენებათ ბატონო, ქალები ცნობილია... ჩვენთვის კი გაშიშვლება თავის მოკვეთაზე მეტია ჭეშმარიტად.

— ასე გგონიათ? ეთიკის შესახებ მერე. არაფერია, თქვენზე უფრო მორც...

— დიაღ, მოვალ და მოგახ-სე-ნებთ!.. დაიკნავლა ექვთიმემ.

თავისი შესაფერი სამუშაოს დაწყების შემდეგ ექვთიმე ხშირად მოდიოდა ჩვენთან, მაგრამ თავისი მოღვაწეობის შესახებ შინაურებთან კრინტს არ სძრავდა. მეც გამაფრთხილა, თუ ოდნავი ხათრი მაინც მქონდა — მისი საიდუმლოთი ენა არ მომეფხანა. პროფესორის ახალი წინადადებით გამოწვეული მდგომარეობის სირთულეში კი პირადად ველარ გაერკვა და როცა ერთ საღამოს კარი გავუღე — დერეფანშივე წამჩურჩულა, რომ „იმ საქმის“ თაობაზე ბებოსთან რჩევის საკითხავად მოვიდა, ნებას მისცემდა თუ არა. მე გავიცინე და ხუმრობაში ვაგრძნობინე, რომ ამით წინ დაუხედაობას დაამტკიცებდა მარტო. ამის გარდა

ვინ იცოდა რა მოჰყვებოდა საიდუმლოს გამომჟღავნებას. როგორ იმოქმედებდა ბებოზე იმ ამბის გაგება, რომ ექვთიმე უამრავი ხალხის წინაშე შიშველად დგომას აპირებდა.

რადგან ექვთიმე სახლში უკვე შემოსული იყო — უკან ვეღარ გაბრუნდებოდა. დერეფანშივე შეგებებულ ბებოს ძველებური თავმდაბლობით აკოცა ხელზე და შემდეგ მისაღებ ოთახში გავიდა, კვნესით დაეშვა სავარძელზე.

— ქრისტეს ხატავდნენ დედიშობილად და მის მსახურს რაღასი უნდა რცხვენოდეს. — მიუგო პროფესორს, წელამდე გაიხადა და მოდელებისათვის გამართულ მაგიდის ნაპირზე დაჯდა. პროფესორმა ურჩია ზურგით კედელს მიყრდნობოდა, რათა მალე არ დაღლილიყო და სეანსის განმავლობაში მარტო ორჯერ ან სამჯერ დასჭირვებოდა დასვენება. ექვთიმე უსიტყვოდ დაეთანხმა.

პროფესორს მისი პოზა აღარ შეუცვლია, თუმცა მკერდზე შემოჭდობილი ხელები არ მოსწონდა და თვალებ მოხუჭული შორიახლოდან დაუსრულებლად უჭვრეტდა მოდელს.

მისი წელამდე შიშველი ფიგურის წერა ერთ კვირას გაგრძელდა მხოლოდ. თუმცა ერთი კვირის ნამუშევარი ჯერჯერობით დამთავრებულად ვერ ჩაითვლებოდა, რას ვიზამდით. მოულოდნელად დავკარგეთ ექვთიმე... იმ უკანასკნელ დღეს დაგვიანებით მოვიდა, სისუსტეს უჩიოდა, უგუნებოდ იყო, ლაპარაკიც უჭირდა... პროფესორმა ნება დართო სახლში წასულიყო, მან კი იუარა და წინანდებურად მაგიდის ნაპირზე ჩამოჯდა, თავი უკან გადასწია და მკლავები მკერდზე შემოიჭდო, მაგრამ დიდხანს არ გაუძლია ამ მდგომარეობაში, უცებ ხელები გაიქნია, თავიც წამოსწია წინ და იატაკზე პირქვე დაეცა.

სტუდენტებმა პირველ ორ წუთს გაოცებისაგან ადგილიდან დაძვრა ვერ მოახერხეს, მერე კი ყველანი ერთად მისცვივდნენ ექვთიმეს. გადმოაბრუნეს, ასწიეს, მაგიდაზე დაასვენეს. პროფესორმა მაჯა გაუსინჯა, მაჯისცემა უკვე შემწყდარიყო. ცალი თვალი ღიად დარჩენოდა, მეორე კი ნახევრად მოეხუჭა.

დაუმთავრებელი სურათი იმ დღესვე შინ წამოვიღე, ბებოს ვაჩვენე, ჯერ გაოცდა მოულოდნელობისაგან, მერე კი, როგორც ჩემი პატარაობისას სჩვეოდა, გვერდით მომისვა სავარძელში და ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი ხელობისათვის ექვთიმეს წყევლაკრულვით მოიხსენიებდა ბებო, მაგრამ არ გამიმართლდა მოლოდინი.

— რა ვუყოთ, შვილო, მართალია პროფესია არაშესაფერისი მოუნახავს, მაგრამ მაგასაც ხომ შრომა ერქვა... შრომისათვის კი ვინ დამიძრახავს, ის რომ დავძრახო... აგერ მეც ხომ შრომაში დავბერდი ქალი?!..

ბებო ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მალიმალ ჩემს მიერ დახატულ წელამდე შიშველ ექვთიმეს შესცქეროდა, მერე, როცა მეც მოვაგონდი, ხელი მომხვია და გამიმხილა:

— ეგ ჩემი უკანონო ძმა იყო — უბედური!..

ხალხური ლექსები

ხუთი დეკემბრის ლექსი

დავჯექ, სიტყვები დავაწყე,
შაირ-ლექსს დავამგვანეო,
ხელში ავიღე კალამი
მელანში გავაბანეო,
ჩემი ნაფიქრი აზრები
ქალალდზე დავაბრძანეო
და მოგილოცავთ დიად დღეს,
მიიღეთ გეთაყვანეო.
პატარა არის ეს ლექსი,
ნორჩ ჯეჯილსა ჰგავს მწვანეო —
ჩვენი ცხოვრების სიახლე
ჯეჯილად დავატანეო
და გამოვგზავნე... ძმობილნო,
ბელადს მიმირთვით მალეო.
მან მოგვცა ხანა ახალი,
გასწორდა არე-მარეო...
დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს
ჩვენი სამშობლო მხარეო.

ახალი ურმული

თუნდა ამოდი მთვარევ და
თუნდ ნუ ამოხვალ ცაზედა,
შენის იმედით აღარ ვარ
ამ ბნელ ღამეში გზაზედა.
ველარ დაგვჩაგრავ სისაწყლეს
ველარ შეგვასმევ მწარესა,
დილა ჩვენთვისაც გათენდა,
ბედმა ჩვენც მოგვიალერსა.
გასწი კამეჩო რქიანო,
შენი მეუღლე მქვიანო,
გზას ალაზანი გვინათებს
ტალღები შუქსა ჰყრიანო...
თუნდა ამოდი მთვარე და
თუნდ ნუ ამოხვალ ცაზედა
შენის იმედით აღარ ვარ
ამ ბნელ ღამეში გზაზედა.

ჩაწერა **ი. მჯედლიშვილმა.**

კოტე ხიმშიაშვილი

ჯონქა ხორნაული *)

VII

ოთახს, სადაც ხორნაული ბინადრობდა, ჰქონდა თავისი ტრადიციები.

საგამოცდო სესიების მოახლოვებისას სტუდენტები ერთად გადასწყვეტდენ, თუ როდის უნდა დაეწყოთ მეცადინეობა.

ამ დღიდან საალყო წესები ცხადდებოდა. აკრძალული იყო სიმღერა და ცეკვა-თამაში. ეს პირველი მუხლი შინა-განაწესისა თითქო ზედმეტად მოგეჩვენებოდათ სივიწროვის გამო, მაგრამ კიჟა სხვა დროს მაინც ახერხებდა მაგიდისა და საწოლს შუა გასასვლელებში ლეკურის ჩამოვლას, — პირით ზურნას უკრავდა, ხელებით ტაშსა სცემდა, ხოლო ფეხებით მართლა ცეკვავდა თუ არა, ძნელი გასაგები იყო, — მაგიდის ქვეშ უნდა შეგეხედნა. აკრძალული იყო სტუმრების მოწვევაც, თუ ვინმე დაუპატიჟებლად შემოვიდოდა და გაბამდა მუსაიფს, — ჩაგუ გამოაცხადებდა, რომ ოთახს დალაგება სჭირდება, თვალის დახამხამებაში, ბოდიშის მოუხდელად შეჰყრიდნენ მაგიდაზე სკამებს, ცოცხს მოარბენინებდნენ და ჭერს ზედ სტუმრის თავზე დაუწყებდნენ ჩამოგვას. სიცილსა და ხუმრობასაც მოუკლებდნენ, რადიოს გამორთავდნენ, ლებქვეშ ამოსდებდნენ ნარდსა და ჭადრაკს. ზოგი წვერგაუპარსავად ოჯდა პირველ გამოცდაზე წასვლამდე. ბოლო დღეებში სასადილოშიც კი იშვიათად დადიოდნენ, — ჩაგუ ირწმუნებოდა, რომ გონება უკეთესად მუშაობს, თუ კუჭში სიმძიმეს არ გრძნობ.

კიჟა დიდმარხვას ეძახდა ამ დღეებს და ისეთი სახე ჰქონდა, თითქო ბეგარას მეორეჯერ ახდევინებდნენ. ჩაგუ კი პირიქით, როცა პირველად შეიკრიბებოდნენ დილით, დანიშნულ საათზე, წიგნებს გადაშლიდნენ და სიჩუმე ჩამოვარდებოდა — თავს ისე გრძნობდა, როგორც კალმახი გაზაფხულის წყალდიდობისას. კმაყოფილებით გადაავლებდა თვალს იქ მყრფთ, კარს გადაჰკეტავდა, ჯიბეში ჩაიდებდა გასაღებს, წიგნებს მისწვდებოდა დანატრებულივით და მერე მშვიდობით... ამქვეყნად აღარ იყო, კიჟას სიტყვით რომ ვთქვათ.

თანდათან გაიტყუებდა სტუდენტებს მეცადინეობა. უეცრად აღმოაჩენდნენ, რომ იმდენი არ სცოდნიათ, რამდენიც ეგონათ. ერთი წიგნი ნახევარს გეტყოდა, ორი — ნახევრის ნახევარს, მესამე წიგნი კი მხოლოდ იმას მიგახვედ-

*) გაგრძელება. „ჩვენი თაობა“ № 11.

რებდა, რომ ამ ამბავს ბოლო არ უჩანს. ბრძენის ნათქვამით ღა იმშვიდებდა კიჭა თავს ძილის წინ:

— მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი.

დილით კი გაღვიძებისთანავე ისევ შეშფოთდებოდა, — ვაი თუ სხვა რამეც ეკითხათ გამოცდებზე.

ახლა უფრო მეგობრულად, გულთბილად ექცეოდნენ ყველანი ერთმანეთს, საერთო მისწრაფება აახლოვებდათ. ყოველგვარი საუბარი, ნატვრა თუ სურვილი ერთი წინადადებით მთავრდებოდა:

— ჯერ ეს გამოცდები ჩავაბაროთ...

უკვე ადვილად იგრძნობოდა კაცის ფასი. თავდაბალ და მეცადინ ყმაწვილებს მეტი პატივისცემით ეკიდებოდნენ. მუდამ გამოწკეპილ, ამაყად მოარულ შარახვეტიებს კი უეცრად, ყველას თვალში, იერი ეცვალათ, თითქო ქუჩაში წვიმამ მოუსწროთ სადარბაზოდ გამოწყობილებს.

ჯონქას ოთახში სხვადასხვა დარგის სტუდენტები ბინადრობდნენ, მაგრამ ერთად იწყებდნენ მეცადინეობას. ვინც ადრე ჩააბარებდა ყველა საგანს — მხოლოდ დასაძინებლად თუ ღა ბრუნდებოდა შინ, ცდილობდა ხელი არ შეეშალა ამხანაგებისთვის.

სტუდენტთა ქალაქი, დილიდან გვიან ნაშუაღამევამდე, საქმიანად, საფუტკრესავით ზუზუნებდა და ბევრი სარკმელი მზის ამოსვლამდეც თაფლისფრად ენთო სიბნელეში, სავსე ფიჭის უჯრედებივით.

ახლა ოთახი არვის აპატიებდა სიზარმაცეს; ჯონქაც იჯდა და სხვებთან ერთად ემზადებოდა.

როცა პირველად შეხვდა უნივერსიტეტში მანანას, კონცერტზე ყოფნის შემდეგ, ძლიერ ცივად მიესალმა. ქალმაც უყურადღებოდ უპასუხა, ტალანში დაფიდან სესიების ცხრილს იწერდა, დაფას მინა ჰქონდა აფარებული და მანანას არც მოუხედავს, ისე დაუქნია თავი მინაში ჯონქას ბნელ ანარეკლს.

მეორე დღეს ხორნაულმა სამაგიეროს გადახდა მოუნდომა და უცდიდა როდის მისცემდა მანანა სალამს, მაგრამ კიბეზე შეხვედრისას ქალმა მხოლოდ წამწამები დახარა და ისე გაუარა გვერდით.

ასე დაიწყო უხერხულობა, რომელსაც ჯონქა თავიდან ვეღარ იცილებდა. უწინდურად, მეგობრულად ვეღარ ექცეოდა მანანას, თითქო უბრად იყო მასთან. ხან ზედმეტი მოკრძალებით დაუწყებდა საუბარს, ხან გადაჭარბებული სითამამით და მაშინვე შედგებოდა, კარგი მხედარივით ატყობდა, რომ ქანი არ ყოფნის ზღუდის დასაძლევად.

უთუოდ მანანასაც გადაედო მისი უხერხულობა, ლექციის შემდეგ თუ შეიყრებოდნენ ცოტახნით, სალაპარაკო მალე გამოელეოდათ, ისევ უსიტყვოდ დაშორდებოდნენ ერთმანეთს.

ლექციებიდან ჯონქა პირდაპირ ბრუნდებოდა შინ და მუშაობას განაგრძობდა.

სტუდენტთა ქალაქში სარკმელები უკვე გაუღეს გაზაფხულს.

თბილი ქარი ფარდებს შეარხევდა, შემოიჭრებოდა ოთახში და თითქო განგებ გადაგიფურცლავდა წიგნს, თვალს მოგტაცებდა. მთაწმინდის გასწვრივი გორაკები მწვანით დაიფარნენ. ცამ მარტის სიმღვრივე დაიწმინდა. კამკამა სილურჯეში საღამოობით ღა თუ გამოჩნდებოდნენ სველი მატყლის ქულებივით დამძიმებული ღრუბლები.

ძნელი იყო ასეთ დროს მაგიდასთან ჯდომა და გულდასმით, მეორეჯერ იმის წაკითხვა, თუ რომის პაპს რა ინტრიგები გაუმართა პიპინ მოკლემ.

ეს თბილი ქარი აფორიაქებდა სულს, ერეოლას მოგგვრიდა.

ამხანაგებს ბევრჯერ შეუმჩნევიათ, რომ ჯონქას გადაშლილი წიგნი ეჭირა და ფანჯრისკენ კი იყურებოდა ჩაფიქრებული.

მანანას უთუოდ უნდა სცოდნოდა, რომ ჯონქას უყვარს, გული ეტყოდა, გუმანით გაიგებდა. ჯონქას ძლიერ უნდოდა ეს ასე ყოფილიყო. მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ არ უთანაგრძნობენ. სადღაც, გულის სიღრმეში კიდევ ჰქონდა მცირეოდენი იმედი, უამისობა არც შეიძლებოდა. მაინც, შეყვარებულთათვის უჩვეულო სიდინჯე გამოიჩინა და თავს არ იტყუებდა. ხოლო იმის გაგება თითონ მანანასაგან, რომ იგი არ თანაუგრძნობს, — ძლიერ შელახავდა ჯონქას თავმოყვარეობას. არა, ეს არ იყო საჭირო, ერთხელვე უარყოფილსა და დამცირებულს მერე ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს. რამდენჯერმე შენიშნა თავის თავს, ლექციის დროს, რომ მანანა უყურებს. ქალი იგრძნობდა მის დაჟინებულ მზერას და მოუხედავდა. ამაოდ ცდილობდა ბიჭი სხვა მხარეს ეცქირნა, უნებურად მაინც მანანასკენ მიბრუნდებოდა მზისუმზირასავით.

ჯონქა იათაძეზე არ იჭვიანობდა რატომღაც, თითქო იგი მხოლოდ მუსიკაზე საუბარს დასჯერდებოდა. თავისი დროებითი დამარცხება თუ უკან დახევა ხორნაულს იათაძისთვის სულაც არ დაუბრალებია. არა, იგი საკუთარმა თავმა დაამარცხა. იმ ღამით პირველად აგრძნობინეს კიტი ნარდიშვილის მიერ ხუმრობით ნათქვამმა სიტყვებმა: რომ უკვე აღარ შეუძლია თავისთავს დაუმალოს მანანასადმი სიყვარული. მაგრამ, წინასწარ, როცა ემზადებოდა ციხისელის ოჯახში წასასვლელად, კარგად იცოდა — ეს ომის გადახდას ნიშნავდა. და მგონი იმღამესვე, თითონვე მიხვდა, — ჯერ ძალა არ ჰყოფნიდა ამ ომის გადასახდელად.

მანანას სიყვარულის ღირსი თუ გინდოდა გამხდარიყავ — კაციც უნდა ყოფილიყავი. და განა უიმისოდაც არ უნდოდა ხორნაულს კაცობა? ეს წუხილი შეუჩნდა, მოსვენება დაუკარგა.

დღეები მიდიოდნენ და ჯონქა მეცადინეობაში ჩაეფლო. ზოგჯერ ჩაგუს უფრო მეტი ცოდნა აღმოაჩნდებოდა, ჯონქა ცდილობდა გაესწრო და ასე დოღი გაიმართა მათ შორის, ცრემლის მოდენამდე კითხულობდნენ ორივენი.

სხვაგან გაზაფხულმა თავისი გაიტანა. ყოველ საღამოთი სტუდენტთა ქალაქიდან ცენტრისკენ სასეირნოდ დაიძრებოდა ახალგაზრდობა. წელს უეცრად დათბა და უკვე უქუდოდ, თეთრი ხალათებით დადიოდნენ. მხოლოდ ერთი ოთახი ვერ აიღო გაზაფხულმა. ჩაგუ ფანჯარასთან იჯდა, ქუჩისკენ ზურგშექცეული, ნიშნად სრული გულგრილობისა, იჯდა და კითხვას განაგრძობდა.

ჯონქაც მტკიცედ იყო, ერთხელაც აღარ წასულა სახეტიალოდ და მანანას სანახავად. აღარ ჩამოუვლია, ჩვეულებისამებრ, უნივერსიტეტი, რუსთაველის გამზირი, სოლოლაკი და საჯარო ბიბლიოთეკა. ოღონდ ზოგჯერ თვალი გაუჩერდებოდა სტრიქონზე და გაიფიქრებდა, თუ სად უნდა ყოფილიყო ახლა მანანა. ირგვლივ ბუტბუტი და ქაღალდების შრიალი იდგა — სტუდენტები თავაუღებლად სწავლობდნენ. ჯონქაც ისევ დაიხრებოდა წიგნზე.

ბოლოს, როგორც იქნა მოაღწია „წინადღემ", — პირველ გამოცდამდე ორი დღით ადრე, ოთახის ტრადიციით, მეცადინეობა უნდა შეწყვეტილიყო. გონება დაისვენებდა, აზრი უფრო ნათელი გახდებოდა; გაიფანტებოდა ის ბურუსი, მეხსიერების ერთბაშად დატვირთვით რომ დაგროვდებოდა ხოლმე თავში.

სტუდენტები გაიპარსნენ და განიბანნენ, სუფთად გამოეწყვნენ, კარგად გამოიძინეს.

ნაშუადღევს გადასწყვიტეს — სადმე წასულიყვნენ სასეირნოდ.

მზიანი დარი იყო, მეტეხისკენ გაჰყვნენ მხიარული მასლაათით და ნარიყალაზე ავიდნენ.

ფერდობებზე ლონივრად ჰყვავოდა ნორჩი ბალახი, ფეხსაცმელის ძირები მწვანედ გაუსიპდათ, სანამ სერს მიაღწევდნენ. ძველი ციხეების ნანგრევი, რუხ-წითელი კედლები ჟღალჩოხიანი, დაღლილი ბრგე ვაჟკაცებივით მიჰყუდებოდნენ ჩამოწოლილ მიწას. მათ მკერდზეც ამოსულიყო ბალახი, ძაფივით ფესვები ქვებშუა მტვრად ქცეულ დუღაბში გაეგა, მწვანე ხალებივით იზრდებოდა.

თოვლნადები და აპრილის წვიმებით გაჟღენთილი კედლები აქამდე ისევ შრებოდნენ მზეზე. სველი აგურის, ბნელში გაზრდილი მცენარეებისა და კიდევ რაღაც უცნობისა და ძველის სურნელს გცემდა სახეში ნიავი, სანამ ზევით ახვიდოდი.

სერზე შემდგარი სტუდენტები ქალაქისკენ მიბრუნდნენ და ახლა ზურგსუკან გაშლილ ველებიდან და ნაკეც-ნაკეც გორაკებიდან ისეთი სუფთა ჰაერი მოჰქონდა ნიავს, რომ გინდოდა პირღია შესდგომოდი, პეშვით შეგესვა ცივი წყაროს წყალივით.

ქვევით ქალაქის დანახვამ ყველა გააჩუმა. სერის გასწვრივ მტკვრის კლდოვანი ნაპირი იყო აღმართული. მეტეხი ხამის სამოსელში ჩაცმულ, ჩაბალახიან ბერივით პირქუშად დამჯდარიყო კლდის კიდეზე და მორევს ჩასცქეროდა. მის მხარმარჯვნივ ძველი სახლები ჩამწკრივებულიყვნენ. მათი ნარეცხი ზოლებად ჩასდევდა რუხ კბოდეს, შეუვალობისა და მედიდურობის იერს უკარგავდა.

ხიდგამოღმა, კუთხეში დადგმულ მეჩეთს, ქარვასლასა და გაღმა მეტეხს შუა ფანჯარა გამოეჭრა მტკვარს, აქედან მოსჩანდა ნათელი, დიდი ქალაქი, — თეთრი და მაღალი შენობები, მზეზე აელვარებული სახურავები, ხეების მწვანე გუნდები, უამრავი სარკმლის მინების ციმციმი.

უფრო მაღლიდან, მთაწმინდიდან თუ გადახედავ ქალაქს, — სულ სხვაა, შორიდან მხოლოდ სასახლეებს, გუმბათიან ნაგებობებს აკვირდები.

აქ კი ნარიყალა მხოლოდ იმდენზე ამაღლებულა, რომ უკეთესად ერთი შეხედვით მოავლებ თვალს ყველაფერს, არც შეჭვარტლული ბუხრის მილები გამოგრჩება და აივანზე გადმოფენილი ჭრელი ფარდაგები, არც ჭიანჭველის ბუდესავით აფუსფუსებული ბაზარი, ტანმორჩილი ვირების ქარავანი, ფიჩხის გუდურებით.

უთუოდ ასე შესდგებოდა უეცრად, აღმოსავლეთიდან მოსული ლაშქარი, როცა ნარიყალას მოატანდა და სერებზე ამოიჭრებოდა. ერთი წუთით თითქო განძით სავსე სკივრს ახადესო სახურავი, ისე გადაეშლებოდათ ხარბი თვალის წინ ტფილისი, ოქროს ჯვრიანი ეკლესიებითა და აივნიანი, თეთრი სასახლეებით. მერე ყიჟინით, იარაღის ჩხარუნით მიესევოდა კალიასავით უთვალავი ურდო თოფის კვამლში გახვეული გალავნის კედლებს.

სტუდენტები ჩუმად დაჰყურებდნენ ქალაქს. თბილი ნიავი ხალათებს ჰბერავდა მათ ზურგებზე და აფარფაშებდა.

ქვევით, განიერ ჭუჩაზე ტრამვაები დასრიალებდნენ. ახალი აბანოების ვრცელი სახურავები მოედანივით სჩანდა ზევიდან, შენობის შუაგულში ყვავილნარი და შადრევნიანი აუზები ოთხკუთხედებად იყვნენ ჩატანებული.

ქალაქის შორეულ უბნებს მტრედისფერი ბინდი დაჰკრავდა. ყოველმხრივ ტოტები გაეშალა ტფილისს, მთის ფერდობებს აჰყოლოდა, თვალი ვეღარ სწვდებოდა განაპირა ჭუჩების დასასრულს.

— რომანებში ხომ წაგიკითხავთ, ბიჭებო, — სთქვა ღიმილით ჯონქამ, — ახალგაზრდა კაცი პირველად იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას, არაფერი გაჩნია, გარდა სურვილებისა და სითამამისა. ასე, ჩვენსავით დაჰყურებს დიდ ქალაქს და ოცნებობს დაიპყროს იგი. თქვენ არ გიფიქრიათ მსგავსი რამ?

ჩაგუმ ბალახი მოჰგლიჯა და რბილი ღერო თითზე დაიხვია.

— მე მგონი, — სთქვა მან, — ჩვენ უკვე დავიპყარით ქალაქი.

— ოჰ, — ჯონქას გაეცინა, — როდის ჩაგაბარეს გასაღებები...

— ალაყაფის კარი ღია დაგვხვდა, ძმაო, — ჩაგუმ შუბლზე აიწია ქუდი და თითონაც გაიღიმა, — გასაღები არ დაგვჭირვებია. უწინ სხვაგვარად ოცნებობდნენ — სიმდიდრე, დიდება, სახელი... და ამის მისაღწევად კაცი კაცს მგლურად უნდა მოქცეოდა, ეს ცხოვრების კანონად მიაჩნდათ. ახლა ქალაქს სხვაგვარად დავიპყრობთ. — ჩაგუმ ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, ბალახზე გაშალა, ჩამოჯდა და მუხლებზე შემოიჭდო ხელები, — მთავარია უნივერსიტეტის დამთავრება, — მოულოდნელად დაასკვნა მან.

— სულ ეგ იყო?

— დიაღ. მაშინ ქალაქი ჩემიც იქნება.

— და შენისთანა მესაკუთრე ნახევარი მილიონი ეყოლება.

ნავთლუღისკენ ორთქმავალმა იკივლა. შავი წერტილი მიჰქროდა შორს, მიჰქროდა და ცხვირსახოცივით მიაფრიალებდა ლეგა კვამლის ბოლქვებს.

— თუ გახსოვს, ჯონქა, — დაიწყო ისევ ჩაგუმ, — ერთხელ მითხარი, — ჭლეხურად ნუ ლაპარაკობო. ახლა შენ სწორედ გლეხურად გამოგივიდა.

— ვითომ რატომ, მესაკუთრე რაკი ვახსენე, ჰა? ბოსტნის მიჯნებზე კი არ ვამბობ.

— ვიცი. მე არ ვაუბრალოებ საკითხს. მაგრამ საბოლოოდ ეს ინდივიდუალისტური სულისკვეთება, განდიდების, სხვებისგან გამორჩევის სურვილი... წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიაა და მეტი არაფერი. თქვენ რას იტყვით, ამხანაგებო? — ჩაგუმ ქუდი თვალებზე ჩამოწია მზისგან დასაჩრდილავად და ქვევიდან ახედა ფეხზე მდგარ სტუდენტებს, — საერთოდ კი მე ასე ვფიქრობ — ცხოვრებამ უნდა გამოგცადოს, გაგემვინოს სიმწარე და სიამტკბილე; მერე მართლაც მიხვდები, როგორ უნდა ცხოვრება. აი, მე მაგალითად, — ჩაგუ თავის მუხლებს დააცქერდა, — სანამ მოჯამაგირედ ვიყავი, ერთი ოცნება მქონდა, — კრამიტიანი ოდა დამედგა ჩვენ სოფელში, ყველაზე მაღალ ადგილას და ისეთი დიდჯიქნიანი, კარგი მეწველი თხები მყოლოდა, გალმაურ სარხანიებს რომ ვუმწყესავდი. რით იყო ცუდი ის სურვილები? თითქო არაფრით. მაგრამ ახლა მეცინება იმ გლეხის ბიჭზე, ექვსი-შვიდი წლის წინ ჩემი სახელი რომ ერქვა... გამოუცდელი უფრო ადვილად შეცდები, გზიდან გადაუხვევ. ზოგიერთს ძველ ციებასავით გვაქვს ტანში გამჯდარი ინდივიდუალიზმი, ისევ გაგიხსენებს თუ ჰაერი გამოიცვალე.

— ახლა უკვე ბავშვობისას უნერგავენ ადამიანს კოლექტივიზმის გრძნობას, — სთქვა ჯონქამ, — აუცილებელი არ არის დუხჭირი ცხოვრების გამოვლა და მერე...

— მესმის, განა არ მესმის, ჩვენც ჩაგვინერგა ეგ გრძნობა სკოლამ, კომკავშირმა, თვითონ ცხოვრებამ, ყოველდღიურმა ამბებმა. მაგრამ ყველა ნერგი ხომ ერთნაირად ვერ გაიხარებს; ზოგჯერ შეგვხვდება რაიმე დიდი დაბრკოლება და ინდივიდუალიზმი თავისკენ გადაგვხრის, რადგან ჯერ უმცროს თაობასავით ქარიშხალში, სასტიკ ყინვებში არ მოვხვედრილვართ, ხერხემალი არ გაგვმაგრებია. აი, მე რისი თქმა მინდოდა.

— მაინც, — სთქვა ერთმა, — ბალზაკის გმირებივით ალბათ ალარავინ ფიქრობს ქალაქის დაპყრობაზე, ჩაგუ მართალი იყო, მთავარია გახდე მოქალაქე, ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობით.

ჯონქას არაფერი უთქვამს. იგი გრძნობდა, რომ ამხანაგები შეუმჩნეველად გაზრდილიყვნენ. რამდენჯერ სხვებთან ერთად გასცინებია ჩაგუს უცნაურობაზე, ახლა ჩაგუ უთუოდ საკუთარ ხელის გულივით ნათლად ხედავდა თავისი ცხოვრების გზას. ხორნაული კი ისევ შეშფოთებული იყო.

სტუდენტები კარგა ხანს ჩუმად დასცქეროდნენ დაბლა გადაშლილ, მზით განათებულ ტფილისს, ყოველმხრივ დასერილს განიერი და ვიწრო ქუჩების რუხი ბაფთებით.

შემდეგ ვიღაცამ ხმადაბლა, ისე რომ სხვებიც აჰყოლოდნენ, სიმღერა წამოიწყო.

VIII

უკანასკნელი გამოცდა

უნივერსიტეტის ტალანებში ზარი უკვე აღარ ირეკებოდა.

სტუდენტები აუდიტორიების კარებთან ტრიალებდნენ მოუსვენრად; ზოგი ფანჯარასთან მისულიყო, გასაქცევად მომზადებულივით დაურბოდნენ თვალები რვეულზე, ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, ჩურჩულით კითხულობდა. ზოგს სკამი მოედგა კართან და ისე ელოდებოდა თავის რიგს, თითქო ექიმთან უნდა შესულიყო საოპერაციოდ. ჯგუფებად იდგნენ, ხმადაბლა ამოწმებდნენ ერთმანეთის ცოდნას. გაიღებოდა კარი და მიესევოდნენ გამოსულს, ყველას აინტერესებდა რა ჰკითხეს, როგორ უპასუხა. თუ იგი გაწითლებული იყო სიხარულისგან, ჯერ კიდევ ხელში ატრიალებდა „ჩათვლის წიგნაკს“ და შიგ ჩაწერილ წარმატების ნიშანს სულს უბერავდა, თუმც მელანი უკვე კარგახანია გაშრა ქაღალდზე, — ყველა გამხნევდებოდა, თავს დაიჯერებდა, რომ ტყუილად ღელავს. მაგრამ, აი, თავჩაღუნული გამოვიდა ერთი, ხმას არ იღებს, ისე იხურავს ქუდს, თითქო ავდარში ჰგზავნიან სადმე, მიდის. ამხანაგები უკან გამოუდგებიან და მხოლოდ კიბეებზე გამოსტეხავენ, — სწორედ ის ჰკითხეს გამოცდაზე, რაც არ იცოდა, სხვა ყველაფერი გაიმეორა, ყველაფერი, — ხშირი ფურცვლისაგან შელანძღულ რვეულებს გადაშლის დასამოწმებლად, — სულ ზეპირად იცის. ის ერთი საკითხი გამორჩა, გულიც უგრძნობდა და... ბევრს ძრწოლასა ჰგვრის დამარცხებულის ნახვა, ისევ ჩაეჭიდებიან წიგნებს, ან სრული აპატია ემართებათ, კარი გაიღება, დროა შევიდნენ გამოცდაზე, მაგრამ თავში ბურუსია, საკუთარი გვარიც აღარ ახსოვთ.

გარეთ კი მაისის ბოლო დღეები დამდგარან. ფანჯრებიდან სინათლის განიერი ზოლები წვება ტალანის პარკეტზე. მზე ისე აცხუნებს, რომ მალე ჩრდილს დაუწყებენ ძებნას ტფილისელები.

სტუდენტებში განსაკუთრებით გამოირჩევოდნენ ისინი, ვინც უკანასკნელად აბარებდნენ გამოცდებს, უნივერსიტეტს ამთავრებდნენ. უკვე იგრძნობოდა საზეიმო გამოსალმების განწყობილება. მეტი სიდინჯეც ემჩნეოდათ, ერთმანეთს უფრო გულთბილად ხვდებოდნენ, ვიდრე ოდესმე.

ჯონქასაც უკანასკნელი გამოცდა ჰქონდა დღეს. როცა აუდიტორიიდან გამოვიდა და ამხანაგები შემოეხვივნენ, მოლოცვა დაუწყეს, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ეს დიდი ამბავი იყო მის ცხოვრებაში. უნდოდა სათითაოდ ხელი მოეხვია ყველასთვის, რაიმე ძლიერ სასიამოვნო ეთქვა, მეგობრობა შეეფიცა.

ხუთი წელიწადი დადიოდნენ ისინი ერთად ამ განიერ, გრძელ ტალანებში, და ყოველ წელიწადს უფრო ვიწრო და მოკლე ეჩვენებოდათ ეს ტალანები, თითქო გრილი, მწვანე — თეთრი კედლები წინ მიიწევდნენ. აქ ჰქონდათ ხოლმე გაცხარებული კამათი, რომელიმე საინტერესო ლექციის შემდეგ, თუმც ხშირად საკამათო არაფერი იყო; სხვა ბევრი რამეც განუცდიათ აქ, დასვენებისას უცნაური წყურვილი აუტყდებოდათ, თუ შადრევნის ახლო ქალიშვილები იდგნენ. მთელი დღეები ისხდნენ მერხებზე და სულგანაბული ამჩნევდნენ როგორ განათდებოდა გონების კიდევ ერთი კუნჭული; ან მთქნარებით ელოდებოდნენ ზარის დარეკვას, მერხის ქვეშ მალულად სხვა წიგნს კითხულობდნენ: ახლა დამთავრდა ეს ერთი, ხსოვნაში წარუშლელი პერიოდი მათი ცხოვრებისა. ათასი მოგონება უტრიალებდათ ენაზე, დიდიხნის უნახავ ძმებივით უცინოდნენ ერთმანეთს.

ჯონქასთან, მანანაც მოვიდა სხვებთან ერთად და ხელი ჩამოართვა. იგი ოდნავ გამხდარიყო, უთუოდ გაზაფხულისა და ზედმეტ მეცადინეობისგან. თეთრსაყელოიან, ლურჯ კაბაში მსუბუქი და ტანკენარი სჩანდა მოზარდი ვაჟივით, ხელში სქელყდიანი რვეულები ეჭირა. ისე უბრალოდ და სიხარულით მიულოცა ჯონქას, რომ ხორნაულს ამ წუთში აღარ სჯეროდა თუ ორიოდე დღის წინ თითქმის უბრად იყვნენ და მხოლოდ ზრდილობის გულისთვის გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, შორეული ნაცნობებივით.

— ახლა გვითხარი რა გკითხეს, — სთქვა მანანამ, როცა მოლოცვები დამთავრდა და ჯონქამ მთელი ყურადღება მანანაზე გადაიტანა.

ხორნაული დაწვრილებით შეუდგა თავისი გამოცდის განხილვას, სტუდენტები ხშირად აწყვეტინებდნენ და საერთოდ მთელი საუბარი ციტატების, ნაწყვეტი ფრაზების, წამოძახილებისა და სიცილისგან შესდგებოდა.

შემდეგ მანანას ჯერიც მოვიდა, გამოიძახეს და როცა ქალი კარს უკან მიიმალა, ჯონქამ იგრძნო, რომ ახლა უფრო მეტად ღელავდა, ვიდრე წელან, სათვალეებიან, ჭაღარაოსან პროფესორთა პირისპირ. წუთები გარბოდნენ. ხორნაულმა ორჯერ შეიხედა საპროფესოროში, რათა კედლის საათზე შეემოწმებია, თუ რამდენ ხანს სცდიან მანანას. ორჯერვე გულში აღშფოთება გამოსთქვა, თუმც თითონ მისი გამოცდა გაცილებით მეტხანს გრძელდებოდა. ძლივს შეიკავა თავი, რათა სხვებივით ჭუჭრუტანაში ცქერა არ დაეწყო.

ბოლოს, მანანა გამოვიდა. ჯონქა ამ დროს ფანჯარასთან იდგა კარის წინ და თავისთავს შეატყო, რომ სიხარულისგან გაფითრდა, როცა მანანა პირდაპირ მისკენ წამოვიდა.

— ჩავაბარე, ჯონქა, ჩავაბარე...

არა, ისინი ისევ მეგობრები არიან. დიდი მწუხარების, ან სიხარულის დროს უთუოდ გამომჟღავნდება დაფარული გრძნობა. ჯონქას უწინ აროდეს განუცდია ასეთი სპეტაკი, ძლიერი სიყვარული ამ ლურჯკაბიან, აღელვებისგან სახე ალეწილ, მწვანე თვალება გოგონასადმი.

კიდევ ბევრი დარჩა გამოსაცდელი და ამხანაგები ელოდებოდნენ მათ, დანამდვილებით უნდოდათ გაეგოთ ერთმანეთის ამბავი. გამოცდილები, ახლა უკვე დადინჯებულნი, რჩევა-დარიგებას იძლეოდნენ. ზოგს ცოდნა აწუხებდა, კომისიას არ შეეძლო ყველაფერი გამოეკითხა მისთვის და ახლა ლაპარაკად იყო გადაქცეული, სხაპასხუპით ყვებოდა რაც კი მეცადინეობით წლობის განმავლობაში ამ დღისათვის დაგროვა, თვითონვე უღიმოდა თავის თავს, ატყობდა, რომ მართლაც და ბევრი იცის.

ჯონქა მანანას გვერდით იდგა. მზად იყო მეასეჯერ გაემეორებია თუ რა ჰკითხეს, როგორ გუნებაზე არიან კომისიის წევრები, რომელ მხარეს უნდა დაჯდე, თუ გინდა პასუხისთვის ყველაზე მეტ ხანს იფიქრო. სხვა დროს უფრო თავშეკავებული მანანაც დღეს გატაცებით ესაუბრებოდა ამხანაგებს, იცინოდა, თანდათან მთელი მათი კურსი შეგროვდა ტალანში და ისეთი ხმაური შეიქნა, რომ კომენდანტმა ნამძინარევი მეხანძრეები მოიყვანა და მოითხოვა ზოგიერთებს ბაღში გაესეირნათ.

ჯონქა და მანანა, ამხანაგებთან ერთად, მეორე სართულის კიბეებთან გამოვიდნენ იმ იმედით, რომ ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდებოდნენ უკან. ამ დროს კიბეებზე ორი მოხუცი პროფესორი გამოჩნდა. ისინი წყნარი ნაბიჯით მოდიოდნენ ზევითკენ, საუბარში ხშირად ჩერდებოდნენ, თითქო მუხლი ეღლებოდათ და ისვენებდენ კიბის ყოველ მესამე საფეხურზე. ერთ მათგანს უკან გადავარცხნილი, გრძელი თმა სრულიად გასთეთრებოდა, მაგრამ მაინც გამართული იყო მხრებში, თავაღებული მოდიოდა, დაფანჩულ წარბებქვეშ კეთილად უღიმოდნენ თვალები. მას ყველა იცნობდა, — უნივერსიტეტის დაარსების პირველ დღიდანვე კითხულობდა აქ ლექციებს, ერთერთი გამოჩენილი მეცნიერი იყო. სტუდენტები ქვის მოაჯირებს მოადგნენ და ინტერესით შესცქეროდნენ ამ მოხუცს. მას გვერდით მოჰყვებოდა მეორე, უფრო ტანმორჩილი, შეჭაღარავებული პროფესორი, კაუჭიანი ყავარჯნით ხელში. იგი ნაკლებად იყო მოხუცებული, მკვირცხლად ათვალიერებდა რიკულებთან მომდგარ სტუდენტებს. ეს ეგნატე ლაზიშვილი გახლდათ. ისიც ძლიერ უყვარდათ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით ისტორიკოსებს.

ჯონქა უყურებდა მათ და უეცრად მოაგონდა დავით ციხისელისა და ლაზიშვილის კამათი, მოაგონდა როგორ ლაპარაკობდა ციხისელი სტუდენტებზე, უნივერსიტეტზე. ამ წუთში უფრო ეწყინა ჯონქას, ვიდრე მაშინ. არა, კარგი გულით არ უთქვამს ციხისელს ის სიტყვები, მართლაც და რა ღვარძლით უნდა იყო მოწამლული თუ ვერ მიხვდები, რომ ეს დიდი, თეთრი შენობა დიდ და ნათელ საქმეს აკეთებს.

მოხუცი პროფესორები წყნარი, აუჩქარებელი ნაბიჯით გაჰყვნენ ტალანს. ყველანი ესალმებოდნენ, ფეხზე დგებოდნენ, საუბარს შესწყვეტდნენ მათ მოახლოვებისას.

— მგონი მართლა ეზოში ჩასვლა სჯობს, არა? — სთქვა მანანამ ცოტა ხნის შემდეგ, — დავიღალე ფეხზე დგომით, დავსხდებით მაინც.

— ჩავიდეთ, — დაეთანხმა ჯონქა.

ეზოში ყველა სკამები სავსე იყო სტუდენტებით. ამიტომ მანანამ მარცხნით, ბაღჩისკენ გაუხვია. აგურის ნამტვრევებით მოფენილმა ბილიკმა ხევის პირას მიიყვანა ისინი.

— არც აქ არის სკამი...

— მოდი ეგ რვეულები დავფინოთ, მანან, ბექობზე და ჩამოჯექი.

— შენ რაღას დაიფენ, ჯონქა?

— მე არა მიშავს, — ხორნაული ქალის გვერდით დაეშვა ბალახზე.

ქვევით ხევში, დიდ სიღრმეზე ძლივს მიიკლაკნებოდა, კოკიდან დაღვრილ წყალივით, ვერა, ღვინქებზე მოჩხრიალებდა მზიანი დარებით დამშრალი.

გაღმა მოსჩანდა მოედანი, თერთმეტსართულიანი, მრავალფანჯრიანი ახალი შენობით. მწვანე გორაკებ შუა გაჭრილი, მშვილდიფით მოხრილი გზა ჩელუსკინელთა ხიდისკენ. მარცხნივ, მოედნის აქეთ, ქვის კედელი ჰქონდა შე-

მოვლებული ვერის ბაღებს, ხეებში ზოოპარკის ვოლერები იყვნენ გაბნეული. კიდევ უფრო მარცხნივ, — ხეხილებში იკარგებოდა წყალმარჩხი მდინარე.

— მართლაც და ვერა, — სთქვა სიცილით მანანამ, — ვერ დავიჯერებ.

— რას ვერ დაიჯერებ, მანანო?

— რომ ამ სილრმე კალაპოტი ამ პატარა მდინარეს—ვერას გაეკაფოს. ერთი შეხედე, — ვეებერთელა გორები გამოუთხრია, ისე კი კატა ფეხს არ დაისველებს მეორე ნაპირზე გადასასვლელად.

— ეს ახლა, ზაფხულში, თორემ აბა, გაზაფხულზე ნახე, თოვლის დნობისას, ან როცა შემოდგომის წვიმები გაავსებენ, — ისე მოშხუის ამღვრეული და ადიდებული, რომ ველარც იცნობ. მთის მდინარეებმა ეგრე იციან, მოულოდნელად, ერთ ღამეში მოვარდება და გაგაკვირვებს, ნაპირებს წალეკავს, ჩამოანგრევს, სახლისოდენა ლოდს ჩამოიტანს. მაგრამ შემდეგ დავარდება წყალი და ველარ დასძრავს ხოლმე ამ ლოდს, ხან ქვეშიდან უძვრება, ხან გარშემო უვლის.

— გეტყობა მოგწონს ეგ ამბავი...

— რატომაც არა. საუცხოოა, როცა უწყინარი, ყველასაგან აბუჩად აგდებული ხევი თავის ძალას გიჩვენებს, უეცრად მოსწყდება და ისეთ ნაკვალევს დასტოვებს, რომ აღარ გჯერა, თუ ეს მან მოიმოქმედა. ზოგი კაციც ასეთი ბუნებისაა, გარეგნულად არ ეტყობა, მაგრამ ერთხელაც შესაფერი დარი დაუდგება და ქვეყანა დაინახავს რა, პოტენციაც ჰქონია.

— ოჰ, ნეტავ რა არის მანდ მოსაწონი, უზარმაზარ კალაპოტს გათხრის და მერე ფსკერზე დარცხვენილი იმალება, როგორც ნემსი ხმლის ქარქაშში, ან დიდ ლოდს მოიტანს და თითონვე ველარ დაუძრავს, თავის ჩამოთრეულს ქვეშ გაუძვრება, როგორც შენ ამბობ. მე მომწონს წყნარი და დიდი, განუწყვეტელი, ერთნაირად ძლიერი დინება, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება; თუ ლოდი წამოიღო, გარიყავს და დაფშვნის. მუდამ ერთ დონეზე დგას, თამამად შეგიძლია მძიმე ხომალდი შეაცურო შიგ...

— შენ იქნებ არჩევანში არ სცდები, მანანო, რადგან სახიფათო მეჩეჩი და წყალვარდნილები წყნარ მდინარებაში ნაკლებად შეგვხვდება, გიჟ ნაკადს კი დინჯი ხომალდისთვის სილრმე აკლია, ხოლო მსუბუქ ნავს ადვილად გადააბრუნებს. მაგრამ სილამაზე? აი, თუნდ სიყვარული ავიღოთ — ჯონქა შეეცადა ხმა არ გამოსცვლოდა, — განა დაფარული და შეუმჩნეველი, მაგრამ მძაფრი გრძნობა უფრო ლამაზი არ არის? ასეთი გრძნობა ოდესმე ველარ შესძლებს თავშეკავებას, მთის მდინარესავით მოვარდება და ადამიანის ცხოვრებას წამებად ან სიხარულად გადააქცევს...

— ჩვენ დღეს ჩვეულებრივზე მეტს ვფილოსოფოსობთ!

ქალი ფეხზე წამოდგა.

— სახლში წასვლის დროც მოვიდა, ძვირფასო...

ხორნაული ისევ მიწაზე იჯდა ჩაფიქრებული. მანანამ გაცილებით უფრო მეტი სთქვა, ვიდრე ხორნაული მოელოდა. ეს უკვე ქარაგმა აღარ იყო, თუმც მანანა ვითომ ხუმრობდა.

როცა ჭისკარში გამოდიოდნენ, მანანამ უკან მოუხედა უნივერსიტეტს.

— დამთავრდა ჩვენი სტუდენტობა. წინათ ვჩქარობდი, მინდოდა სწრაფად გაევლო წლებს, ახლა კი მენანება. ვინ იცის, იქნებ ეს დრო იყო ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი.

მანანამ მკლავში მოჰკიდა ხელი ჯონქას.

— იცი, ჯონქა, პირველ კურსზე ისე მიხაროდა უნივერსიტეტში სიარული, — აქედან სახლში, სოლოლაკში ფეხით ვბრუნდებოდი ხოლმე. ამაყად ჩა-

ვივლიდი წიგნებით ხელში, მეგონა, რომ ყველა ერთი შეხედვით შემატყობდა — სტუდენტი ვარ!...

ქალმა ისევ მოუხედა თეთრ შენობას, თითქო ემშვიდობებოდა.

— დღესაც უნდა ფეხით წავიდე შინ. დე, ეს იყოს ჩემი უკანასკნელი სტუდენტური მარშრუტი. შენც წამოხვალ იქით, ჯონქა? საქმე ხომ არაფერი გაქვს?

არა ჯონქას საქმე არაფერი ჰქონდა, რა თემა უნდა წამოვა. ორივენი ჩუმად მიდიოდნენ კარგახანს, მოგონებაში გართულნი. მზე ისე ანათებდა სახლების კედლებს და ქვაფენილებს, რომ თვალი გეტკინებოდა. მიდიოდნენ ერთმანეთის გვერდით და ორივე გრძნობდა — რაღაც ძლიერ ფაქიზზე, კეთილშობილურზე ფიქრობს მეორე. ეს აახლოვებდა მათ. სტუდენტურმა მოგონებამ სწრაფად დააავიწყათ წეღანდელი საუბარი.

— გახსოვს, ჯონქა? — სთქვა მანანამ, — ჩვენთან ეგნატე ლაზიშვილმა ჩაატარა პირველი ლექცია.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს. საქართველოს ისტორიის შესავალი. ცარცი დასჭირდა და შენ წახვედი მოსატანად. ეგნატემ ბიჭებს გვისაყვედურა — ქალი რად გაუშვითო, მაგრამ შენ კარებთან იჯექი და ყველას დაგვასწარი...

ჯონქას თვალწინ დაუდგა ახალგაზრდა სახეებით სავსე ოთახი. მერხებზე სხედან, სულგანაბულნი უსმენენ პირველ ლექციას. სერიოზულობა. ისინი ხომ უკვე მოწაფეები აღარ არიან — სტუდენტები გახდნენ. ხარბად იჭერენ ყოველ ახალ სიტყვას. ზოგი გამალებით სწერს და ნერვიულობს — ყველაფრის ჩაწერა ვერ მოასწრო. შეკითხვა უნდათ მისცენ პროფესორს, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, ხელი უნდა ასწიონ, როგორც სკოლაში, თუ... ან როგორ მიმართონ, — ზარის ხმაზე ერთმანეთს გადახედავენ — აქაც ჰქონიათ თურმე. და ვინმე ეშმაკურად გაიფიქრებს — აქაც შეიძლება გაკვეთილიდან გაპარვა. ლექციის დამთავრების შემდეგ მერხებზე ხმამაღალი ჩურჩულია, სანამ პროფესორი გავიდოდეს აუდიტორიიდან. მერე წამოიშლებიან და გაიმართება კამათი, ერთმანეთის ცოდნას კბილს უსინჯავენ, მეგობრობას იწყებენ. პირველად მაშინ შენიშნა ხორნაულმა მანანა, ასეთივე მწვანეთვალება, ტანკენარი და დამცინავი.

ჯონქამ დაფარული ალერსით გადახედა გვერდით მომავალ მანანას. დიდი ცვლილება არ მომხდარა მას შემდეგ, მხოლოდ პირველ თვეებში ნაწნავებს ატარებდა მანანა და ეს უფრო მოწაფე ქალს ამსგავსებდა.

— რა ვიცოდი მაშინ, თუ...

მანანამ სწრაფად მოიხედა და გააწყვეტინა, თუმცა ჯონქა თითონაც ველარ დაასრულებდა.

— როგორც კი მივედი სახლში, მაშინვე სუფთად გადავწერე ლაზიშვილის ლექცია. ახლაც შენახული მაქვს.

— ჰო, — გაიცინა ჯონქამ, — მეც ძლიერ ვბეჯითობდი პირველ ხანებში.

შემდეგ სათითაოდ მოიგონეს თავიანთი ჯგუფის სტუდენტები, — ვის რა ჰქონდა კარგი, ვინ იყო სასაცილო. გაიოცეს, რომ თურმე ყველანი კარგები ყოფილან, თავიდან კი ასე არ ეგონათ.

მხიარულად მიდიოდნენ ქუჩაში. მზით გამთბარი ასფალტი დარბილებულიყო, იდრიკებოდა ფეხქვეშ. ჯონქას სიამაყით ევსებოდა გული, გრძნობდა, რომ მანანას ამ წუთში ახლო მეგობრად მიაჩნდა.

— შენ რაღას აპირებ, ჯონქა, ტფილისში დარჩები, თუ სხვაგან წახვალ

სამუშაოდ? — ჰკითხა მანანამ, როცა ყველა ამხანაგის წარსული მოიგონეს და ზომავალზედაც ილაპარაკეს.

— ვერ გადამიწყვეტია, მართალი გითხრა, შენ როგორ მირჩევ?

ჯონქა დაძაბული მოელოდა პასუხს, წარბი აუთამაშდა.

— ძნელი სარჩევია. მე, მაგალითად, პროვინციაში ვერ გავძლებდი, მაგრამ შენ, ვინ იცის პირიქით, — ქალაქმა მოგაბეზრა თავი. ან იქნებ რაიმე მიზეზი გაქვს და მისთვის გინდა აქ დარჩენა.

ჯონქა მიუახლოვდა და მკლავში მოჰკიდა ხელი.

— მანანო, ხომ იცი რისთვისაც დავრჩები?..

მანანას მხოლოდ თვალის ქუთუთოები გაუწითლდნენ.

ცოტახანს ჩუმად მიდიოდნენ და ჯონქა სიტყვებს ეძებდა.

— მე ერთი ზღაპარი ვიცი, მანანო...

— მიამბე, ჯონქა, რა ზღაპარია...

— ჩვენ ქალაქში ვართ, მანანო, და ახლა შუადღეა, ზღაპარს ღამე უყვარს და ძილისპირის სიჩუმე.

— მე თვალებს დავხუჭავ, ჩემთვის დავიღამებ, შენ სთქვი და სიჩუმეც იქნება..

— კარგი, მაშ მკლავი მომეცი და მე გატარებ თვალდახუჭულს. იყო და არა იყო რა... შენ მისმენ, მანანო?..

— გისმენ, ჯონქა.

— იყო ერთი მწყემსი. მთაში ცხოვრობდა თურმე, იალაღებზე ცხვარს აძოვებდა. მუდამ ახალი საძოვრებისკენ მიუძღოდა მწყემსი ფარას სალამურის სტვენით, სულ ახალი მიწები უნდა ეძებნა, რადგან სხვებსაც ჰყავდათ ცხვრის ფარები. დიდია კავკასიონი, გახედავ და ვერ გაიგებ — მთები სად თავდებიან, ლრუბლები სად იწყებიან. ბევრი ისეთი ადგილია კავკასიონზე, კაცს ფეხი რომ არ დაუდგამს ჯერ. ერთხელ, საძოვრების ძებნაში, უცნობ ხეობას წააწყდა მწყემსი... შენ მისმენ, მანანო?..

— გისმენ, ჯონქა, ოღონდ თვალებს გავახელ, თორემ ვაი თუ ის ხეობა ვერ დავინახო...

— ის ხეობა უცნაური იყო თურმე. მდინარე ჩასდევდა, მაგრამ წყალი ბლანტი ჰქონდა, ტბორესა ჰგავდა, უხმოდ მიედინებოდა. ირგვლივ ტყე იზრდებოდა, მაგრამ ხეებს ჩირთი-ჩვილი ფურცელი ზედვე შეხმობოდათ; მიწაზე ხალახი გაშავებულიყო, თითქო მცენარე მოუთხრიათ და ბაო—ჩრდილი ბალახისა მაინც დარჩენილაო. არც ჩიტი ჭრინავდა სადმე, არცა მხეცის ხავილი ისმოდა. ფუტკრის ზუზუნიც ვერ გაიგონა, პეპლის ფრთა — ფარფატიც ვერსით იხილა. ჩქამი არ იყო, ძაღლის ყეფაც კი შიშს მოგვრიდა კაცს. გაჰკვირდა მწყემსი და მკითხავთან წავიდა, რადგან ხეობა ვრცელი იყო და ცხვრის ბინად უნდოდა მწყემსს. შენ მისმენ, მანანო?.... შავი სანთელი აანთო მკითხავმა და შავი კატა კარში გააგდო, შავტარიანი დანა აიღო, ხელსახოცზე შავი ჯამი დასდგა და ნახშირი ჩასთალა წყალში. მერე მწყემსს უთხრა—ძვირფასმა თვალმა უნდა დახედოს მძინარე ხეობას და გააღვიძებსო...

— რა ფერისა უნდა ყოფილიყო ის თვალი, ჯონქა?

— უთუოდ მწვანე ფერისა, მანანო.

— მაშ ზურმუხტი იქნებოდა...

— არა, მე უფრო შუქიანი ვიცი. წავიდა მწყემსი იმ თვალის საძებრად, ცხრა მთა გადაიარა, ცხრა ქალამანი გაცვითა, ცხრა საპალნე ოქრო დახარჯა და ცხრა ხმალი უმკვეთელ ჰყო. ვერსად იპოვნა ძვირფასი თვალი, გულგატეხი-

ლი დაბრუნდა შინ. დაბრუნდა და როცა სოფელს მიუახლოვდა, წყაროზე შემოხვდა მეზობლის გოგონა. მორცხვად აჰხედა გოგონამ მოსულს და სიწითლის დასაფარავად წყლის კოკა შეიდგა მხარზე. მაშინ მიხვდა მწყემსი — მარტო ამ გოგოს მწვანე თვალები თუ გააკოცხლებდნენ მძინარე ხეობას. შეისვა გოგო უნაგირზე, კოკა ქვას შემოჰკრა და ძირი გააგდებინა. გაჰქუსლა ცხენი და ხეობას მიადგა. გოგო მკერდზე ჰყავდა მისვენებული, მწყემსმა ნაბადი მოაცალა სახიდან და ხეობა აჩვენა. შეხედა თუ არა გოგომ ხეობას — ჩქრიალით დაიძრა წყალი ლოდებზე, ფოთლები შეისხეს უეცრად ხეებმა, ქარმა მოიტანა თითქო ბალახი და მწვანით დაჰფარა ჩაშავებული ფერდობები. მოფრინდნენ ჩიტები, კორდზე დასკუპდა ბრუციანი კურდღელი; პეპლები აფარფატდნენ, ააჭრელეს მდელო და ღვთის მუშაკი — ფუტკარიც მოვიდა ზუზუნით. გაცოცხლდა ხეობა.

— რა ძალა ჰქონდა იმ გოგოს თვალებში?..

— სიყვარული.

ქალაქი ხმაურობდა. საბარგო ავტოების გრიალი არყევდა შენობებს, სარკმლის მინები წკარუნებდნენ. ცომივით იზნიქებოდა ფეხქვეშ სიცხისგან გაფუებული ასფალტი. ტანმორჩილ ხეებს ფოთლებზე უკვე მოყვითალო მტვერი დასწოლოდათ.

— კარგი ზღაპარი გცოდნია, ჯონქა.

— მე შენ იმდენ ზღაპრებს გიამბობ, მანანა...

ორთავეს გაეცინათ.

გაეცინათ და სწრაფადვე შეეცვალათ სახეები.

მათ წინ ნინო ციხისელი იდგა, შემნიშნავი გამოხედვით; საზაფხულო, ხავსისფერ წამოსასხამში ჩაცმული, მზვაობარი და გამშვენიერებული.

მანანას ლაწვები შეუფერადდნენ.

— რა გართული ხართ, ახალგაზრდებო, ძლივს დამინახეთ, — სთქვა ნინომ, — როგორ არის საქმე, გქონდათ გამოცდა?

— ჩავაბარეთ, დედა, შეგიძლია მოგვილოცო.

ნინომ შუბლზე აკოცა ქალიშვილს და ჯონქას ღიმილით დაუქნია თავი. მანანამაც გადმოხედა ჯონქას და ბიჭმა მხოლოდ ახლა შეამჩნია თავისთავს, რომ თითონაც საშინლად იყო გაწითლებული, ყურები ეწვოდნენ.

— მე წავალ, კარგად გნახეთ... — ჩაიბუტბუტა ხორნაულმა, თავის დაკვრით, გამოესალმა დედა-შვილს და სწრაფად გასცილდა.

— შემოიარე ჩვენთან, ჯონქა, — მიაძახა მანანამ.

ხორნაული მეორე მხარეს გადავიდა და გზაბნეული გაჰყვა ქუჩას.

დღეს უკანასკნელი გამოცდა იყო...

მას უეცრად სიხარულით აევსო გული. ხომ უთხრა, ხომ მიახვედრა...

ასე ლამაზი არასოდეს მოსჩვენებია ტფილისი ხორნაულს.

არც ასეთი კეთილი, მიმზიდველი სახეები შეხვედრია ქუჩაში.

იგი გამზირის ბოლომდე ფეხით მივიდა, უკან მოიხედა, თითქო მანანას დაინახავდა და მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლილობა.

სწორედ ამ დროს, მოსახვევში ვაკისაკენ მიმავალი ტრამვაიც გამოჩნდა.

ჯონქამ ძველი ნაცნობივით გაუღიმა მას. სულო ცოდვილო, პირველ წელიწადს, როცა ახალი ჩამოსული იყო ქალაქში, დიდად ესიამოვნებოდა ტრამვაიში ჯდომა, გულგრილად არ შეეძლო ეცქირა გვერდით მიმავალ ვაგონისათვის, უსათუოდ გამოუდგებოდა და შეახტებოდა, გინდაც გზა სხვა მხარეს ჰქონიყო. ერთი-ორჯერ მუხლიც იტკინა და შუბლზე კოპი დააჩნდა სახელურზე მი-

ჯახებისაგან, მაგრამ მალე გაიწაფა, გაქანებულ ვაგონიდან ისკუპებდა, მიწაზე ფეხის დარტყმით ტვინშერყეული და ქუსლდაბეჟილი თავმომწონედ გადაივლიდა ქუჩას.

ვაგონში ასვლისთანავე ჯონქამ ცხვრის მსუყე სუნი იგრძნო. ასეთი სუნი დუმით გაპოხილ ტყავებს ასდით ხოლმე და ჯონქამ გაიფიქრა, რომ აქ სადმე ფშაველი მეცხვარეები ან ხევსურები უნდა ყოფილიყვნენ. ხორნაული წინ წავიდა, მხარით გაარღვია გასასვლელში მოგროვილი ხალხი და მართლაც, კუთხეში, თვალი მოჰკრა ტყაპუჭებს.

— გამარჯვებათ, ჩვენებურებო.

— ოჰ, ლუკას ბიჭს გაუმარჯოს...

ერთი, ყაფარა, გოგოლაური, ზედმეტად მაღალი ბეწვიანი წოწოლა ცხვრის ქუდით დაბალჭერიან ვაგონში უხერხულად იდგა, მზით დამწვარ სახეზე არაბივით უელავდნენ თეთრი კბილები. გვერდით ხურჯინი ჩაედგა ლაჯებშუა მის თანამგზავრს, მათე ჩოხიაშვილს, ბრტყელი და განიერი ბეჭებით შუა გზაზე გახირულიყო და ყველა გამვლელის ჯიკავი და მუჯლუგუნი მას ხვდებოდა, მაგრამ არაფრად აგდებდა, ცალი ხელი ხურჯინის უღლისთვის ჩაევლო და მეორეთი პატრონივით ბრტყელ, შავტარიან ხანჯალს დაყრდნობოდა. ისიც ყაფარას სიმაღლისა იყო, მაგრამ სიგანეზე წასული და სქელ ტყაპუჭში გახვეული ორი ომოდენა სჩანდა. ორთავეს ერთად კი ვაგონის ნახევარზე ცოტა ნაკლები ადგილი ეჭირათ.

— საით ყოფილხართ, ხალხნო, სად მიდიხართ...

— ცხვარიდან ჩამოვედით, ძმაო, საბურთალოზე მივდივართ ბაზარში, იქნება ვივაჭროთ რაიმე.

— საბურთალოზე? ეს ტრამვაი ხომ ვაკეში მიგიყვანთ...

— ჰარიქა, ყაფარავ, — შეშფოთდა მათე, — ჩქარა, თორო შორს წაგვიყვანს ეს სატიალო... — და ისე დატრიალდა განიერი ბეჭებით, რომ მთელი ვაგონი ააწიოკა, მძიმე ხურჯინი მხარზე მოიგდო, ზოგს ქუდი მოხადა თავიდან, ზოგს თმა გაუწეწა, მერე გრძელი ხანჯლის ქარქაშით გამოედო ვიღაცას, კიბეზე გაიჭედა ხურჯინით, თან უკან იხედებოდა და ამხანაგს ეძახდა:

— მამყევ, ყაფარავ, კისერს რად იგრძელებ...

ყაფარა ერთ ადგილას იტკეპნებოდა, უფრო მოკრძალებული აღმოჩნდა და ხალხი ვერ გაარღვია, თუმც ფშავში განთქმული მოჭიდავე იყო.

— არ მიშვებენ, და აბა, საით გამოგყვე?..

— გასთელე, მაგათ რას უყურებ...

როგორც იქნა ჩავიდნენ ვერის ბაზართან და ჯონქაც ჩაჰყვათ.

— სოფელში რა ამბავია მეზობლებო, შინ როგორა ხართ?

— მშვიდობაა, მშვიდობა. ჩვენც თვეზე მეტია ფშავში არა ვყოფილვართ, ზამთარში ცხვარი შირაქში გვყავდა, ახლა თრიალეთს წავლალეთ...

ჯონქას მათი ტყაპუჭების ცქერით თითონ დასცხა, ყაფარასაც ოფლით ჰქონდა შუბლი დანამული. სანამ საბურთალოსკენ მიმავალი ავტობუსი მოვიდოდა ყაფარამ უამბო, რომ საზღვარგარეთიდან მერინოსის ჯიშის ცხვრები ჩამოუყვანიათ და მათი კოლექტივისთვის მიუნდვიათ თუშურ ცხვართან შეჯვარება და საიალაღოებზე გამოცდა — გაუძლებდნენ თუ არა აქაურ პირობებს. ყაფარა და მათე, სხვა მწყემსებთან ერთად, ამ დილით ჩამოსულან მერინოსების წასაყვანად.

— რამოდენეები არიან, ყინჩო, — ჰკვირობდა ყაფარა, — ერთი ხევსურული ძროხის ტოლაა, ტყავი ზედა ჰკიდია დედაბერივით.

მათეს ხურჯინი ისევ მხარზე ეკიდა და ავტობუსის მოლოდინში მოუთმენლად გასცქეროდა ქუჩას.

— ჩამოიღე, მათე, ეგ ხურჯინი, დაიღლები, — უთხრა ჯონქამ.

— რავი, ხალხი ბუზივით ირევა, ე მანდ არავინ ამაცალოს.

— შენც დადე და ზედ დააჯექ, სატევარი წელზე გკიდავ, რისა გეშინიან.

— შენ რაღას აკეთებ, — მიმართა ჯონქას ყაფარამ, — სწავლას აღარ მორჩი?..

— მოვრჩი უკვე, ბოლო საგანი დღეს ჩავაბარე... — გაიღიმა ჯონქამ.

ამ დროს ავტობუსიც მოვიდა. მათემ წინ ყაფარა გაუშვა და ხურჯინით ერთ-ორ კაცს კიდევ გადაუგდო ქუდი თავიდან, სანამ კარგად მოეწყობოდა. მერე არდანივით ხელი გამოუწოდა ჯონქას, მაგრამ ავტობუსიც დაიძრა.

ხორნაული დაღლილი, კმაყოფილი კაცის ნაბიჯით წავიდა ვაკისკენ.

(გაგრძელება იქნება)

კ რ ი ტ ი კ ა

შალვა რადიანი

იოსებ გრიშაშვილი

თავისებური ბიოგრაფია აქვს ი. გრიშაშვილს. იგი დაიბადა 1889 წელს, 24 აპრილს, ღარიბი ხელოსნის ოჯახში, ტფილისში. მისი ნამდვილი გვარია მამულაიშვილი. ლიტერატურული ფსევდონიმი წარმოებულია მამამისის სახელიდან „გრიშა". სწავლობდა ქართულ გიმნაზიაში და მიაღწია სამ განყოფილებამდე. მომავალ პოეტს ბავშვობიდანვე უყვარდა წიგნების კითხვა და „ყარამანიანსა" და მისთანა ზღაპრულ ამბებს უკითხავდა ხარფუხის უბნის ხელოსნებს, ამქრის წევრებსა და მედუქნეებს. მერე შექმნა პატარა წრე და ხარფუხში დააარსა „სცენის მოღვაწეთა დასი", სადაც უმთავრესი ხელმძღვანელი, მსახიობი და პიესების (ვოდევილების) ავტორი თვით იყო.

ი. გრიშაშვილს თავის გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში აქვს დამახასიათებელი სტრიქონები: „შეიძლება თამამად იქვას, რომ მე გავიზარდე თბილისის ფოლკლორის მასალებზე, ვარ თვითგანვითარებული პოეტი. გადამარჩინა მხოლოდდამხოლოდ ქართულმა წიგნმა". მისი პირველი ლექსები და სიმღერები ცალკე წიგნად გამოდიოდა ეგრედწოდებული „ლუბოკის" სახით — 1906 — 1907 წლებში („ტიმოთეს ლეღვი", „ვარდის კონა", „ფანტაზია", „არ შეგ-ცივდეს ბარაშკა — ჯან").

დიდ ლიტერატურაში ი. გრიშაშვილი გამოვიდა 1907 წელს, ლექსით, რომელიც მიძღვნილი იყო ი. ჭავჭავაძისადმი. 1914 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი ტომი, ხოლო 1922 წელს — მეორე ტომი. გარდა პოეტური მოღვაწეობისა, ი. გრიშაშვილი ეწევა საკვლევაძიებო მუშაობას ქართული ლიტერატურის ისტორიიდან („საიათნოვა", „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა" და სხვ.).

ი. გრიშაშვილი უარღესად ორიგინალური და სუბექტიური შემოქმედია. იგი ქართულ პოეზიაში მნიშვნელოვან პოეტურ ძალას წარმოადგენს. მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია დიდი არტისტული ოსტატობა და პლასტიურობა.

ი. გრიშაშვილის პოეზიის ხასიათმა და მიმართულებამ თავის დროზე ს. ლიტერატურო კრიტიკაში და მკითხველ საზოგადოებაში აზრთა მძაფრი სხვადასხვაობა გამოიწვია, რასაც თავისი საფუძველი ჰქონდა. იგი უშუალოდ გამომდინარეობდა ი. გრიშაშვილის პოეტური სამყაროს სპეციფიკის გაგებაგააზრებისაგან.

ი. გრიშაშვილი ქართულ პოეზიაში დღემდე აღიარებულია ერთი თემის პოეტად. ეს თემაა ქალი და სიყვარული. ეს მოსაზრება ჩვენ მთლად მართებულად არ მიგვაჩიანი. მართალია, ი. გრიშაშვილი ინდივიდუალისტურ-კამე-

რული ლირიკის ტიპიური წარმომადგენელია ქართულ პოეზიაში, მაგრამ იგი არ არის მხოლოდ ერთი თემის პოეტი. ი. გრიშაშვილის პოეტური ფიგურა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ამის შესახებ ფიქრობენ ჩვენში.

ადრინდელ ლექსებში ი. გრიშაშვილს შეაქვს ჯერ სამოქალაქო და შემდეგ კამერულ-ინდივიდუალისტური მოტივები. ახალი თემატიური მასალის დაუფლებასთან ერთად იგი ყოველთვის ენერგიულად იბრძოდა ახალი ფორმალური საწყისებისათვის. ი. გრიშაშვილის პოეზიაში სიტყვათა წყობისა და რიტმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს სიტყვების ბრწყინვალება და ბგერადობა, რიტმის მაღალფეროვნება, ბგერათა თავისებური წარმოსახვა და ჰარმონიული ხაზი ლექსის განვითარებაში.

1907 — 1908 წლებში დაწერილ ლექსებში ი. გრიშაშვილი ამჟღავნებდა გარკვეულ ინტერესს სოციალურ საკითხებისადმი. იგი ცდილობდა გამოხმაურებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს, მის ლექსებში მოისმოდა ბრძოლის მოტივები:

„მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს,
მტარვალთა ხროვავ, არ შევშინდები!..
მალე გავარღვევ ბნელეთის კედლებს, —
თავისუფლებას მივეგებები!“

(„ტუსაღის სიმღერა“).

ამ პერიოდის ზოგიერთ ლექსში ი. გრიშაშვილი ალეგორიული ფორმებით გადმოგვცემს იმ ვითარების სურათს, რომელიც მოჰყვა პირველი რევოლუციის დროებით დამარცხებას. პოეტი ლაპარაკობს ცხოვრებაში გამეფებულ სულშემხუთავი ზამთრის შესახებ, რომელმაც ირგვლივ სიბნელე გაამეფა:

„და კვლავ ზამთარი სულშემხუთავი,
ავსულთ ხარხარი ისმის საზარი;
ზუზუნებს ქარი, გულის მქენჯავი.

თოვლმა დაჰფარა ტყე-მინდორ-ველი;
წყარო ანკარა დუდუნებს წყნარა;
ვარდიც დამჭკნარა გაუფურჩქნელი.

თავს აღარ ილხენს ტურფა ბუნება;
ბულბული არ სტვენს, ზამთარი გულს ტკენს
და არც სურნელს ჰფენს ყვავილთა კრება.

ირგვლივ სიბნელე მეფობს ყველგანა...“

(„ზამთარი“).

მაგრამ მსგავს მოტივებსა და განწყობილებებს ი. გრიშაშვილი დიდხანს არ შერჩენია. მასში ხდება სრული შემობრუნება, რის შედეგადაც მის პოეზიაში ბატონდება კამერული, ავადმყოფური განწყობილება. ეს გარდატეხა ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში დაკავშირებული იყო გარკვეულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ვითარებასთან.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ როგორც რუსულ, ისე ქართულ ლიტერატურაში ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ სამრეწველო ინტელიგენციაში გამეფდა დაცემულობის მოტივები. ავადმყოფურმა ინდივიდუალიზმმა და ცხოვრებისაგან გაქცევის კულტმა დაიკავა პირველი ადგილი დეკადენტურ-სიმბოლისტურ ლიტერატურულ წრეებში. ანტირევოლუციური ძალები გადავარდნილი იყვნენ მისტიციზმში, გაშიშვლებულ ეროტიკაში, ლრმა პესიმიზმში და სხვ. ამ პერიოდში გამოჩნდა რუსულ ლიტერატურაში არციბაშევი თავისი სანინით, რომლისთვისაც „ყველაფერი ნებადართული იყო“ და რომელიც ამბობდა „საჭიროა დავიკმაყოფილოთ ყველა ჩვენი სურვილიო“.

არციბაშევს მოსდევდა მთელი წყება მწერლებისა, რომლებიც გატაცებული იყვნენ დაცემულობის მოტივებით, პორნოგრაფიულ-ეროტიკული თემებით.

მსგავსი მოვლენები შესამჩნევი იყო ქართულ ლიტერატურაშიაც. ი. გრიშაშვილი მოექცა ასეთი იდეებისა და განწყობილებების გავლენაში. განსაკუთრებით 1910 წლიდან გამოჩნდა მის შემოქმედებაში უკიდურესი ინდივიდუალიზმი, იდეა ნიცშეანური „ზეკაცისა" და ეროტიულ-ავადმყოფური მოტივების მძლავრი ამღერება.

ი. გრიშაშვილი იმსჭვალება დაცემლობის სულისკვეთებით. მის პოეზიაში ისადგურებს გულგამეხლობისა და უიმედობის გრძნობა:

ვერსად ვერ ვპოვე სულის სიმშვიდე,
ვერ დავიწყნარე სურვილი მწვავი!
სად ვპოვო მხსნელი
ნავთ-საყუდელი,
სად შევაჩერო ობოლი ნავი?..

(„ობოლი ნავი").

სასოწარკვეთილებაში გადავარდნილი პოეტის შეგნებაში პესიმისტური გრძნობა მეტად მძაფრ და უიმედო ხასიათს ღებულობს. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „ნაღველი ნორჩი გულისა... ვერვის გავუზიარე", რომ მისთვის „უცხოა... ღიმილი მოძმის", არ ეკარება „შვებისა სხივი,", რომ „სატრფოც თვალთმაქცობს, მისი გულ-მკერდი, ვით მყინვარის მთა, ცივია... ცივი!". ეს მდგომარეობა პოეტს მსჭვალავს სიკვდილის გრძნობის მიღებით:

„უხმოდ ჩავიკალ ამონაკვნესი,
გადავეხვიე საფლავის აჩრდილს,
დავსჭკნი, აღარ ვარ, ვილევი, ვქრები!
სასო-მიხდილი ვეძახი სიკვდილს!"

(„ვეძახი სიკვდილს").

მსგავს განწყობილებებს ი. გრიშაშვილი კარგა ხანს შერჩა. მაგრამ ამ ხანებშიაც მისთვის დამახასიათებელი იყო ერთგვარი ძიება. ამ ძიების შემდეგი იყო, რომ იგი სცვლის თავისი პოეზიის მოტივებსა და თემატიკას, ხდება ქალისა და სიყვარულის მომღერლად, ანუ როგორც თვითონ ამბობს, პოეზიაში მან დააგროვა ხვავად „მზე, სილამაზე, კოცნა და მკერდი" („საუბარი ასოთამწყობთან ჩემი წიგნის ბეჭდვის დროს"), რომ იგი სიყვარულმა შექმნა პოეტად („დიანას ისრები").

ცხოვრების ფართო სარბიელზე პოეტს უმთავრესად ერთი რამ იტაცებს: ეს არის ქალი და სიყვარული, სილამაზე. მის გაგებით სიყვარული შეადგენს ცხოვრების მთავარ შინაარს, მის ერთად-ერთ მომხიბლაობას, მის უმაღლეს პოეტურ გამოხატულებას. ადამიანი მხოლოდ სიყვარულში მოიპოვებს უკვდავებას. სიყვარულს პოეტი რაცხს „მხსნელ იარაღად და სილამაზეს — ქვეყნის კავშირად" („ჩემი ეპიტაფია"). სიყვარული გამოხატულია, როგორც ცხოვრების მამოძრავებელი, როგორც პირველყოფილი სტიქია, როგორც მუდმივი შფოთის შემტანი ადამიანთა ცხოვრებაში.

სიყვარულის თემაზე დაწერილ ლექსებში ი. გრიშაშვილი ეფექტიურობას აღწევს იმით, რომ ძალზე აპოეტურებს თავის სუბიექტს, აფერადებს მას განსაკუთრებული მხატვრული მანერითა და ცხოვრების თავისებური შეგრძნობით. სიყვარულში იგი უმღერის არა უნაზეს, უწმინდეს გრძნობას, არამედ მცხუნვარე ვნებას, დაუოკებელ ნეტარებას, მძაფრ შეჯახებებს, რომელსაც მუდამ თან მოჰყვება ხოლმე დაცემა და იმედის გაცრუება.

ცხადია, ქალი და სიყვარული თავისთავად კანონიერი თემაა პოეტისათვის, მაგრამ აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს გადამლაშებას, გადამახინჯებას,

მოვლენა ბუნებრივობის გზით უნდა შუქთებოდეს. იქ, სადაც სქესობრივი გრძნობა გადაჭარბებულად არის გამოხატული, იქ, სადაც იგი ადამიანის სხვა თვისებებზე გაბატონდება, — იქ ეს საკითხი ავადმყოფურ ხასიათს ღებულობს და პოეზია ძალზე დაბლა ეშვება. ი. გრიშაშვილი სწორედ ამ მდგომარეობაში ვარდებოდა ხშირად. იგი ჰკარგავდა კდემამოსილებას და გადადიოდა დაუფარავ ვულგარულ მგრძნობელობაში. ბევრ შემთხვევაში იგი სიყვარულის გრძნობას ერთობ ამარტივებდა და ადამიანთა დამოკიდებულების ცხოველ მხარეს უგვლობდა. მის მრავალ ლექსში ქალი და სიყვარული ერთობ ხორციელად არის წარმოგენილი, აღიარებულია პირადი სიტკბოების კულტი, კოცნა ცხოვრების აზრად არის გამოცხადებული, ხოლო „ოქროს ფეხი" ადამიანის საქმეთა ძეგლად. პოეტი გვეუბნება, რომ სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლო ქალწულის „ოქროს ფეხია. ქალწულის „ოქროს ფეხზე"ამღერებულ პოეტს მკერდშიაც გულის ნაცვლად ქალის ფეხი ესვენა და მას აცხადებდა ცხოვრების მიზნად. იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა თავისი ხოტბის ობიექტს — „ოქროს ფეხიან ქალწულს"":

ოქროს ფეხი... ოქროს ფეხი... ოქროს ფეხი ქალწულისა,
სიმბოლოა უცნაური სიკვდილის და სიცოცხლისა...

. . . . . .

რა ვქნა მკერდ ქვეშ გულის ნაცვლად შენი ფეხი მისვენია,
ჩემს სალოცავ სულის კერპად მხოლოდ ეგღა დამშთენია...
(„ოქროს ფეხი").

ყველაზე მშფოთარე, უაზრობამდე მისული ვნება ხდება ი. გრიშაშვილის პოეტური ამღერების ობექტი. მის ლექსებში არის ისეთი ადგილები, რომლებიც დაუფარავ პონოგრაფიულ-ეროტიკულ ხასიათს ატარებს („დარჩი, დარჩი", „ქორწილი ჩვენს უბანში" და სხვ).

ი. გრიშაშვილის პოეზიაში ქალი ნაჩვენებია არა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე, არამედ როგორც მხოლოდდამხოლოდ სასიყვარულო საგანი, როგორც გაშიშვლებული ეროტოკა. ი. გრიშაშვილი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნად არ არსებობს სიყვარული მუდმივი, საუკუნო. აქედან იგი ანვითარებდა ვულგარულ თეორიას ყველას ტრფობის შესახებ („ნახტომი"), ხიშრად ლაპარაკობდა სიყვარულის გაუტანლობის შესახებ, მაგრამ ამ გაუტანლობას ყოველთვის ქალებს აბრალებდა:

„რად მიყვარდი, რად გეტრფოდი,
ვნებით გული რად მითრთოდა,
ნეტავ შენგან რას ველოდი,
რას ვფიქრობდი, რა მინდოდა?!

. . . . . .

რად არ მითხარ, თუ იცოდი,
რომ ეგ გული სხვისკენ რბოდა,
რად მომშხამე, რას მერჩოდი?
რა გინდოდა, რა გინდოდა?"
(„სინანული").

ეს ტრაგიკული განცდა თითქმის ყოველთვის თან სდევს სიყვარულისა და ქალის გრიშაშვილისებურ გაგებას.

ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში საგრძნობი ადგილი აქვს დათმობილი ძველი ტფილისის ბოჰემისა და მისი ყოფის იდეალიზირებას. „ძველი თბილისი ბავშობიდანვე მიყვარდა, — ამბობს ი. გრიშაშვილი — იგი... ჩემი პოეტური ფანტაზიაა და ოცნების წმინდა სიხარული მხოლოდ ლექსის ლერწმებში დავაპატიმრე" (იხ. „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა", გვ. 8 — 9). და,

მართლაც, ი. გრიშაშვილმა თავის ლექსებში გააცოცხლა და ამეტყველა ძველი ტფილისის დამახასიათებელი სახეები — ყარაჩოღელები, ამქრები: „ყარაჩოღელი ძველი თბილისის ძველი თაობაა... ყარაჩოღელი სინტეზია ქართულ-სპარსულ ურთიერთობისა და საზოგადოდ აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონაღობისა... ყარაჩოღელს საკუთარი ტრადიცია ჰქონდა... ამქრობა ყარაჩოღელთა კულტი იყო“... (იქვე, გვ. 20 — 50 — 51). აი, ამ ხალხის შესახებ სწერდა პოეტი:

მოქეიფენო! ძველმა თბილისმა
მეც ჩამომართვა უძარღვო ხელი, —
მაგრამ სად არის ძველი ღვინის სმა,
სად არის ძველი ყარაჩოღელი?

. . . . . .

გავტეხავ ჭიქას, რომ ვათქმევინო:
ახლებში არ მყავს ძმა-მოყვარული,
და ავტირდები, როგორც ეს ღვინო
კინტოს პერანგზე ჩამოღვარული“...

(„აშპაშხანისკენ“).

ყარაჩოღელებისა და ამქრების მიმზიდველ სახეებს ი. გრიშაშვილი მთელი პოეტური სიძლიერით ამეტყველებს. ძველი ცხოვრების ამ გარდასულ სახეებს იგი მოსავს შარავანდედით. ეს სახეები მისთვის თავისებური რომანტიკის საგანია:

„ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი,
ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრივით.
უსტაბაშს შვენის მოფარფარე მზის ყალამქარი...
ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ჰამქარი
და ჰგალობს ზურნა დილის საარს ჰანგ-ღვთაებრივი...

(„ტრიოლეტები შეითანბაზარში“).

გარდასული ცხოვრების ეს ყოფითი სახეები პოეტის წინაშე სდგებიან როგორც იდეალური სურათები, როგორც მიმზიდველი ადამიანური მოჩვენებები.

ძველი ტფილისის ფონზე ხატავს ი. გრიშაშვილი თათრის ქალის რომანტიულ სახეს:

შენმა ყაბარჩამ უცხო ქოში ვერ შეითვისა,
დადიხარ მუდამ სუფსარქისში, ჩემო ლამაზო,
ინახავ წუმსა, რომ ლოცვებით შემოიკაზმო,
მაგრამ რად გიყვარს შენ, თათრის ქალს ხატები სხვისა?

შენი კბილები მძივებია სუფსარქისისა,
თვალი — მაშხალა, ფეხი — ყანწი, ხმა — მუხამბაზი.
შენს დასაპყრობად ალბად მოვა კვლავ შახბაზი,
რომ ტკბილის ნუღლით ამოგივსოს მკერდი ქისისა.

როცა გიყურებ, შენი თვალი არ ტოკავს, არ თრთის,
ღვთისმშობლის წინ კი ყვითლდები, ვით დოში თართის,
ო, შენმა ჩადრმა გული ჩემი ორად გახია.

შევცქერ შენს წარბებს — სახარების გაშლილ სტრიქონებს,
შენ მგოსნებისგან მოგიმზადებ ჩემნაირ მონებს
და, რაც მომივა... დე, მოვიდეს, ჩემზე ახია!

(„თათრის ქალი სუფსარქისში“).

თათრის ქალის ეს პროტრეტი ორგანიულად შედის ძველი ტფილისის ყოფითი აქსესუარში. მათ ემატება აგრეთვე ბესიკისა და საიათნოვას ჰაეროვანი სიმღერების მუსიკალური ხმები.

ძველი ტფილისის დამახასიათებელ სახეთა პოეტური გაცოცხლება წარმოადგენს ი. გრიშაშვილის პოეზიის უძლიერეს მხარეს.

ასეთი შემოქმედებითი ინდივიდუალობით შეხვდა ი. გრიშაშვილი რევოლუციას. როგორც დავინახეთ ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში იყო მთელი რიგი ისეთი მხარეები, რომლებითაც იგი დაშორებული იყო ჯანსაღი რეალისტური პოეზიის ხაზს. რევოლუციამ გამოაცალა საფუძველი მსუბუქი ეროტიული განცდების პოეზიას. გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პერიოდში მხატვრული შემოქმედების წინაშე სულ სხვა ამოცანები იქნა დასახული. ამ ახალ ამოცანებს ი. გრიშაშვილი თავისი ძველი ლექსებით ვერ უპასუხებდა. სწორედ აქედან წარმოიშვა ერთგვარი სკეპტიციზმი და უკმაყოფილება მის პოეზიაში. რევოლუციის პირველი წლების მანძილზე დაწერილ ლექსებში („ბებუთი მაგიდაზე", „თბილისის მიწა", „მოლა მინარეთზე" და სხვ.) ი. გრიშაშვილი დაუფარავად ამჟღავნებდა თავის ანტირევოლუციურ განწყობილებებს. ლექსში „დუდუკის საარი აღარ მოაქვს ქარს" პოეტი დანანებით ამბობდა, რომ ძველი ტფილისი თავისი ყოფითი აქსესუარებით დავიწყებას ეძლევა, „არ სჩანს ურმები მოჩარდახული, ღამის მთევლებით ბოლნისის გზაზე", დავიწყებულია საფლავზე ღვინის მიტანა; ველარც ელამ მიკიტანს დაინახავს თავის დუქანთან მიბმული ყოჩით:

არ სჩანს ურმები მოჩარდახული
ღამის მთევლებით ბოლნისის გზაზე.
. . . . . .
ღვინოს საფლავზე არვინ მოგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი, —
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმულის ყოჩით!

„დუდუკის საარში..." საგრძნობი სევდა და მოთქმაა. ეს ლექსი წარსულის ჭარბ იდეალიზირებას წარმოადგენს.

ასეთ განწყობილებებს ი. გრიშაშვილი კარგა ხანს შერჩა. მხოლოდ სოციალისტური მშენებლობის წინსვლისა და წარმატების საფუძველზე მის პოეზიაში ხდება თანდათანი გარდატეხა. პოეტი დგება იდეური გარდაქმნის გზაზე. იგი უახლოვდება სოციალისტურ თანამედროვეობას. ამის ნათელი ილუსტრაციაა მისი ლექსები: „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან", „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში", „დედის წერილი ახალწვეულ კომკავშირელს", „ნარინჯიანო" და სხვ.

თუ წინათ ი. გრიშაშვილი შეყვარებული იყო მხოლოდ ძველ ტფილისზე და არ ცდილობდა შეეჩნია ახალი ტფილისი თავისი მშენებლობით, განიერი ქუჩებით, ლამაზი შენობებით. სავსე მცენარეულით, და სხვ. უკანასკნელ თავის ლექსში იგი აღფრთოვანებული უმღერის განახლებულ ტფილისს:

ეს რა ხეა აქ დარგული,
ეს რა ქვები ალაგია,
ეს თბილისი — ქართლის გული —
გორგასლანის ქალაქია?
სად წავიდა ვიწრო ქუჩა,
დაგრეხილი, როგორც ვაზი,
ფატმას პირი რატომ უჩანს,
სად ჰყავს თავის ასლამაზი?
. . . . . .
ბაღჩა-ბაღებს, ნერგებს, ლერწებს

აუვსიათ ორთაჭალა,
ახალ თბილისს უალერსებს
საქართველოს ნორჩი ძალა.
(„გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“).

მაგრამ პოეტი არ კმაყოფილდება მარტო ახალი ტფილისის ჩვენებით. იგი სწერს გარდაქმნილ კოლხიდაზე („ნარინჯიანო“), სამხედრო-თავდაცვითს თემაზე („დედის წერილი ახალწვეულ კომკავშირელს“) და სხვ.

ლექსში „დედის წერილი ახალწვეულ კომკავშირელს“, ი. გრიშაშვილი ეხება უაღრესად აქტუალურ და საპატიო თემას — ჩვენი დიადი და უძლეველი სამშობლოს საზღვრების დაცვას. დედა წერილს სწერს ახალწვეულ კომკავშირელს და ავალებს მტკიცედ დაიცვას სამშობლოს საზღვარი, საჭიროების შემთხვევაში თავისი გმირობით ასახელოს მოხუცი დედა:

„შვილო, საზღვარს გაუფრთხილდი,
არ მიენდო მტრის ოინებს,
ასი ყური გამოისხი,
ასი თვალი იქონიე!
ჩვენს წმინდათა-წმინდა მიწას
ემტერება მტერი ღრენით,
ცოცხალ რკალად შემოერტყით
ჩვენი ქვეყნის მესაზღვრენი.
მთელი ხალხის მხარდაჭერით.
გავიმარჯვებთ გენაცვალე,
ნურაფრისა გეშინიან,
თუ ატყდება ომი ხვალე —
მასახელე, ჩემო ბიჭო,
მტერი საზღვარს არ მოუშვა,
იქვე უნდა დაამიწო!

სამშობლოს დაცვა, მისთვის თავის განწირვა, მართლაც, რომ დიდათ საპატიო თემაა ჩვენი პოეტებისათვის. ეს გარემოება კარგად აქვს შეგნებული ახალი პოეზიის რიგებში აქტიურად მომუშავე ი. გრიშაშვილსაც.

კოლხიდის ცხოვრების თავისებურ-პოეტურ გააზრებას გვაძლევს ი. გრიშაშვილი ლექსში „ნარინჯიანო“. განახლებელი კოლხიდის ფონზე პოეტი უპირველეს ყოვლისა, ამჩნევს ქალიშვილის ლამაზ სახეს და აღფრთოვანებული მიმართავს მას:

როგორც ნაზი პეპელა,
ფრთამალი და მჩატე ხარ,
მთის შველივით ნავარდობ,
გიყვარს ჩქარი განივი.
— გრიშაშვილმა გნახა და
ლექსის ნავსი გატეხა,
მკვდარი გრძნობა აუნთე
წითელ ჩირაღდანივით...

ი. გრიშაშვილის ლექსი „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“ ერთერთი საუკეთესოთაგანია იმ მხატვრულ ნაწარმოებებიდან, რომლებიც ქართველმა პოეტებმა მიუძღვნეს ხალხთა დიდ ბელადს — ს ტ ა ლ ი ნ ს. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით პოეტი აღფრთოვანებულ ჰიმნს უძღვნის მშრომელი კაცობრიობის წინამძღოლს:

ბავშვმაც კი იცის შენი სახელი,
დედის ძუძუსთან გახსენებს ბელადს,
რამდენი ხმაც გვაქვს, იმდენი ხელი
შენს დასაცავად წამოვა ხელად.

შენ შემოგცქერის მთელი ქვეყანა,
როგორც ნატვრის თვალს, თავის ხელს გიშვერს,
შენ მზე მიწაზე ჩამოიყვანე
და ლალისფერი მიეცი გიშერს.
ვინც უნდა იყოს შენი ამრჩევი,
ჩემი ხმა მინდა მანდ მოგაწვდინო,
იყავი ხარ და ასე დარჩები
ჩვენო სიმღერავ, გულო და ტვინო!

ეს სიტყვები პოეტის გულწრფელი და ნათელი განცდაა, რომელიც მიძღვნილია მშობლიური ბელადისადმი.

ციკლი ლექსებისა, რომლებიც ი. გრიშაშვილმა მიუძღვნა შ. რუსთაველს, ნ. ბარათაშვილს, ი. ჭავჭავაძეს. („შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში", „ვეფხის ტყაოსანი და ჭიაკოკონა", „მაიკო ორბელიანის ვეფხის ტყაოსანი", „კიროვის ბაღში", „პუშკინი და ილია", „ილია საგურამოში"). წარმოადგენენ გამოხატულებას საბჭოთა ადამიანის სიყვარულისა ქართული პოეზიის დიდი კორიფეების ნათელი სახეებისადმი. ეს სახეები პოეტს ორგანიულად შემოჰყავს განახლებულ ცხოვრებაში. მათი ბრწყინვალე საქმე ერთგვარი წინამძღვარი იყო თანამედროვე თავისუფალი ცხოვრებისა.

ი. გრიშაშვილი ქართულ პოეზიაში განაგრძობს ძველი აღმოსავლური პოეზიის ხაზს. იგი ძლიერ ახლოა ბესიკისა და საიათნოვას შემოქმედებით პრინციპებთან. ი. გრიშაშვილის შემოქმედების მნიშვნელობა ფორმის მხრით ქართული პოეტური კულტურის ისტორიაში მდგომარეობს მისი ლექსების პირდაპირ საკვირველ მუსიკალობაში. განწყობილებას პოეტი გამოხატავს არამარტო სახეების საშუალებით, არამედ აგრეთვე თითეული სიტყვის ბგერით, თანამოხმაურე წინადადებათა განლაგებით და რიტმის მოძრაობით. ვისაც სურს გაიგოს, თუ როგორ ჰქმნის პოეტი სახეს და მუსიკას ლექსში საკმარისია წაიკითხოს „ლია", „მიყვარდა", „ზღაპარი გამაკში" და სხვ. ი. გრიშაშვილი ორიგინალურია როგორც ფერადების ხმარებაში, ისე ეფექტიური სურათების დახატვაში. მის ლექსებში ეპიურ თხრობას სჭარბობს ინტონაცია და მიმიკა.

ი. გრიშაშვილი ყოველთვის აღწევს ფორმის სისრულესა და სიძლიერეს. იგი ყოველთვის ლექსს მოსავს ბრწყინვალე მორთულობით. გემოვნებით შერჩეული და თავის ადგილზე მოთავსებული თვითეული სიტყვა პირდაპირ გაცოცხლებულია პოეტურად, ყოველ სიტყვას აქვს თავისი ნუანსი, თავისი ხვედრითი „წონა", თავისი შინაგანი ტონი, „გემო" და ხელშესახებობა. მისი ლექსები ამ მხრით გვაგონებენ მეჩუქურთმის უნაზეს ნამუშევარს.

ი. გრიშაშვილის სახეები მკვეთრია და მკაფიო. მას ბევრი განმარტება არ უყვარს და გრნობის გადასაშლელად პოეტურ საშუალებათა მომჭირნეობას მიმართავს. მისი წარმოდგენა მოვლენებზე ბუნებრივი და ცოცხალია. სტილის ეს თავისებური ოსტატობა მკითხველის თვალში ჰფარავს ი. გრიშაშვილის პოეზიის სხვა მხარეებს. აქედან მომდინარეობს სწორედ საკმაოდ გავრცელებული შეხედულება ი. გრიშაშვილზე, როგორც ფორმის ვირტუოზზე, რომლის შემოქმედებაც თითქოს მოკლებულია „შინაგან სილრმეს".

ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი პოტენცია მდიდარი და მრავალფეროვანია. მას დიდი შესაძლებლობა აქვს, რომ ახალი და ახალი პოეტური ნაწარმოები მიუძღვნას ბედნიერ სამშობლოს.

შ. იმნაძე

სიმონ ჩიქოვანი

სიმონ ჩიქოვანი ქართული ფუტურიზმის ბუნტარული ლიტერატურული სკოლიდან მთელი არსებით მოვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან და მოწინავე საბჭოთა პოეტების რიგში ჩადგა. ჩიქოვანმა მეტად რთული პოეტური შემოქმედების გზა გაიარა. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე; გამოსვლისთანავე მან მძლავრი იერიში მიიტანა ძველი კონსერვატული ინტელიგენციის მეშჩანური ყოფის და დეკადენტურ წვრილ-ბურჟუაზიული ლიტერატურული გემოვნების წინააღმდეგ, მაგრამ მას ამ პერიოდში არ გააჩნდა საკუთარი სწორი მსოფლმხედველობა, რომელიც დაანახვებდა მომავლის დიად პერსპექტივებს და თავისი ფსიქო-იდეოლოგიური განწყობით იმავე მეშჩანურ და წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენის ტყვეობაში იყო მომწყვდეული, რომელსაც თითონ ებრძოდა. ჩიქოვანი ამ პერიოდში რუსი ფუტურისტების დიდ გავლენას განიცდიდა, განსაკუთრებით ის გატაცებული იყო ალექსი კრუჩონიხის „ზაუმნიკური" ლექსებით. ჩიქოვანის ამ ფუტურისტულ პერიოდის ლექსებიდან აღსანიშნავია „ცირა", „ქარბორია", „წვიმების ქვები", „კაკაბი და ნაკადული" და სხ. „ცირა" უშუალო პოეტური ოსტატობით არის დაწერილი. ეს ლექსი 1925 წელს დაიწერა. ამავე წელს დაწერილ სხვა ლექსებში პოეტი ძიების, ორიენტაციისა და საკუთარი ძალის გამორკვევის წინაშე სდგას. მართალია, იდეოლოგიურად პოეტი ამ ხანებში არ არის მუშათა კლასის მსოფლმხედველობის ნიადაგზე დამდგარი, მაგრამ ის მძლავრად გრძნობს მაინც აბობოქრებულ ცხოვრების დუღილს და თავისი წვრილ-ბურჟუაზიული პოეტური კონცეპციის გარდაქმნის აუცილებლობას. ამ პერიოდშივე ისახება მის შემოქმედებაში ნათელი პოეტური ხედვა.

1927 — 28 წლებში დაწერილ ლექსებიდან აღსანიშნავია „ძველ პოეტს", „სოფელი მაგონდება ქალაქში", „მოსვლის დღესასწაული", „მუშათა კლუბი საფრთხეშია", „საიდუმლო ბარათი", „კავკასიონიდან ტაგანროგამდე" და სხვ. ლექსში „ძველი პოეტი" პოეტი ეკამათება რა მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელ ძველ პოეტს, „რომელიც ეტრფის უცხოეთის მტვრიან ჭიანურს" ამბობს:

„ჩემთვის უცხოა ხაზობრივი დგომა ბერძნების:
მე არ ვიკეთებ ნიღბებს და ნისლის პარიკებს.
მე წინაპრებმა კაცობრივი ხმა მიანდერძეს,
და ჩლუნგი სმენით ამ მოძახილს შენ ვერ გაიგებ.

შენ მიგდებული და ნათრევი ჯაგლაგ ცხენივით
სცადე ქაღალდზე ძველი ხმების ლექსად შეკრება.
მე და შენს შორის შენ გამოხვალ დამარცხებული,
მაგრამ სირცხვილი შენ გარეცხილს არ დაგეკვრება“.

აქ პოეტი გულწრფელად აცხადებს, რომ ის თანადროულობასთან პირნათლად არის მოსული და ძველი პოეტივით არ იკეთებს ნიღბებს და ნისლის პარიკებს. ამასვე ამტკიცებს ამ ლექსში შემდეგი სტრიქონები: „ავიცერ მკლავი და მივიღე სისხლი დროების“.

თანადროულობასთან მოსვლის სურვილს პოეტი 1926 წელს დაწერილ ლექსშიც მტკიცედ ამჟღავნებდა:

„ეს ჩემი მხრებიც გამოსული ბნელ წყვდიადიდან,
როგორც ლამპარი — მხრებთა შორის ისე იალებს.
ამ საუკუნეს ჩემი ლექსი გაეკიდება
და როგორც ტყვია, დროის ცაზე გაისრიალებს“.

მაგრამ ამავე პერიოდის სხვა ლექსებში პოეტს უხვად აქვს ფუტურისტული ხასიათის „ცოდვები“. მას ჯერ კიდევ არა აქვს რეზონანსი, არა აქვს დამარწმუნებელი ძალა მის ხმას. ამას თითონაც გრძნობს და ლექსში „სოფელი მაგონდება ქალაქში“ შემდეგს სწერს:

„ვდგები მინდორზე და გულწრფელად დედას მივმართავ:
— „დღეს შენი შვილი გაშლილია ქვეყნად ჯვარივით“.
დედავ მერწმუნე, სამშობლოში მე ვარ მართალი,
მაგრამ ჩემს სიტყვას ჯერ სახალხოდ არ იჯერებენ“.

ლექსი „კავკასიონიდან ტაგანროგამდე“ ხალხთა ძმობისა და სოლიდარობის იდეას ეხება. აქ პოეტი ნაციონალურ კარჩაკეტილობის ფარგლებიდან გამოსულია და მთელს საბჭოთა კავშირს უცქერის, როგორც საკუთარ სამშობლოს. ეს საბჭოთა პატრიოტიზმის იდეა, რომელიც ჩვენი ლიტერატურის სინიდისს შეადგენს, პირველად საბჭოთა პოეზიაში წამოაყენა რევოლუციის უდიდესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. ქართულ ლიტერატურში კი ამ იდეას თავის დროზე გამოეხმაურა სიმონ ჩიქოვანი.

სიმონ ჩიქოვანი 1927-28 წლებიდანვე ცდილობს სოციალისტური მშენებლობის მრავალფეროვან თემატიკაზე გადავიდეს; თავის შემოქმედებაში ყოველდღიური ცხოვრების მაჯისცემა მოგვცეს. სოციალისტურ სინამდვილესთან გულწრფელი მისვლა და სოციალიზმის გამარჯვების რწმენა აძლევს მას დიდ პოეტურ ძალას სოციალისტური მშენებლობის მხატვრულ დამაჯერებელ ფერებში ასახვისას. სოციალისტური მშენებლობის ცხოველი დინამიკა მოითხოვს საგნებისა და მოვლენების ასახვას მის განვითარების პროცესში, მის დინამიურობაში. ჩვენი დიადი სოციალისტური მშენებლობა ისე უნდა ასახოს მწერალმა, რომ ის გარეშე მაყურებელი კი არ იყოს ჩვენი ყოველდღიური გარდაქმნის პროცესისა, არამედ თვით იყოს აქტიური მონაწილე ამ პროცესისა.

სიმონ ჩიქოვანმა თავის ლექსში „სიმონ ჩიქოვანი გასაწყვეტ თოკზე“ უკუაგდო განყენებული, ესთეტიური ჭვრეტა სინამდვილისა და ამ ქვეყნიურ ცხოვრების აპოლოგია მოგვცა. პოეტი მოგვითხრობს ლირიკულ იგავს, თითქოს მას მთათა შორის თოკი გაებას და როგორც ვირტუოზმა აკრობატმა — გამოჭნილმა ჯამბაზმა ამ თოკზე გაყოლებით მოინდომა „გადევლო ზემოდან ვაკე“, რადგან „ვით ძველ პოეტებს, სურდა სიმაღლე, ეგონა ზეცამ დანიშნა ქვეყნად“, მაგრამ „მუხთალმა“ ბედმა უღალატა, გაუწყდა თოკი და სიმაღლიდან პირდაპირ ხალხის სიღრმეში ჩაეშვა. ხალხის სიღრმეში ჩაშვება და მათში

ტრიალი, ხალხის ზნე-ჩვეულების შესწავლა და მათი ჭირვარამის გაზიარება, — აი ის იდეა, რომელიც ამ ლექსშია გატარებული.

1929 — 30 წლები სიმონ ჩიქოვანის პოეტური განვითარებისა და გარდაქმნის თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი წლებია. ამ წლებში ხდება ძირითადი გარდატეხა პოეტის შემოქმედებაში და მტკიცედ ყალიბდება ის, როგორც ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა პოეტი. ამ პერიოდში ჩიქოვანი დაუზოგველად იბრძვის თავისი ძველი ახალგაზრდული შეცდომების წინააღმდეგ. მართლაც, მისმა ლოგიკურმა თანმიმდევრულმა ბრძოლამ საკუთარი შემოქმედებითი ბუნების გარდაქმნისათვის, მიიყვანა იგი მუშათა კლასის მსოფმხედველობის ორგანიულ დაუფლებამდის. მისი მთელი რიგი ლექსები, რომლებიც 29 — 30-იან წლებს ეკუთვნის, გამთბარია დიდი პოეტური სურნელებით და ხასიათდება თანამედროულობის მრავალფეროვანი თემატიკით. ჩიქოვანს კარგად ეხერხება ცხოვრების განვითარების სწორი ტენდენციის გამონახვა და ლექსის იდეური დატვირთვა მხატვრული სახეობრივი ელემენტებით. მისი პეიზაჟები, მისი მხატვრული სახეები დიდი პოეტური ოსტატობით არის გამოკვეთილი და განათებულია ჩვენი დიადი სალიტერატურო ცხოვრების შინაარსით.

ძველი პოეტური კონცეპციის რადიკალურად გარდაქმნამ პოეტი ობიექტიური სინამდვილის სწორ გზაზე დააყენა. თუმცა მან ეს გარდაქმნის, ან, როგორც თვითონ უწოდებს, „შეცდომებისაგან განიარაღების პროცესი“ ისე მწარედ განიცადა, რომ ეს ტკივილები დაქნეული შოლტის წივილივით გაისმა მის ლექსებში. ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელია ლექსები „გამოთხოვება სიყმაწვილესთან“ და „გმირი და წინ“. ლექსში „გამოთხოვება სიყმაწვილესთან“ პოეტი იგონებს თავის ბავშვობის დროს. ის მოგვითხრობს, რომ „მე მახსოვს ერთხელ, ბავშვობის დროს და ზაფხულის დღეში ხე მოსჭრა მამამ, ხეს ხმა ჩაუწყდა და მიწას სთხოვდა უსულო გვამი მშობლიურ ამაგსო“. დღეს კი, როდესაც პოეტს სიყმაწვილის დაკარგვა ეჩვენო, სიმბოლიურ ხაზებზე პარალელს ავლებს, ოდესღაც მის ეზოში დაცემულ და თავის პირვანდელ პოეტურ „მეს“ შორის. თავისი ძველი პოეტური „მე“ ახლა დაცემულია და ისიც ისე „ფართხალებს“, როგორც ოდესღაც, ბავშვობის დროს ეზოში მოჭრილი ხე:

„ზაფხულის დღეში მე ჩამრჩა შენგან,
მოჭრილო ხეო, სიკვდილის ნისლი,
დღეს სიყმაწვილის დაკარგვა მერგო
და ვხედავ ირგვლივ ვერავინ მიხსნის“.

ასეთივე ანგარიშის გასწორება ძველ პოეტურ კონცეპციასთან სჩანს ლექსში „გმირი და წინ“.

*
* *

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში მშვენიერ მხატვრულ სახეებში აისახა განახლებული მთის სოციალისტური ყოფაცხოვრება. ხევსურეთისა და სვანეთის იშვიათმა ბუნებამ ჩიქოვანის შემოქმედებაში პეიზაჟის მონუმენტალური სრულყოფა ჰპოვა, რის ფონზედაც პოეტმა გვიჩვენა განახლებული მოსახლეობის სულიერი სწრაფვა მთის კარჩაკეტილ პატრიარქალურ ყოფიდან, ქალაქის სოციალისტური კულტურისა და განახლებული ცხოვრებისაკენ. ამ მხრივ პოეტური ოსტატობით არის შესრულებული მისი ლექსები: „უშგულის კომკავშირი“, „შემოღამება ხახმატში“, „ხევსურული ძროხა“ და სხვები, რომლებშიაც მძლავრად იგრძნობა მთის პრიმიტიულ ყოფაში შეჭრილი სოციალისტური

ცხოვრების სურნელება. „უშგულის კომკავშირში“ ნათელ მხატვრულ ფერებშია ასახული სოციალისტური სვანეთის ახალგაზრდა კომკავშირული თაობის ბრძოლა, ძველი პატრიარქალური ყოფის წინააღმდეგ და ნაჩვენებია მრავალსაუკუნოვანი ჩამორჩენილობიდან გამოსული დღევანდელი სოციალისტური სვანეთის სახე.

ლექსში „შემოღამება ხახმატში“ მოსჩანს ახალგაზრდა ხევსურის გამოღვიძებული ცნობიერება, რომელიც საუკუნეების მიერ შექმნილ ტრადიციებს ზურგს აქცევს. ის ხევსურეთის სოფლის პრიმიტიულ ყოფაში ვერ პოულობს სულიერ განახლებისათვის ესთეტიურ-კულტურულ საზრდოს და დაუზოგველად ილტვის ქვევით, ბარისკენ. რათა ქალაქის კულტურულ ცხოვრებას ეზიაროს. ლექსის პერსონაჟი ყუდია ხედავს, რომ ხევსურეთიც ქალაქის კულტურულ ცხოვრებას უნდა აჰყვეს და დაიმსხვრეს საუკუნეების მიერ შემუშავებული ის ტრადიციული უმეცრების ბორკილები, რომლებიც დღემდე ხევსურეთს უსინათლობასა და უვიცობაში აბოგინებდა:

„მე მინდის ვიყო ვარგის შოფერი,
შეისწავლების? თქვენ როგორ იტყვით“

— ეუბნება ყუდია ხევსურეთში ქალაქიდან მოსულ სტუმრებს. მაგრამ ხევსურეთში მაგრად არის ფეხმოდგმული ადათი, და ღვთისო წყრომით მიმართავს მას: „შოფერს რას ამბობ — იკითხავს ღვთისო, შოფერს ხახმატში რა ესაქმება?“ ეს დიალოგი. სტუმრებისა და ყუდიას საუბარი და ბოლოს ღვთისოების ჩარევა შიგ მშვენიერი კონტრასტულ ხაზებშია გაშლილი; ყუდია, რომელიც მძლავრად გრძნობს ახალი გამოცოცხლებული კულტურული ცხოვრების ძალას, უპასუხებს ღვთისოს:

„შოსე ხევსურშიც მოვა და ერბოს
წავიღებთ თვითონ ბარის სასუქად,
ხევსურსაც უნდა ცხოვრება ერგოს,
ყუდია ეტყვის ღვთისოს პასუხად.
—ქვეშ გაკეთდეს რიყეზე სკოლა,
გაგვტეხავს ჯიუტს, მოუტანს გაზეთს.
არ ვარგის მუდამ ხატებში წოლა,
თვალ გავაყოლოთ სამხედრო გზაზეც“.

ეს ხაზი ხევსურეთში ახალი ყოფაცხოვრების დამკვიდრებისა ნათელი მხატვრული სახეების საშუალებით გაგრძელებულია „ხევსურულ ძროხაში“. ეს საკმაოდ გრძელი ლექსიც კარგად აგრძნობინებს მკითხველს ხევსურეთის ბუნების მშვენიერ პეიზაჟებს და მთის ხალხის ყოფაცხოვრებაში ახალი საგანმანათლებლო კულტურული სიოს ქროლვას.

*

* *

პოეტური ოსტატობით და გულწრფელი პათოსითაა დაწერილი სიმონ ჩიქოვანის კოლხიდისადმი მიძღვნილი ლექსები. კოლხეთის დაჭაობებული ადგილი, რომელიც მოსახლეობას საშინელ სენით აავადებდა, დღეს მგზნებარე კოლხიდელის — დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიალური გეგმის მიხედვით გარდაქმნილია და ციტრუსოვან კულტურით აყვავებულ წალკოტს წარმოადგენს. დღეს კოლხეთის დავრდომილ და მწარ მიწაზე უხვად ხარობს ფლორიდის, ცეილონის, ახალი ზელანდიის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების ულამაზესი მცენარეების

ბუჩქები, რომლებიც საუკუნოვან ციების შხამს ისრუტავენ, გარემოს საამო სურნელებით ავსებენ და კოლხიდას ძველი ზღაპრული იერის სახეს უბრუნებენ.. სიმონ ჩიქოვანის ლექსები ახალ კოლხიდაზე უშუალო პოეტური ლირიზმით ხასიათდება. პოეტი კოლხეთის მშვენიერი ბუნების პეიზაჟის გაშლის ფონზე გვიჩვენებს ახალი მოსახლეობის ბედნიერ და დოვლათით სავსე ცხოვრებას. ლექსები: „ტბაზე", „ბავშვობის მოგონებანი" და „ნიჟარის საფერფლე" ბავშვობის დროინდელ მოგონებებსა და განცდებთან არის დაკავშირებული. კარგად არის ტბაზე ნავებით სეირნობა აღწერილი და ამ ნიადაგზე აღდგენილი ბავშვობის ხანის შთაბეჭდილებები. მშვენიერია აგრეთვე ბავშვის ჭაობებში შემოყინული ფეხის თითების წრიალი, განუზომელი სურვილი სანატრელ ხვითოს ხელში ჩაგდებისა, შემდეგ დამეგობრება „კოლხიდის მწირ და დავრდომილ მიწასთან" და დაბოლოს ბებიასგან თქმული დაუსრულებელი ზღაპრები ოქროს მატყლოვანი ვერძის შესახებ და თქმულებები „ხალხის სარდალ", ლეგენდარულ გმირ ამირანზე. ლექსები „ჰიდროპლანი და მებაღე", „ჭირნახულის შემოსვლა სოფლად" და „კოლხიდის საღამო" გვიხატავს განახლებულ კოლხიდის მოსახლეობის დოვლათით სავსე ჯანსაღ და ბედნიერ ცხოვრებას. პოეტი ქებადიდებას ასხამს იმ მარვჯენას, რომელმაც „გააცოცხლა წყარო ბავშვივით", „დააშრო ჭაობის ქუში", „დაიურვა ქაოსის ძალა" და კოლხიდა აყვავებულ ბაღს დაამსგავსა.

*
* *

მუშათა კლასის უსაყვარლესი ბელადის — დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა დ მ ი მიძღვნილ ლექსებში, სიმონ ჩიქოვანმა მკვეთრად გამოხატა საბჭოთა პატრიოტიზმის იდეა და იშვიათ მხატვრულ სახეებში გვიჩვენა გამარჯვებათა ორგანიზატორის, უბრძენესი ბელადის — დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ტიტანიური სახე. მთელმა რიგმა მოწინავე საბჭოთა პოეტებმა უდიდესი სიყვარულის გრძნობით უმღერეს უმშვენიერესი ჰიმნები ჩვენი მზიური, ბედნიერი ცხოვრების, კაცობრიობის გამათავისუფლებელი დიად ქარტიის — სტალინური კონსტიტუციის შემოქმედს, ლენინის დიადი საქმის დამცველს და გამგრძელებელს საყვარელ ბელადს. სიმონ ჩიქოვანის პოეტური სახვითი ძალა, მისი ნათელი მხატვრული სახეები და გულწრფელი პათოსით აღფერებული ხმა, ჩვენს მრავალფეროვან პოეტურ ორკესტრში იშვიათი ვირტუოზობით გაისმის.

ლექსში, „მდინარის გადაგდება", პოეტი ადიდებს სტალინის ბრძნულ პოლიტიკის შედეგებს მისი გენიის შემოქმედებას და ამბობს:

„ბელადი ბინდშიც ალიონს ხედავს,
პალიასტომშიც გასჭვრიტავს ფაცერს;
სტალინის ფიქრი ჩვენს ნამოქმედარს
ფესვივით კვებავს და ავაყაცებს".

სტალინის მშობლიურ კერას, ქალაქ გორს ეხება ლექსი „გორის ციხე". ჩიქოვანი ამ ლექსში გვიხატავს ქართლის ისტორიულ ბედს, მის წარსულს და დღევანდელობას, ქართლის ბუნების თვალუწვდენელ ტრამალებით, და გვაძლევს უაღრესი სიყვარულის გრძნობით გამთბარ ჰიმნს იმ ადგილისას, სადაც დაირწა დიდი ბელადის აკვანი და სადაც გაატარა მან ბავშვობის წლები. წარსულში ერთგვარი ექსკურსიის შემდეგ პოეტს გადავყევართ დღევანდელ ქართლის კოლმეურნეთა მამულში, სადაც მწიფე ხეხილის სურნელით დამტკბარი კოლმეურნენი ხალისით შეჰყურებენ მზეს.

ქართლის ველები გორის ადგილმდებარეობა, რომელიც ლიახვისა და მტკვრის არშიას მოურთავს და რომელსაც გარს „კალთებივით გაშლილი ველი არტყია“ საუცხოვო მხატვრულ სახეებში არის აღწერილი:

„საშემოდგომოდ მოურთავს გორი
მტკვრის და ლიახვის გაშლილ არშიას.
ადგას გორის ციხე შუბლივით სწორი
და კალთებივით ველი გაშლია.
ამ ტრამალებში დარბოდა ბავშვი
და გორიც, ახლა თითქო ბავშვია,
მოუსმენია ჰახჰახი ბავშვის
და ქარს ტრამალზე უთამაშნია“.

კარგად არის აგრეთვე ლექსში გამოხატული გორელ კოლმეურნეობების სიამაყისა და სიყვარულის გრძნობა, დიდი ბელადისადმი და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეა:

„ბაასობდენ და ჯულაანთ გვარი
ბედნიერ შუქით ავსებდა თვალებს.
მათ სიამაყეს იღებდა ქარი
და უგზავნიდა ბელადის კარებს.
ლოცავდენ ქართლის ავსებულ კალთას,
ბელადის გულს და მეზობელ ერებს.
გორიდან კრემლში ხედავდენ სარდალს
. . . . . .

იშვიათი პოეტური ოსტატობით და სისადავით არის აგრეთვე დაწერილი ლექსი „სიმღერა სტალინზე“. ეს ლექსი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ხალხში.

სიმონ ჩიქოვანი ახალი ლექსის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია. მის ლექსებს ახალი ნოვატორული ოსტატობა და რიტმისა და რითმის შერჩევის პოეტური გემოვნება ახასიათებს. ზოგ შემთხვევაში პოეტს სჩვევია შორეული დისონანსური რითმების გამოყენება, რომელიც ლექსს მეტ სინატიფეს და კეთილშობილებას ანიჭებს.

მაგრამ ზოგ შემთხვევაში პოეტი იყენებს ძველ ტრაფარეტულ რითმებსაც, რომელიც უსათუოდ ასუსტებს მისი ლექსის ფორმალურ მხარეს. გარდა ამისა მისი ზოგიერთი მხატვრული სახე, ამ უკანასნელ წლების მანძილზე დაწერილ ლექსებშიც, არ არის დაზღვეული ბუნდოვანებისაგან.

მის ლექსებში ჯერ კიდევ გვხვდება მხატვრულად სუსტი და ბუნდოვანი ადგილები, მაგ:

„ჩვენც ვცხოვრობთ მთაში, გადაშლილ ბარში,
ქარიშხალში და მდინარის გულში.
ჩვენ ვცხოვრობთ ხალხში და ხალხის ქარში,
სიხარულში და ბუნების სულში“.

ჯერ ერთი, რითმები: ბარში-ქარში და გულში-სულში ვერაფერი რითმებია და მეორეც აქ ორი უკანასკნელი სტრიქონი თითქმის წინა ორი სტრიქონის ვარიაციას წარმოადგენს. გაუგებარია რას ნიშნავს სიტყვა „ხალხის ქარში“?! პოეტს ხშირად აქვს აგრეთვე გამოყენებული ერთი და იგივე მხატვრული სახე, რაც უსათუოდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ლექსში „სვანეთში გაგზავნილი ბარათი კომკავშირელ ქალისადმი“ არის ასეთი ადგილი:

„შემოდგომა იდგა მაშინ
მობრიალე მაღალ მთაში...
შავი, შავი, საშიშარი
გაიშალა ქარიშხალი.
და გორვაშის ბნელ ოხვრაში
კვილი და ქარის ტაში...
ქარიშხალი როგორც რაში
ნისლი ფერი გარიჟრაჟის“.

ეს ადგილი სავსებით ბუნდოვანია. აქ ჩვენ უსათუოდ პოეტის პირველი პერიოდის ფორმალური ძიების რეციდივთან გვაქვს საქმე.

ამ უკანასკნელ დროის დაწერილ ლექსში: „არ დაიჯერო თითქოს ოდესმე“, მოსჩანს რაღაც სევდიანი, პესიმისტური კილო:

„მეც ვახმაურე ჩემი ნაღარა,
გულით გვკვებავდი, ლექსო ხალასო,
ეხლა ჭაღარა შემომეპარა,
როგორც ღიმილი უშინაარსო“.

ეს ნაღვლიანი, პესიმისტური მელოდია სრულებით შემთხვევითია და ჩიქოვანის პოეზიის ძირითად ხაზთან მას კავშირი არა აქვს.

სიმონ ჩიქოვანს თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

იაკობ ბალახაშვილი

გრიბოედოვი საქართველოში და ნინო ჭავჭავაძე*)

ამ დროისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძე პეტერბურგში იყო. ეკატერინე დედოფლის ნათლულს სატახტო ქალაქში ყველანი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

გრიგოლ ორბელიანი სალომე ჭავჭავაძისადმი 1835 წლის 25 ივლისის თარიღით გაგზავნილ ბარათში წერდა:

„... ამას წინათ ვნახე ღენერალ ლეიტენანტი ბარონ როზენი, რომელიცა იყო დივიზიონი კამანდირად საქართველოში — მიამბო თქვენი ამბავი, კნიაზისა, რომელიცა ენახა პეტერუბრგში. ვიცი, რომ კნიაზი ძალიან კარგად არის მიღებული პეტერბურღში“ [1].

1836 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში ჩავიდა გრიბოედოვის ქვრივიც-

იმავე წლის 21 ივნისს პეტერბურგში ჩამოსულმა პრასკოვია ნიკოლოზის ასულმა ახვერდოვამ ალექსანდრე ჭავჭავაძეს დედის გარდაცვალება აუწყა და თან ნიკოლოზ ფალავანდიშვილისაგან გამოტანებული წერილი გადასცა.

ბარათის მიღების მეორე დღესვე ურვით აღვსილი ალექსანდრე ჭავჭავაძე ნიკოლოზ ფალავანდიშვილის საპასუხოდ გაგზავნილ წერილში წერდა:

„მოწყალევ ხელმწიფე

თავადო ნიკოლოზ იოსებისძე.

პრასკოვია ნიკოლაევნასაგან ვსცან გუშინ, ჩემზედ მოწევნილი უბედურება, რომელისაც გაგონებას ყოველდღე მოველოდი; და თქვენი წიგნი ამისგანვე მივიღე.

რასაც ხანში დედა ჩემი იყო, იმ წელიწადებში მყოფი რა ერთხელ სნეულებისაგან დასუსტდება, მობრუნება ძნელიღაა. ვჰმადლობ ყოვლის შემოქმედს — კაცისათვის სიკვდილი რა გასაკვირველია!

ეს არის ჩემთვის სამეტნაოდ სამწუხარო, რომ უკანასკნელ დღეებში დედი ჩემის მოვლა და სამსახური არ მეღირსა და ვერც პირდაპირ კურთხევა და მიტევება მივიღე იმისაგან, რომლისაც წინაშე რა გზა გაქვს მრავალი ბრალი არა მქონდეს, ზოგჯერ ნებსით და უნამეტნავეს გზის უნებლიედაც მწუხარების მიყენებით.

---

* დასასრული. „ჩვენი თაობა“, № 10.

[1] გრ. ორბელიანი — „წერილები“, 1936 წ. ტ. I, გვ. 33.

სხვებრ თქვენმა მონაწილეობამ და მართებულობის სიყვარულმა უჩემობა არ დაატყო. მირწმუნეთ, არ ვიცი რა მადლობა მოგახსენოთ გარდაცვალებულის დამარხვაზედ თქვენგან მიღებულის შრომის და მზურნველობისათვის; მაგრამ კეთილი არსად დაიკარგვის.

მანანას წინანდალში ყოფნა მიხარიან. დარწმუნებული ვარ, რომ დიდს ნუგეშათ ექნებათ ხალომესაც და ქალებსაც.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი აღმსარებლობა და ჭეშმარიტი პატივისცემა თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესის მსახურის თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

22 ივნისს 1836 წ.

ს. პ.[2].

პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვას პეტერბურგში ჩასვლისთანავე უამრავი ნათესავები, მეგობრები და ხშირად გრიბოედოვის ისეთი თაყვანისმცემელნიც ეხვეოდნენ, რომელთა უმეტესობას ის სრულიად არ იცნობდა.

დეკაბრისტი პოეტი კიუხელბეკერი თავის დღიურში ამის გამო სწერს:

„დედაჩემისაგან მივიღე წერილი. ფასდაუდებელია ჩემთვის ის, რომ მან იმსაათშივე ინახულა ჩემი მეგობარი — პრასკოვია ნიკოლოზის ასული ახვერდოვა, როგორც კი შეიტყო რომ ახვერდოვა პეტერბურგშია. შემიძლია წარმოვიდგინო მათი საუბარი! არა ერთგზის მოიხსენებდნენ ისინი ჩემს მეგობარ გრიბოედოვს, ამაში მე ეჭვი არ მეპარება“[3].

რა თქმა უნდა რომ პრასკოვია ნიკოლოზის ასულის მეშვეობით, ნინო ჭავჭავაძე გაიცნობდა თავის დედობილის ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს.

ეჭვი არაა, რომ ახვერდოვამ ნინო გრიბოედოვა და იქნებ ალექსანდრე ჭავჭავაძეც მიიყვანა პოეტ მიხეილ ლერმონტოვის ოჯახში.

გრიბოედოვის მონათესავენი ხომ აუცილებლად მოინახულებდნენ პოეტის უდროოდ დაქვრივებულ მეუღლეს.

ვინ იცის, იქნებ პუშკინიაანთ ოჯახმა გადმოიპატიჟა ნინო ალექსანდრეს ასული იმ პატივისცემის სანაცვლოდ, რომელიც სახელგანთქმულ პოეტის ძმამ ლევ სერგეისძემ, როგორც ზემოთ ვნახეთ, მიიღო ჭავჭავაძიაანთ ოჯახში წინანდალში ყოფნის დროს.

*
* *

ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი ასული ნინო ჯერ ისევ პეტერბურგში იყვნენ, როცა 1837 წლის 28 იანვარს დანტესთან დუელში სასიკვდილოდ დაჭრილი პუშკინის ამბავი მოედო ქალაქს.

1837 წლის თებერვლის შუა რიცხვებში პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნებული ნინო ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, თავის ნაცნობ მეგობრებს, პეტერბურგის სხვა ახალ ამბებთან ერთად, პუშკინის სიკვდილის თავზარდამცემ ცნობასაც გადასცემდა.

ჩემის აზრით, სწორედ ნინო ჭავჭავაძეს ჰგულისხმობდა ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი, როცა ფრანგულ ენაზე ტფილისიდან ძმასთან გაგზავნილ ბარათში წერდა:

---

[2] საქ. მუზ. პალ. განყ. საბუთი Sd ფონდისა № 1826.

[3] В. Н. Кюхельбекер — „Дневник“, 1929 წ. გვ. 38.

„პუშკინის დაღუპვის ეს ახალი ამბავი მე მაცნობა ერთმა მომჯადოებელმა ქალმა“[4].

პუშკინის უდროოდ დაღუპვამ უალრესად აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრივობაც. ერთნი ჰკიცხავდნენ და აგინებდნენ პოეტის მკვლელს დანტესს, ხოლო მეორენი მზად იყვნენ სასიკვდილოდ შებმოდნენ მას.

მეორე ჯგუფის სულისკვეთებას საუცხოოდ გამოხატავენ 1832 წლის შეთქმულების ცნობილ მონაწილისა და სახელგანთქმულ მეომრის მამუკა ორბელიანის მიერ ალექსანდრე ბესტუჟევთან საუბრისას თქმული სიტყვები, რომლებსაც დღემდე რატომღაც არავინ მიაქცია ყურადღება.

„როცა მე წავიკითხე, — წერდა ალექსანდრე ბესტუჟევი ფრანგულ ენაზე დაწერილ ერთ წერილში თავის ძმას პავლეს,—მამუკა ორბელიანოვისადმი მიწერილი თქვენი წერილი, მან წყევლითა და კრულვით გამიცხადა: „მე რომ ოდესმე სადმე შევხვდე იმ დანტესს, მას აუცილებლად მოვკლავ-ო“[5].

*
* *

მოახლოვდა შეთქმულების მონაწილეთა სამშობლოში დაბრუნების დრო და ერთმანეთს მოყვნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვ. ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები და ტფილისის ცხოვრება კვლავ ახმიანდა.

გახშირდა ქალთა „აკადემიის სხდომები“, რომლებშიაც ნინო ჭავჭავაძე „მონაწილეობდა“ და მისი ეშხით გრ. ორბელიანიც ერეოდა ხოლმე.

„მისი ბალკონიდან, — გვიამბობს იონა მეუნარგია — დაჰყურებდა პოეტი ორბელიანთა ქალების კრებას. ამათ კრებას ის ეძახდა აკადემიას, ან ადგილისა გამო, საცა ისინი იკრიბებოდნენ, კიბეს. რა არ ითქმოდა ამ კრებაში! დღის ამბავი, ნიშნობა, ჯვარის წერა, ახალი ტანისამოსი წასვლა-მოსვლა და სხვადასხვა საიდუმლოება და სხვადასხვა“[6].

თვითონ გრიგოლ ორბელიანი ასე აგვიწერს ამ „აკადემიას“.

„საღამ-საღამოობით აკადემია ჩვეულებრივ გროვდება, ხან საყდრის კარებთან, სადაც დედოფლობს ელისაბედ, რომლის მარჯვნივ ჰზის სოფიო, მარცხნივ მაიკო და პირდაპირ ნინო და მღვდელი, ხან ისევე ყრილობა ჰსხედს სოფიოს კარებთან და ამის გამო მაშინ პირველობს სოფიო.

ლაპარაკის საგანი არის ეს ქვეყანა და მისი დაუსრულებელი სხვადასხვაობა ამბების, ხანდახან გაკვრა-გადაკვრით, მითომ შეძრწუნებით, მოიხსენებენ ოხვრითა აწინდელის ქალების ყოფა-ქცევასა და სხვათა, რომელნიცა შარშანდელს კაბასავით ადვილად და გულუტკივრად თავს ანებებენ ქმარსა და დასდევენ ხან მამიდას, ხან ბებიდას და ამგვარს უმანკო საუბარ-შექცევაში ატარებენ დროს“[7].

ხშირად პოეტი თვითონ ჩაერეოდა ამ ლაპარაკში, მოჰყვებოდა რაიმე ჭორს ან სრულიად უმიზეზოდ წაჰკიდებდა ერთმანეთთან ქალებს.

---

[4] ჟურნ. „Отечественные Записки“, 1860 წ. № 6.
[5] იგივე წყარო.
[6] ჟურ. „მოამბე“, 1904 წ. № 12, გვ. 25, 26.
[7] იგივე წყარო, გვ. 26.

*
* *

დანტესთან დუელში ნიკოლოზ პირველის ტყვიით გულგანგმირული ალექსანდრე სერგეისძე პუშკინი სვიატოგორსკის მონასტერში განისვენებდა, პუშკინის თავიდან მოშორებით გახარებული სისხლიმსმელი მონარქი კი რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოსკენ გამოემართა.

1837 წლის ოქტომბრის რვას დღის ოთხ საათზე შემოვიდა იგი ქალაქ ტფილისში.

მეორე დღეს გაიმართა ჯარების აღლუმი.

ქართველი თავადები — სწერს ისტორიკოსი პოტტო, — ასი და ორასი ვერსის სიშორიდან მოდიოდნენ ტფილისს, თან ახალგაზრდა შვილები მოჰყავდათ, რომ ხელმწიფესთვის ეჩვენებინათ და მონაწილეობა მიეღოთ დღესასწაულში"[8].

აღლუმში მონაწილე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში იმხანად იმყოფებოდა რუსეთის გამოჩენილი პოეტი მიხეილ იურისძე ლერმონტოვი, რომელიც პუშკინის გარდაცვალებაზე დაწერილ ლექსისთვის კავკასიაში იქნა გადმოსახლებული.

ჯარების გასინჯვისას ხელმწიფე იმპერატორმა აპატია რა „დანაშაული" ლერმონტოვს, კვლავ გვარდიაში გროდნის გუსართა პოლკში გადაიყვანა კორნეტის ჩინით.

ამ აღლუმზევე ნიკოლოზ პირველმა ფლიგელ-ადიუტანტობა ახადა საქართველოს მთავარ-მართებლის ბარონ გრიგოლ ვლადიმერისძე როზენის სიძეს, პუშკინიანთ ოჯახის ნათესავს ალექსანდრე ლევანის ძე დადიანს.

ელისაბედ ყაზბეგი თავის მემუარებში შემდეგნაირად აგვიწერს ამ ამბავს ალექსანდრე ყაზბეგის დედის — კეკესა და ბებიის სოფიოს დიალოგში:

„კეკე, ხომ გახსოვს ნიკოლოზ ხემწიფის მობრძანება და მისი ყაბახზე ჯარების გასინჯვა? ღმერთო ჩემო, რა ამბავი იყო! იმის მრისხანე ხმა ეხლაც რომ მომაგონდება, შემაშინებს ხოლმე. გახსოვს ბარონ როზენის სიძეს დადიანს ექსილბანდები რომ თავისი ხელით ააგლიჯა?

— ქა, როგორ არ მახსოვს, კნ. მანანა ორბელიანის სახლის აივანზე ვისხედით, რომელიც ყაბახს ზედ გარდაჰყურებდა, ბარონს ცოლს და ქალს გულები შემოეყარათ და ერთი წიოკობა გაიმართა". [9]

10 ოქტომბერს ყოფილ სემინარიის შენობაში (სადაც ამჟამად სასტუმრო „პალას-ოტელია") ქართველმა თავად-აზნაურობამ ბრწყინვალე ბალი გაუმართა იმპერატორს.

სწორედ იმ დღეს მოვიდა კოკისპირული წვიმა, ქუჩები ისე ატალახიანდა, რომ შეუძლებელი შეიქნა ერთი კუთხიდან მეორე მხარეზე გადასვლა.

„რა უნდა ექნათ, — წერს პოეტი ი. გრიშაშვილი, — დაპატიჟებულ სტუმრებს? ბალზე დასწრება სიცოცხლეთ უღირდათ. დაიქირავეს კურტნიანი მუშები და ასე ხელში აყვანილები გადატანილ იქმნენ მეორე მხარეს"[10].

სხვა სტუმართა შორის ბალზე მოწვეულ იქმნა ინგლისელი მოგზაური კაპიტანი რიჩარდ ვილბრეჰამი.

თავის მოგონებაში ვილბრეჰამი გვიამბობს:

---

[8] ჟურ. „მოამბე", 1897 წ. № 11.

[9] ჟურ. „მნათობი", 1925 წ. № 3.

[10] გაზ. „ლიტერატურული გაზეთი", 1934 წ. № 23.

„როდოფინკინმა მიმიჰატიჟა სადილზე და მთხოვა გავყოლოდი ბალში, რომელიც იმპერატორის აქ ყოფნისას მოეწყო. აქ მე ფრიად გავეროე ჩემთვის ახალი სცენებით. როდესაც ჩვენ მივედით რვა საათზე მეტი იყო, მაგრამ გასასვლელები და სასტუმრო ოთახი უკვე სავსე იყო ხალხით.

მამაკაცების უმრავლესობა ჯგუფად იდგა ოთახის შუა გულში, ნაწილი ბრბოში იდაყვებით იკაფავდა გზას. ქალები კი ჩამწკრივებულნი ისხდნენ კედლების გასწვრივ ჩამოლაგებულ სკამებზე.

საცეკვაო დარბაზს უკან მიყვებოდა გრძელი რიგი ოთახებისა და თავდებოდა პატარა რვაკუთხიანი ბუდუარით, რომლის კუთხეებზე განლაგებული საკრძლები გიზიდავდნენ თავისი სიმშვენიერით.

ქართული ტანსაცმელი გაცილებით უხდებოდათ მამაკაცებს, ვიდრე ქალთა სქესს. ისინი დიდ უპირატესობას ამჟღავნებდნენ სომეხი სოვდაგრების გვერდით, რომლებიც თავიანთ ერთობ მოკრძალებულ ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი.

ბალს ესწრებოდნენ თურქებიცა და სპარსელებიც. ასე, რომ რამდენიმე ევროპიელი რომ მოგეყვანათ აქ, რომელსაც წინასწარ არ სცოდნოდა სად იმყოფებოდა, ალბათ მასკარადზე ეგონებოდა თავისი თავი, იმდენად ნარევი ხალხი იყო შეყრილი.

მოხუცი მუშტაიდიც აქ იყო, რომელმაც ჩამჭიდა ორივე ხელი და პირდაპირ გადამაყოლა შეკითხვებს, განსაკუთრებით მელაპარაკებოდა თავის სამშობლო ქვეყნის შესახებ.

ცხრა საათზე იმპერატორი მოვიდა და ბალიც დაიწყო. მისმა უდიდებულესობამ თვითონ გახსნა იგი“.[11]

ნიკოლოზ პირველმა პირველი პოლონეზი იცეკვა მართა სოლოლაშვილის ქალთან.

„იმპერატორი, — წერს პოტო, — მხიარული იყო და მან პირველი პოლონეზი იცეკვა სილამაზით გამოჩენილ მართა სოლოლაშვილის ქალთან (შემდეგ თავად ერისთავზე გათხოვილი) ხოლო მეორე ქალაქის თავის სარაჯიშვილის ცოლთან“.[12]

განსაკუთრებული თავაზიანობით ეექცეოდა ხელმწიფე ბალზე გრაფინია სიმონიჩს, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას და მაიკო ორბელიანს.

ბალის თანადამსწრე გვიამბობს:

„იმპერატორი განასკუთრებით ყურადღებიანი იყო გრაფინია სიმონიჩთან, გრიბოედოვასთან და მაიკო ორბელიანთან“.[13]

ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილი რამდენიმე ქართველი მამაკაციც აყვა პოლონეზის ცეკვას და მთელი დარბაზი ახმაურდა.

ეჭვი არ არის, რომ ამ ბალს დაესწრო მიხეილ ლერმონტოვიც.

„ახალგაზრდა პოეტი — წერს სრულიად სამართლიანად მკვლევარი ლევან ასათიანი, — და დრაგუნთა ოფიცერი ლერმონტოვი, ალბათ, დაესწრო ამ ბალს და საფიქრებელია, რომ შეხვდა გამოჩენილ წარმომადგენლებს მაშინდელი ქართული საზოგადოებისას: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც წინათ ლერმონტოვთან ერთად გუსართა გვარდიის პოლკში მსახურობდა, გრიგოლ ორბელიანს, მაშინ ახალგაზრდა შტაბს-კაპიტანს, ახლად დაბრუნებულს რუსეთიდან და იქნებ ნიკო ბარათაშვილსაც, ოცდაერთი წლის ჭაბუკ პოეტს, რო-

---

[11] ი. ბალახაშვილი — „ლიტერატურული წრეები და სალონები“, 1940 წ. გვ. 137, 138

[12] ჟურ. „მოამბე“, 1897 წ. № 11.

[13] ჟურ. „Русский Архив“, 1904 წ. № 1.

მელსაც უკვე დაწერილი ჰქონდა „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „ფიქრი მტკვრის პირად“. ამ დროს თვით ლერმონტოვი ოცდასამი წლის იყო.[14]

ბალზე დამსწრე თურქებს თავი მეტად ცუდათ ეკავათ. მოწმე გვიამბობს:

„ბალზე იყვნენ ბევრნი თათარნი, რომლებმაც ბალი ბაზრად გახადეს. ერთმა მათგანმა ვგონებ შირვანელმა მუსტაფამ — ხანმა გაიძრო ჩექმები და უბრძანა მსახურს საჯაროდ ეფხანა მისთვის ფეხის გულები“.[15]

პოლონეზი კადრილმა შესცვალა, კადრილი ლეკურმა, ლეკური კი ვალსმა. რიჩარდ ვილბრეჰამი წერს:

„კადრილის ცეკვაც დამთავრდა. რამდენიმე ქართველმა იცეკვა ლეკური. იმპერატორი დიდხანს არ დარჩენილა, და როდესაც ოთახში ხალხი ცოტათი შეთხელდა, მცირე ჯგუფებმა დავიწყეთ ვალსი.

ჩემი დამა დიუფალი კატინკაც (ეკატერინე ჭავჭავაძე) ლამაზი ქართველი ასული თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულს, მისი მიხვრა-მოხვრა და ტანსაცმელი იყო ევროპული.

აქვე იყო მისი და მადამ გრიბოედოვა, ქვრივი რუსეთის გაუბედურებული ელჩისა, რომელიც მოკლულ იქმნა თეირანში, მათი მამა გენერალია რუსეთის სამსახურში.

აქაური ადათი უკრძალავს ქალებს ერთჯერ მეტად შემოუარონ წრეს ერთდაიმავე ჯენტლმენთან. ამის გამო იყო მუდმივი ცვლა დამებისა“.[16]

ბალის დასასრულს გაიმართა ვახშამი.

იგივე ვილბრეჰამი გადმოგვცემს:

„ვახშამი გაიმართა ძალზე გვიან, მეტად ლამაზ სტილზე და როგორც კი ქართველებმა შეზარხოშება დაიწყეს, მე გამოვეთხოვე მათ და შინისაკენ წამოველ“.[17]

ბალის შემდეგ გამართულმა ვახშამმა გასტანა შუადღემდე.

* * *

იმავე 1837 წლის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისში ჩამოსული ბარონ კლიმენტი კლიმენტისძე ბოდე გრაფინია სიმონიჩის მეუღლესთან გაეცნო თავის ძველ მეგობრის ქვრივს ნინო ალექსანდრეს ასულს.

შემდეგი წლის დასაწყისში თეირანში გამგზავრების წინ რუსეთიდან ტფილისში დაბრუნებულმა ბოდემ მოისურვა ენახა გრიბოედოვის აკლდამა.

„გაიგო თუ არა, — წერს ბოდე — ნინო ალექსანდრეს ასულმა ჩემი სურვილი მენახა გრიბოედოვის საფლავი, მან თვითონ შემომთავაზა ყოფილიყო ჩემი გზის მაჩვენებელი.

ალმართოვან ბილიკით ჩვენ ორნივე ფეხით ავედით მთაწმინდაზე. იქ კლდეში გამოხრულ გვირაბში მისი მზრუნველობით დადგმულია ძეგლი, რომლის ქვეშ განისვენებს უნიჭიერესი ადამიანის გვამი. ჩვენ სრულ დუმილში მუხლი მოვიყარეთ მის წინ.“[18]

---

[14] ჟურ. „ჩვენი თაობა“, 1937 წ. № 9.
[15] ჟურ. Русский Архив“, 1904 წ. № 1.
[16] ი. ბალახაშვილი — „ლიტერატურული წრეები და სალონები“, 1940 წ. გვ. 141.
[17] იგივე წყარო, გვ. 142
[18] „А. С. Грибоедов в мемуарах современников“, 1929 წ. გვ. 251.

*
* *

ალექსანდრე ჭავჭავაძის გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე ჭავჭავაძიანთ სალონი გამოცოცხლდა. ნინოსა და ეკატერინეს ალბომთა ფურცლები ახალდაახალ ჩანაწერებით შეივსენ.

ამ დროს ეკუთვნის ლუკა ისარლიშვილის ლექსიც.

ნ ი ნ ა გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა ს, ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს

ერთხელ ბედმა მეც შემისმინა
და შენის ნახვით მაბედნიერა;
მარა თვალები მყის გამიშტერდა
გაცვიფრებულსა ცნებაც მიღელდა,
ენაცა ჩემი მყისვე დასდუმდა!
და მე იდუმალ დაფიქრებული,
შენ გმზერდი ჩუმად გაშტერებული.
მართ შენი სახე, შენი შვენება,
ვამსგავსე მყისვე ციურთ ოცნებას!..
მარამა შენსა ეშხსა სიტურფეს,
შენსა შვენებას და შენს სინაზეს,
შენს ტანოვნებას და შენთა თვალთა
სხივ შემოსილთა, გულის მგზნებელთა —
ვერ მიედრების ჯერა მსგავსება;
მე აღარ მიკვირს რომ ბედმან შენა,
შვენიერების საგნად გადგინა,
და წინანდლისა ღრმად მოგავლინა!..
მხოლოდ მაშვრალი იგი მებრალვის,
ვინც ერთხელ მაინც სიცოცხლის გზასა
ერთოდენ ხილვა შენი ეფირსა
და მიერიდან მოსტირის, მოჰგლოვს
თვისსა წარსულსა ბედნიერებას!..

1839 წლის 15 სექტემბერს პოეტმა გიორგი ერისთავმა ასეთი ლექსი ჩაუწერა ნინოს.

თ ო ვ ლ ი

კნიაუნა ნინა ჭავჭავაძისას.

ნახეთ ნინას, როს სპეტაკ გულს, ვით დაეცა თოვლი ქუდად,
მას ეგონა სითეთრითა ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულად,
მაგრამ რა ნახა მალიად ეს თვისი შეცდომილება,
დადნა მეტისა სირცხვილით და ცრემლად იწყო დინება.

ამავე წლის უკანასკნელ თვეებში დასრულებული თავისი პოემა „ბედი ქართლისა“ ნ. ბარათაშვილმა ჭავჭავაძიანთ სალონში წაიკითხა. ძველი მოღვაწე გვიამბობს:

„გაგვიგონია, რომ ბარათაშვილმა თავის პოემა „ბედი ქართლისა“ ალ. ჭავჭავაძის სახლის ბანზე წაიკითხაო“.[19]

1844 წლის 9 ივნისს ნინო ჭავჭავაძე რამდენიმე თვით ოდესაში გაემგზავრა დასასვენებლად.

დასახელებული წლის 23 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი ტფილისიდან ჯუნგუნში მყოფ გრიგოლ ორბელიანს ატყობინებდა:

---

[19] ზ. მთაწმინდელი — „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ. გვ. 15.

„ახალი ამბავი ანუ ჭორი ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ. ალ-ნა ადესაში მიდის 9 ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი.“ [20]

იმავე წლის ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისში დაბრუნდა ბალზე მოკეთებული და გამშვენიერებული ნინო ალექსანდრეს ასული.

ოთხ დეკემბერს გრიგოლ ორბელიანი წერდა ზაქარიას:

„ქალაქიდამ ეს ისმის, რომ ნინო ოდესიდამ მოსულა. როგორ მოხდენია ნინოს ადესა“.[21]

შემდეგი წლის ზაფხული ნინო ჭავჭავაძემ ბორჯომში გაატარა. 18 მაისს გრიგოლ ორბელიანი ატყობინებდა კონსტანტინე თარხნიშვილს: „ქალაქიდამ ეს ისმის: წავიდა ნინა ბორჯომში“,[22] ხოლო ქეთევან ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში პოეტი ბორჯომის შესახებ წერდა: „ბორჯომს მიდიან მხოლოდ საარშიყოდ ქალები.“[23]

აგვისტოს შუა რიცხვებში ნინო უკვე ტფილისში იყო. 1845 წლის 23 აგვისტოს მურუტიდან გამოგზავნილ ბარათში ნიკოლოზ ბარათაშვილი სთხოვდა ბაბალე საგინაშვილს: „ნინა ალექსანდროვნა ჩემ მაგიერ მოიკითხე და ასე უთხარ მატუზოვის ცოლმა მოგიკითხა თქო.“[24]

1846 წლის შემოდგომის დასაწყისში ნინო ჭავჭავაძე მოსკოვს წავიდა. თავის ძმასთან დავითთან, რომ დასწრებოდა მის ქორწილს ანა ილიას ასულ გრუზინსკის ქალზე.

3 ნოემბერს საქართველოში ექვსი თვის არყოფნის შემდეგ ტფილისში დაბრუნდა მ. ს. ვორონცოვი თავის მეუღლით ელისაბედ ქსაველრიის ასულით.

ორი დღის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე გაემზადა ვორონცოვთან სადარბაზოდ.

იონა მეუნარგია გვიამბობს:

„ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემზადა ვორონცოვთან წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცავად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეაბა მის „ადინაჩკას“ ქუჩერმა და ალექსანდრე დაეშვა პარადის ფორმით მორთული ჭავჭავაძის ქუჩით.

როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრად ერთმა დედაკაცმა სახლიდამ საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა სწორედ იმ დროს, როდესაც იმას გაუსწორდა ალექსანდრეს ეტლი.

ცხენი დაფრთხა, წაართვა თავი ქუჩერს. შეშინებულმა ქუჩერმა მიაძახა ალექსანდრეს: „კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველეო.“

ალექსანდრემ იფიქრა ქუჩრის მიშველება, წამოიწია და რომ უნდა სწვდომოდა აღვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო“.[25]

თავგაჩეხილი პოეტი შეიყვანეს სახლში.

გრძნობადაკარგული ალექსანდრე ჭავჭავაძე, — გადმოგვცემს ანდრეი ფადეევი, — დაასვენეს სადარბაზო ოთახის დიდ მაგიდაზე, სადაც გამუდმებული

---

[20] ნ. ბარათაშვილი, 1940 წ. გვ. 90.
[21] გრ. ორბელიანი — „წერილები“, 1936 წ. ტ. I, გვ. 103.
[22] იგივე წყარო, გვ. 112.
[23] საქარ. მუზ. პალ. განყ. Q ფონდის ხელნაწერი № 155 A.
[24] ნ. ბარათაშვილი, 1940 წ. გვ. 95.
[25] ი. მეუნარგია — „ა. ჭავჭავაძე“, 1937 წ. გვ. 34, 40. 95.

მხიარულება და დროსტარება პირველად შესცვალა მწუხარებამ და ცრემლმა“.[26]

ცხრამეტი საათის განმავლობაში იტანჯებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძე. 6 ნოემბერს დილის 9 საათზე მან წარმოსთქვა სიტყვა „Ничево“ და მიიცვალა.

ის დაკრძალეს დიდის ამბით შუამთის მონასტერში.

„ცრემლებს ღვრიან, — წერდა დიმიტრი ყიფიანი, — და ქვითინებენ მის სახლში, მაგრამ არა მარტო აქ, არამედ ტფილისის მრავალ სახლებშიაც სტირიან და გლოვობენ პოეტს. იტირებენ და იგლოვებენ მას მცნობნი და თაყვანისმცემლები ტფილისის გარეთაც. მაგრამ აქ მყოფებზე უფრო იტირებს და იწუხებს მასზე რუსეთში მყოფი ორი არსება: უფროსი ქალიშვილი ნინო და ერთად ერთი ვაჟი — დავითი. ისინი აწ ვერასოდეს ველარ ნახავენ თავის ძვირფას მამას.“[27]

მოსკოვში ნინო ჭავჭავაძემ გაიცნო მთელი იქაური საზოგადოება.

კონსტანტინე ბოროზდინი მოგვითხრობს:

„ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო მოსმენა ნინო ალექსანდრეს ასულის საუბრებისა მოსკოვზე და აქაურ საზოგადოებაზე, სადაც მან მთელი 1846 წელი გაატარა. ჩვენ ძლიერ ბევრი საერთო ნაცნობები აღმოგვაჩნდა მოსკოვის საზოგადოებიდან. საუბარი მოსკოვზე ჩვენთვის უფრო საინტერესო შეიქმნა.

მოსკოვში ნინო ჭავჭავაძე პირველად შეხვდა თავის მეუღლის დას.

„მოსკოვში — გვიამბობს ბოროზდინი — შეხვდა თავდაპირველად ნინო ალექსანდრეს ასული გრიბოედოვის დას მარიამ სერგეის ასულ დურნოვას, რომელსაც იგი წელთა განმავლობაში ბარათებით იცნობდა. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც ღვიძლი დები და დიდხანს სტიროდნენ ძვირფას გრიბოედოვის მოგონებაზე“.[28]

მხოლოდ 1847 წლის დასაწყისში დაბრუნდა ნინო ჭავჭავაძე რუსეთიდან.

ორი წლის შემდეგ ჟამით გარდაიცვალა ნინო ალექსანდრეს ასულის დედა სალომე ჭავჭავაძე, რომელიც დაკრძალეს მთაწმინდაზე.

ნინო ალექსანდრეს ასული „ყველაფრის შემძლე“ იყო და ამის გამო მას „მფარველ ანგელოზს“ ეძახდნენ. რა საქმე უნდა ყოფილიყო, მას რომ არ გაეკეთებია.

ერთი თანამედროვე მასზე წერს:

„მამის ოჯახში ის ყველასათვის საჭირო იყო. უიმისოდ არაფერი შეეძლოთ, სახლიდან კახეთში მიჰყავდათ ძმასთან, კახეთიდან სამეგრელოში — დასთან. ნინო მფარველი ანგელოზი იყო მთელის ოჯახისა, ის იყო ისეთი არსება, რომელსაც თაყვანსა სცემდნენ და აღმერთებდნენ ყველანი კავკასიაში, მთავარმართებლიდან მოყოლებული უბრალო ხალხამდე.

იმის შესახებ საზოგადოდ ამას ამბობდნენ „ნინო კეთილი ადამიანიაო.“ მართლაც მისი გულკეთილობა განთქმული იყო ყველა გაჭირვებულს შეეძლო თავისუფლად მოსულიყო მასთან, შეეჩივლა თავისი მდგომარეობა, ეთხოვნა დახმარება და დარწმუნებულიც უნდა ყოფილიყო, რომ „კეთილ ნინოს“ სხვისი ჭირი საკუთარ ჭირად მიაჩნდა, სხვისი სიხარულით თვითონაცა ხარობდა.

ვინც უნდა დიდკაცი ყოფილიყო, არავის დაერიდებოდა, ყველასა სთხოვდა ამა და ამ გაჭირვებულს დაეხმარეო, თავის დღეშიაც არავის გაუწბილებია. ამიტომ, მთხოვნელები გამოულეველი ჰყვანდა სულ მუდამ.

---

[26] А. Фадеев — „Воспоминаиия“, 1897 წ. გვ. 117.

[27] „Кавказ“, 1846 წ. № 45.

[28] „А. С. Грибоедов в воспом. соврем.“, 1929 წ. გვ. 311.

ვთქვათ, რომელიმე ახალგაზრდა მოხელე რასმე დააშავებდა და უფროსი სამსახურიდან დათხოვნას დაემუქრებოდა, — მაშინათვე ნინოსთან მირბოდა — გაჭირვებისაგან მიხსენიო. ნინო ცოტათი დატუქსავდა, თითონ მაინც წავიდოდა, სადაც საჭირო იყო, თუნდ მთავარმართებელთან ყოფილიყო მისასვლელი, და საქმეს გაარიგებდა.

ან კიდევ რომელსამე პატივმოყვარე კაცს დაწინაურება მოუნდებოდა — წავიდოდა ნინოსთან და ისიც ცდილობდა მისი სურვილი დაეკმაყოფილებინა. ერთის სიტყვით, ყველანი იმასა სთხოვდნენ, ათას რასმე დაავალებდნენ ხოლმე და ნინოც უარს არავის ეუბნებოდა, და კიდეც იმიტომ იყო, რომ იმ დროს კავკასიაში მასებრ არავინ უყვარდათ.“ [29]

სადაც ხელი არ მიუწვდებოდა, იქ წერილებს მიმართავდა ხოლმე.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის გარდაცვალებისთანავე ნინო ჭავჭავაძე გაეშურა თავის დაქვრივებულ დასთან — ეკატერინესთან და დაჰყო იქ წელიწად ნახევარზე მეტი.

1854 წლის 30 იანვარს გაუვიდა ვადა ოცდახუთწლიან საავტორო უფლებას გრიბოედოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობით სარგებლობისა და ამის შემდეგ ნინო ალექსანდრეს ასული უნდა დაკმაყოფილებულიყო იმ რაღაც ორიათასი მანეთით, რომელსაც იგი პენსიის სახით წელიწადში იღებდა ხელისუფლებისაგან.

1854 წლის დასაწყისში ნინო ჭავჭავაძე ისევ სამეგრელოში იყო.

„29 აპრილს 1854 წელს, — წერს თავის მოგონებაში ბოროზდინი, — მე ზუგდიდში მოველი დედოფლის სასახლეში. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში ვმსახურობდი და ამ კანცელარიის დირექტორმა გამომგზავნა დედოფლის მიწერ-მოწერის საწარმოებლად. ამასთან აღმზრდელობა უნდა მეკისრა შვილებისა ნიკოლოზისა და ანდრიასი.

როცა ოთახში შემიყვანეს, სადაც ორნი ლამაზნი, შუახნის მანდილოსნები ისხდნენ, ყოყმანი დავიწყე — არ ვიცოდი, დედოფალი რომელი იყო მათგანი? ალალბედზე მივუბრუნდი იმას, რომლის სახე სათნოდ და გულკეთილობის გამომეტყველად მეჩვენა, და შევსცდი — ეს იყო ნინო გრიბოედოვისა, მაგრამ მან საჩქაროდ ხელით მანიშნა თავისი და, დედოფალი ეკატერინე.“ [30]

უახლოეს ხანში შედგა ევროპულ ყაიდის პატარა წრე, რომელიც დროსტარებისა და მხიარულებაში ატარებდა დღეებს.

„ჩვენი ევროპული წრე, — გვიამბობს ბოროზდინი, — იყო დიდი. მასში შედიოდა: კნეინა ნინო ალექსანდრეს ასული, ეკატერინე დედოფლის ბავშვების აღმზრდელი მადმუაზელ ბერგი, ექიმი ს .ა. სუსანოვი და მე. დედოფალი იმდენად გართული იყო დილიდან საღამომდე ათასგვარი საქმეებით, რომ იშვიათად იცლიდა ჩვენთვის, ამიტომ ჩვენი წრე გროვდებოდა უმთავრესად მისი დის გარშემო.

ნინო ალექსანდრეს ასული მაშინ 42 წლის იყო, მაგრამ თავისი გარეგნობით ის მშვენივრად იყო შენახული და გაცილებით ახალგაზრდათ გამოიყურებოდა. ბევრ ახალგაზრდა ქალს შეშურდებოდა ყორნის ფრთასავით შავი მისი თმები და სრულიად მთელი კბილები. მისი თვალები მგონი ვერას დროს ვერ დაბერდებოდნენ, იმდენი ბრწყინვალება, სინაზე და გულწრფელობა კიაფობდა

---

[29] იგივე წყარო.

[30] კ. ბოროზდინი — „სამეგრელო“, 1934 წ. გვ. 14, 15.

მათში, პირისახე მას ჰქონდა მრქრქალ მოფერმკრთალო ფერისა, ხოლო სიმაღლით იგი საშუალოზე ცოტა მაღალი იყო.“ [31]

დედოფლის სადგომში ამ პატარა წრეს ემატებოდა უთვალავი რიცხვი სტუმრებისა და აქ განუწყვეტლად იყო: მუსიკა, თამაშობა, სიმღერა, ლექსები და ოჯალეშის ღვინო.

1855 წლის მარტში ზუგდიდში ჩამოსულმა ახლადდანიშნულმა მთავარმართებელმა ნიკოლოზ ნიკოლოზისძე მურავიოვმა, რომელიც დიდი ხნიდან იცნობდა ნინო ჭავჭავაძეს და იყო ერთ დროს კიდეც მასზე შეყვარებული, სთხოვდა ნინო ალექსანდრეს ასულს ოჯახობის საქართველოში ჩამოსვლამდე გაჰყოლოდა ტფილისში და ედიასახლისებია მის სახლში ოფიციალურ საღამოებზე და ბალებზე.

ამ მიზეზის გარდა ტფილისისაკენ ნინო ჭავჭავაძეს იზიდავდა შემდეგი გარემოებაც. ის იყო ახლად დაბრუნებულნი იყვნენ შამილთან ტყვეობაში მყოფი მისი ნათესავ-მეგობარნი და ნინო ალექსანდრეს ასული მათ ნახვას ჩქარობდა.

აპრილის შუა რიცხვებში ის უკვე ტფილისში იყო და ხელმძღვანელობდა ბალებსა და ოფიციალურ საღამოებს მურავიოვისა და თავის ბინაზე.

საზაფხულოდ ნინო ჭავჭავაძე თავის დასთან — სოფიოსთან გაემგზავრა ბეთანიაში.

1855 წლის 22 ივლისს ბეთანიიდან გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ნინო ალექსანდრეს ასული ასე ასწერდა თავის ცხოვრებას სიძის მდიდარ მამულში:

„თქვენც დარწმუნებული უნდა იყოთ, უსაკუთრესო ძმაო კნიაზო გრიგოლ, რომ ჩემთვისაც ყოველთვის სასიამოვნო არის თქვენი ლაზათიანის წიგნის. მიღება, ნამეტნავად ამ უკანასკნელმა ბევრი გვაცინა მე და სონიჩკა.

თუ მაგ თქვენს უცხოს მამზელს თავისავით გრძნობიერი გამოუვიდოდა ეგ ახალ დაბადებული ქალი, რალა უნდა აშენებულა კაცი, მართლათ ჩვენც იამსჩიკისავით უნდა ვთქვათ ნეტა რაში გვეაჯებოდა მაგისი ასული ამისთანა საშინელ დროში.

დღეს ძალიან გახარებული ვარ ჩემის ძმის დავითის წიგნის მიღებით მოსკოვიდამ, რომელიც არის ამ თვის 11-სა ვმადლობ ღმერთს იმდენის წვრილის ყმაწვილებით ასე კეთილად შეასრულეს თავიანთი მგზავრობა. ადვილად წარმოიდგენთ რა დღე იქნებოდა იმათვის ერთად შეყრისა, ამდენი ხნის უნახავთ და ამასთან იმისთანა უბედურობის შემდეგ. დავითის მოწერილობით ახლა პეტერბურგს უნდა იყვნენ, აბა იქიდამ იქნება იმათი წიგნი ინტერესნი.

თუმცა დავბერდი, მაგრამ მაინც თბილისის ჭორებს და სიცხეებს გამოვექეცი, ეს ხუთი კვირაა რაც აქ ბეთანიას გახლავარ ჩემის სიძის ბარონის სოფელში, სადაც მოსვენებულ და მიმყუდროებულ ცხოვრებას ვატარებ. საუცხოო მდებარეობა ქონია, გრილი ჰავა, მე დიდათ მომიხდა ეს სოფელი. ციებამ სრულიად თავი მანება. სახლი და ბაღიც მოსაწონია. ერთის სიტყვით მთლად შემკულია თავისის პატარის ხაზაიკით, რომელიც რაც შეუძლიან ცდილობს სტარუხის დის მოსვენებას და სიამოვნებას.

ეკატერინეს წიგნიც ხშირად მომდის მშვიდობით იმყოფება თავისის შვილებით. ამ ცოტას ხანში ლეჩხუმს ყოფილიყო ნიკოთი, სადაც პატას დიდის დიდებით მიელო. ამ ჟამად ისევ გორდს დაბრუნებულან.

---

[31] „А. С. Грибоедов в воспом. совр.“, 1929 წ. გვ. 311.

მარია ივანოვა ორბელიანოვისა ქმრით, სიძით და ქალით ჯერ ისევ პოლკოვნიკლოს ამრიან რუსეთის წასვლის ამბავი აღარა ისმის რა, კარგა ხანია წიგნი აღარ მომსვლია.

რასაკვირველია გაზეთით შეიტყობდით ჩვენის საყვარლის გრაფინა ოპერშანის დაქვრივებას. აბა საყვარელო ძმაო! ახლა უნდა ქვრივის და ობლის ნუგეში. ეხლა იამება თქვენგან წიგნის მოწერა და მოგონება, მაგრამ მგონია სტარუხასთან მოწერაში ის ვდახნავენია და გრძნობა აღარა წარმოადგენენ, როდესაც უწინ ყოველი მისი კაბინეთის კუთხე და ალბომები აღვსილი იყო თქვენის სხვა და სხვა ლექსით და პასლანიით. ეხ სიბერეევ, რა ძნელი რამ ყოფილხარ!

ჩემი პატას ელენე აქა მყავს ჩემთან განუშორებლათ, ეს არის ჩემი ნუგეში, მამხიარულებს ლამაზის ტიკტიკით.

ოღონდაც ბარონ ნიკოლასაგან დავალებულნი ვართ, ერთობრ ისეთი მეგობრობა და მოყვრობა გვიჩვენა იმ ჩვენს საშინელს უბედურებაში, ღმერთი გადუხდის მაგიერს. მაინც საკურველნი კაცნი არიან ორნივ ძმები, ყოველთვის ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ სონიჩკას ამისთანა ნუგეში გამოუჩინა, ჭეშმარიტად იობის მამა ღმერთია.

კნ. ვარანცოვას და ანნეტას ადრესი ამასთანავე მამირთმევია.

გთხოვთ უძვირფასესო ძმაო კვლავაც თქვენის წიგნით მასიამოვნოთ მარად თქვენი პატივის მცემელი ნინა გრიბოედოვა.

ბარონმა მრავალი მოკითხვა მოგახსენათ აგრეთვე სონიჩკამ, არ დაგვიწყებიაო აღთქმული. რა იყო ჩვენის საწყლის დიმიტრის ხსენება რომ არსად იყო? გთხოვთ მომიკითხოთ აგრეთვე კნიაზ ბაგრატიონი თუ ვახსოვარ".[32]

1856 წელს კორონაციაზე დასასწრებად მოსკოვში გამგზავრებული სამეგრელოს დედოფალ ეკატერინეს გაჰყვა ნინო ჭავჭავაძეც:

კორონაციის დასრულებისთანავე ხელმწიფე-იმპერატორის თხოვნით ისინი პეტერბურგს წავიდნენ და იცხოვრეს სამეფო კარზე მთელი 1856 წელი და შემდეგი წლის პირველი ოთხი თვე.

მაისში ორივე ღრმად ნაისიამოვნები დაბრუნდა რუსეთიდან.

ტფილისში უკვე დიდი ხანი იყო, რაც იგრძნობოდა ნინო ალექსანდრეს ასულის არ ყოფნა და მიტომ ყველანი მოუთმენლად ელოდნენ მას; განსაკუთრებით კი მისი უმცროსი და სოფიო ალექსანდრეს ასული ნიკოლაი, რომელსაც ის იყო შეეძინა პირველი შვილი — ნინო! ეს სახელი ახლად დაბადებულს დეიდის პატივსაცემად უწოდეს.

„ამდროისათვის, — წერს ბოროზდინი, — მე ტფილისში რამდენიმე დღით მომიხდა ყოფნა. მე ვიყავ ნინოსთან. ის სრულიად ჯანმრთელად იყო, მეტად ყმაყოფილი თავის მგზავრობით, ჩვეულებრივად მხიარულობდა. გატაცებით მომითხრობდა კორონაციაზე ხემწიფისა და მისი მეუღლის თავაზიან მასპინძლობაზე და პეტერბურგზე." [33]

ცხოვრობდა მაშინ იგი სიძის ბარონ ნიკოლაის სახლში. დილიდანვე მთელი ტფილისი იჩქაროდა მის ნახვას, მერე თითონ იგი მიდიოდა სხვადასხვა ადგილებში, სადაც ელოდა მას, მის ჩამოსვლის საპატივცემოდ გამართული სადილები, ვახშმები და ბალები.

---

[32] საქარ. მუზ. პალ. განყ. საბუთი Sd ფონდისა № 1874.

[33] „А. С. Грибоедов в воспом. соврем.", 1929 წ. გვ. 313.

ამ ხანებში მისი და — სოფიო ლოგინიდან ადგა და სოფელში გაემართა. ივნისის სიცხე მიერეკებოდა მცხოვრებლებს ტფილისიდან, ნინო ალექსანდრეს ასულს მოუთმენლად ელოდნენ წინანდალში და წასასვლელად ემზადებოდა.

ნაწილი თავისი ბარგისა მას უკვე ჰქონდა გაგზავნილი და თვითონაც დღეს თუ ხვალ უნდა წასულიყო ქალაქიდან, მაგრამ ტფილისში მოულოდნელად გაჩენილმა ჟამმა იგი ჩააწვინა.

მან მხოლოდ ორ დღეს იავადმყოფა

ვერც ძმამ და ვერც დებმა მოუსწრეს მწოლარეს.

ნინო ჭავჭავაძე მაშინ 45 წლის იყო, მაგრამ ისეთივე მომხიბლავი, მშვენიერი და მომაჯადოებული, როგორც ახალგაზრდობის წლებში, თუმცა იგი უკანასკნელ ხანებში თავის თავს „სტარუხას“ ეძახდა და „გარდასულ დროთა“ მოსაგონებლად სამაჯურის თვალში ჩასმულ თავის სიყმაწვილის დროინდელ სურათს ატარებდა. *

ხანდაზმულობას და სიბერეს არ დასცალდა ედღესასწაულებინა მის სილამაზეზე გამარჯვება. 1857 28 ივნისს მისი დის — ეკატერინეს მაზლმა — კონსტანტინე დადიანმა, რომელიც ორი დღის განმავლობაში არ მოშორებია ავადმყოფს, დაუხუჭა თვალები.

ის დაკრძალეს მთაწმინდაზე მეუღლის გვერდით, სადაც მას წინასწარვე ჰქონდა გამზადებული ადგილი. მთელი ტფილისი გამოუკლებლივ დაესწრო მის დასაფლავებას.

1857 წლის 4 ივლისს გაზ. „კავკაზი“ იუწყებოდა:

«Наше тифлисское общество понесло значительную потерю. В прошлую пятницу, июня 28, после краткой болезни скончалась Нина Александровна Грибоедова, урожденная Чавчавадзе. Отпевание тела ея происходило в прошлое воскресение в Кашветской Георгиевской церкви, при стечении всех уважающих прекрасную личность покойной, бывшей всегда украшением лучших тифлисских салонов и столь рано похищенной смертию из их круга. Тело ея отнесено на руках в монастырь св. Давида и положено в одном склепе, рядом с ея супругом».

ჟურნალმა „ცისკარმა“ დიმიტრი ბერიევის ლექსით გამოიგლოვა იგი:

ნინა გრიბოედოვისაზე

ვუმზერ სარკმლითა, კლდესა მთა წმინდის,
სად მონასტერი მამა დავითის—
ვითა ლამპარი ზედა დაგვნათლის
და მადლი გვფარავს მის წმინდისა მთის.

მესს ტაძარს ქვეშე შეფარებულთა
რაღაც მოესმათ სალხინო გულთა,
უცებ თვის შორის იხილეს ნინა
მის სიკეკლუცემ მთა დაამშვენა!

მათ შორის გვამი დაუვიწყარი
აღსდგა საფლავით წინ მოეგება
გაოცებული მის ხილვით მტკბარი
ქვითქვითებს გულით და ეუბნება:

* ეს სამაჯური ამჟამად საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ინახება.

ჩემო იმედო, ჩემო შვებაო,
დაუვიწყარო სასოებაო
მე არა მჯერა, თუ ხარ შენ ნინა —
წუთი სოფელმან შენც მოგაწყინა?

— მოვედ ტრფიალო მუნ დაიმკვიდრე
გულის ვაება აქ დაიმშვიდე!
აქ შენ სრულად სცნობ სოფლის მუხთლობის
და უბედურად მაგ გვარ მაშთობას!

მას ცრუ სოფელში ნეტა რა ჰნახე
თუ არ სიცოფე დაუდგრომელი!
დიდება ყველა ისე დასახე
როგორც ეგ მიწა გაუძღომელი".

გრიბოედოვი მოუთხრობს ამას
უპყრნია ხელნი ცრემლითა განბანს!
ნინა ერთგული მას ყველასა ჰგრძნობს
და საუკუნოდ მასთან დაჰყოფს.

კეთილო სძალო! შვებაო ქართველთ,
დაუვიწყარო დედაო ჩვენო
გთხოვთ მად მომსვლელთა და შენთა მნახველთ
კეთილი გული კვლავ ჭდ უჩვენო!

მამაო დავით! მოვიდრეკთ მუხლთა
ვადიდებთ, ვითხოვთ შენს მეოხებას!
შენ ჩაგაბარებთ კეთილსა სულსა
ცრემლითა შეგთხოვთ მის განსვენებას.

უსაყვარლესი დის გარდაცვალებამ თავზარი დასცა სამეგრელოს დედოფალ ეკატერინეს.

1857 წლის 15 ივლისს ვასილ ბებუთოვი ტფილისიდან წერდა გრიგოლ დადიანს:

„კარგი ხანი არის აღარაფერი ცნობა არღა მიმიღია ოდიშით, ეკატერინე მთავრისაგან, ვგონებ მიზეზი მისის დუმილისა იყო მწუხარებითის ამბავის ცნობა თავისის დის ნინოს გარდაცვალებისა." [34]

ხუთი დღის შემდეგ იგივე ვასილ ბებუთოვი ატყობინებდა გრიგოლ დადიანს:

„ადუტანტი ნამესტნიკისა კნიაზი ივანე ორბელიანი რომელიც გაგზავნილ იყო მისის ბრწყინვალებისაგან ეკატერინესთან, დაბრუნდა მუნით და მომიტანა მთავრინას წიგნი, აღსავსე ფრიადის მწუხარების აღწერითა, ვითარცა აწმყო მენგრელიათა საქმეთ მდგომარეობისა ეგრეთვე მისის დის სიკვდილის გამო". [35]

ადგვილად წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ნინო ჭავჭავაძის სიკვდილი გრიგოლ ორბელიანზე!

---

[34] ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფონა მეუნარგიას არქივი.
[35] იგივე წყარო.

ბიბლიოგრაფია

ლავრენტი ჭიჭინაძე — „ნარბევი“, საბლიტგამი.

ლავრენტი ჭიჭინაძის რომანი „ნარბევი“ აგებულია იმერეთში ცნობილი გმირის, ცხრაასხუთელი წითელრაზმელთა მეთაურის აფრასიონ მერკვილაძის ბიოგრაფიულ მასალებზე.

ავტორს დაუგროვებია აფრასიონ მერკვილაძის მასალები, როგორც ზეპირსიტყვიერი, ხალხური თქმულებანი, ლექსები, შაირები და გადმოცემანი, აგრეთვე წერილობითი და საარქივო ხასიათის დოკუმენტები.

მაგრამ ყველაფერი ეს გმირის ცხოვრების მანძილზე ავტორს ისე გაუშლია და გაუნაწილებია, რომ მკითხველი ვერ ხვდება, თუ სად იწყება ან თავდება ესა თუ ის ფაქტი, ისტორიული მოვლენა და თვით მთავარი მოქმედებანი. დაკვირვებულ მკითხველს ისიც დააფიქრებს, თუ რატომ ჰქვია ამ ნაწარმოებს რომანი, როცა ის რომანისათვის დამახასიათებელ ნიშნებს არ ატარებს. ზოგიერთს გრძელი მოთხრობა რომანი ჰგონია, მაგრამ „ნარბევი“ არც მოთხრობის ელემენტარულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ავტორი გატაცებული იმით, რომ მის განკარგულებაში არსებული ყველა მასალა მოთხრობის ფურცლებზე გამოავლინოს, ვერ იმორჩილებს ამ მასალას და ფაქტებსა და მოვლენებს ვერ აკავშირებს ერთმანეთთან ლოგიკურად, ვერ აქცევს მოთხრობის კომპოზიციის ფარგლებში ფუნქციონალურად. მოთხრობის პირველი სათაური „დიდებული მგოსანი“ აკაკი წერეთელს შეეხება, მაგრამ სწორედ რომ მხოლოდ სათაური ეხება აკაკის და არა ტექსტი. ქუთაისის სას. სასწავლებელში მყოფი აფრასიონი ერთხელ შორიდან შეხედავს ლექციის მკითხველ აკაკის, ეს არის და ეს. პირველ თავს რად დაარქვა ავტორმა „დიდებული მგოსანი“,—გაუგებარია.

მეორე თავში „მხოლოდ პატიოსნება“ გამოყვანილი პერსონაჟი ეფრემ ცხადაძე, რომელიც ავტორმა ჭიათურის მაღაროებში გაგზავნა, ამავე თავშივე ქრება. მისი დანიშნულება ისევე გაურკვეველია და უმიზნო, როგორც აქვე გამოჩენილი მაღაროს ერთერთი მოიჯარადრე ონისიმე ხუჯაძისა. ისინი მხოლოდ გზად შეხვედრილ მგზავრებს გვანან, რომელნიც ისე ჩაგვლიან, რომ სალამსაც არ გაიმეტებენ. ქუთაისის გუბერნატორი, ცნობილი ხალხოსანი სტაროსელსკი მხოლოდ ერთ გვერდზე გამოჩნდება და იმავე გვერდზევე ჰქრება. ან რა აზრი აქვს ასეთ მსჯელობას: „ამ ეკლესიის გვერდით ცხოვრობდა ქართველთა მეფეების, ბაგრატიონთა გვარის უკანასკნელი თაობის წარმომადგენელი ალექსანდრე ბატონიშვილი. მიტინგი რომ გაიმართა, ბაგრატიონის ეზოში ადამიანის ჭაჭანება აღარ იყო, გლეხები პატივისცემით ეპყრობოდნენ ალექსანდრე ბაგრატიონს, მაგრამ მიტინგზე გამოსვლა მაინც ვერ გაბედა“ (გვ. 195). რატომ ეპყრობოდნენ გლეხები ბაგრატიონს პატივისცემით? ან რატომ ვერ გაბედა მიტინგზე გამოსვლა, თუ გლეხები პატივისცემით ეპყრობოდნენ? ამის შესახებ ავტორი არავითარ ცნობას არ გვაძლევს. მან ამ ერთ აბზაცში დაამთავრა ამ ახალი პერსონაჟის მოქმედება და სულისკვეთება. ამ სახით ნაწარმოებში უამრავი პერსონაჟია გამოვლინებული, როგორც რეალურ პირებიდან, ისე შექმნილნი, მაგრამ ისინი, მხოლოდ ლანდებივით გაივლიან მკითხველის გონებაში და უგზო-უკვლოდ ჰქრებიან.

სათაურ „ქუთათურ ოცნებაში“ ისე არეულია ტფილისის სას. სემინარიის ძველი და ახალი ამბები, მერკვილაძის სემინარიაში მიღების წესები, იმერელი მეზობლების სურვილი და მერკვილაძის მიერ ტფილისის ქუჩების გაცნობა, რომ გიკვირთ თუ რა შუაში იყო ასეთი დასათაურება. ამგვარად მთელი წიგნის მანძილზე ცალკე თავების დასათაურება (გარდა რამდენიმე თავისა—„ცეცხლი“, „გაოგნებული ცხენი“, „ანდერძი“ და სხვ.) გაუმართლებელია, შემთხვევით „ამბებზეა“ აგებული და კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან.

მოთხრობაში გამოყვანილი: ბოქაული მახარაძის, ჯაშუში სოკრატ აბაშიძის, მასვეტოვის, ალიხანოვ-ავარსკის და სხვათა მოქმედება რევოლუციური მოძრაობის და კერძოდ მერკვილაძის რაზმის წინააღმდეგ უთუოდ შეფარდებულია ისტორიულ სინამდვილესთან, მაგრამ ხშირად მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებულია.

მოთხრობის მთავარი გმირი ა. მერკვილაძე — მტკიცე მებრძოლი და შეგნებული რევოლუციონერი, რომელსაც ჯერ კიდევ სემინარიის კედლებში ჰქონდა წაკითხული: მარქსისა და ენგელსის შრომები, ავტორმა რატომღაც ზღაპრული ელფერით და ყაჩაღური ელემენტებით „შეაფერადა“.

„აფრასიონმა ანბანი რომ შეისწავლა, მას შემდეგ ბევრს კითხულობდა წიგნებს, და

ნაკლებს ლაპარაკობდა. ასლანს ახარებდა შვილის ასეთი მუყაითობა, ფიქრობდა კარგი მღვდელი დადგებაო და ერთხელ კიდევ უთხრა:

— შვილო, ჩვენ დროში მღვდელობას არაფერი სჯობია.

— კარგი საქმეა, — მოკლედ უპასუხა ბავშვმა... მაგრამ — იქნებ მღვდელზე უკეთესი გამოვდივარ.

— შვილო, შენ ჯერ პატარა ხარ, მღვდელობას რა აჯობებს, აგერ იქნები შინ და მეფესავით იცხოვრებ.

— რად მინდა მეფესავით ცხოვრება, მეფეები მძულს" (გვ. 5, 6).

გარდა იმისა, რომ მამა-შვილის ეს დიალოგი მხატვრულ სიმართლეს და სიმახვილეს მოკლებულია, მკითხველი ვერ ხვდება, თუ ვინ არის მოთხრობის პირველ გვერდიდანვე ბავშვი მერკვილაძის მრჩეველი ასლანი.

როგორც იქნა მამამ აფრასიონი მოათავსა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში (და არა სემინარია, როგორც ეს ავტორს აქვს აღნიშნული. ქუთაისში სას. სემინარია იმ ხანებში არ არსებობდა, და რომც ყოფილიყო წ. კ. მცირე მცოდნეს იქ არ მიიღებდნენ, რადგან ის სას. სკოლის 4 კლასის ბაზაზე იყო აგებული), მაგრამ მდგომარეობა ტრაგიკულია. ბავშვს არაფერი სწამს ეკლესიისა და საღვთო სჯულისა, მაგრამ ეს ზრახვები რომ არ გამომჟღავნდეს კონსპირაციის მიზნით „სულ ხუთებზე სწავლობს" საღვთისმეტყველო საგნებს, ხოლო პირველ პრაქტიკულ და „რევოლუციურ" ნაბიჯს ავტორი იმით გადაადგმევინებს, რომ ერთ ღამეს პანსიონში რაც წიგნებია ყველას მოიპარავს და საპირფარეშოს სიბინძურეში ჩაყრის და ერთს კიდევ შეუკურთხებს: „მოგიკვდეს პატრონიო! თან ორი ხასხასაყდიანი სახარება გამოაყოლა და მასწავლებელთა საპირფარეშოში დაყარა" (13 გვ.). ვფიქრობთ ასეთი მხატვრული უგემურობა განმარტებას არ საჭიროებს.

მკრთალად არის დახატული მერკვილაძე სემინარიაში და მისი იქიდან გამორიცხვა ძალზე სუსტ მასალაზეა აგებული. უფრო სუსტია და თითქმის გაურკვეველი ზეინაბ ბაღდავაძისა და აფრასიონის ურთიერთობა. ისინი ერთმანეთს ხვდებიან ჯერ კიდევ აკაკის ლექციაზე, საცა კარგადაც კი ვერ გაუცვნიათ ერთიმეორე. მეორეჯერ შეხვედრისას მერკვილაძემ ზეინაბი ძლივს იცნო (გვ. 230).

„— ქუთაისი გახსოვს?

— მახსოვს, — დაბალი ხმით სთქვა ზეინაბმა... თქვენი გმირობის ამბავი ზღაპარივით არის გავრცელებული. ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა, — დასძინა ბოლოს ზეინაბმა". ამით მთავრდება მერკვილაძისა და ზეინაბის „რომანი" მთელ წიგნში.

რეცენზიის განსაზღვრულობის გამო მრავალ საკითხს გვერდი უნდა ავუაროთ, მხოლოდ ავტორის სტილის, წერის მანერის, მხატვრული ალღოსა და ლოღიკის გასაცნობად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. მათი ძებნა არ დაგვჭირდება. დავიწყოთ პირდაპირ მოთხრობის პირველი სტრიქონიდანვე:

„ქუთაისის ქუჩებში მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ, დიდები ერთად და პატარები კიდევ ცალკე. ყველას ერთნაირი ტანისამოსი ეცვა. ხელიხელ გაყრილ მოწაფე ქალებს მთელი დღე რომ ევლოთ, ლაპარაკს მაინც არ შეწყვეტდნენ. ბევრჯერ უცდიათ გიმნაზიელ ვაჟებს ქალების საუბრისათვის მოეკრათ ყური, მაგრამ ქალები ან უკან ჩამორჩებოდნენ, ან ფეხს აუჩქარებდნენ, ხშირად მაღაზიებშიც შეუხვევდნენ არასასურველი თანამგზავრების თავიდან მოშორების მიზნით.

სულ სხვანაირი იყვნენ სემინარიელები. მათგან სრულიად განირჩეოდა ერთი პირტიტველა შავგვრემანი ბიჭი. მისი წაბლისფერი თვალები თითქოს მუდამ რაღაცას ეძებდნენ. თავი წინ ჰქონდა ოდნავ გადმოხრილი. მთელ სასწავლებელში ყველამ იცოდა მისი სახელი და გვარი: აფრასიონ მერკვილაძე".

ამის შემდეგ მიდის ჩვენს მიერ ზევით ციტირებული მამა-შვილის დიალოგი სკოლაში შესვლის შესახებ, რომელიც კვლავ შემდეგი სტრიქონებით გრძელდება: „ასლანს კვლავ გული მოუღლია. მან ერთხელ სავსე ხურჯინი აჰკიდა ცხენს, თვითონ წინ წაუძღვა და ეს ერთი ცხენკიდებული ძღვენი მიართვა დეკანოზს, სასოებით ემთხვია ხელზე და შემდეგ ძლივს გაუბედა:

— მამაო, უმორჩილესად გთხოვ... ერთი ბიჭი მყავს, შემეწიე... ეგებ ქუთაისის სასასწავლებელში მიაღებიოთ" და სხვ.

ასეთი „სადა" მხატვრული ნახეებითა და ლოღიკით ვითარდება ეს საყურადღებო ამბები ნაწარმოების მთელ მანძილზე. საჭირო იყო გამომცემლობას სტილისტურად მაინც გულდასმით გაესწორებინა, რომ მკითხველისათვის მხატვრულად ყოველმხრივად მდარე წიგნი არ მიგვეწოდებინა.

ვაატა არგულიანი.

1941 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები

წლიურად	24 მან.
ნახევარი წლით . . .	12 „
ცალკე ნომერი . . .	2 „

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ᲤᲐᲡᲘ 1 Მ. 50 Კ.

h 553
1940/2

Ежемесячный журнал

„ЧВЕНИ ТАОБА“

Сахелгами 1940 г. Тбилиси